პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მერვე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის კომიტეტების
— და —
სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან ღამის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76) მდივნის 10—58) ღამის მორიგის 13—30.

მთავარი კანტორა
თბილისი რუსთაველის პროსპექ., № 14, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი:
მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.

განცხადებები:
საქართველოს ფარგლებში— ტექსტის უკან—80 კ. ნონპარელის სტრიქონი, ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ.; საქართველოს გარეთ—ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; განმცხადებელი გაარდა განცხადების ფასისა იხდის 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად-შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ძვირდება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

დიდი ოქტომბრის რევოლიუციის თერთმეტი წლის თავი

ოთხშაბათი, 7 ნოემბერი 1928 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კაპ. № 259 (2302)

პროლეტარიატის დიქტატურის არსებობის თერთმეტი წლის თავზე საქართველოს მუშები და გლეხები მხურვალე სალამს უძღვნიან მოძმე საბჭოთა რესპუბლიკების და ყველა ქვეყნების მშრომელ მასებს!

ოქტომბრის დიდი რევოლიუცია

(მეთერთმეტე წლის თავისათვის)

1917 წ.—ოქტომბერი—1928 წ.

11 წელიწადი გავიდა 1917 წლის დიდი ოქტომბრის დღიდან, რომელმაც საძირკველი ჩაუყარა საბჭოთა კავშირს, დასაბამი მისცა მსოფლიო პროლეტარიატისა და იმ მშრომელი კაცობრიობის ენერგიულ მისწრაფებას თავისუფლებისადმი და რევოლიუციონურ გამარჯვებისადმი, რომელსაც სპაგრავს და ჰყვლეფს ძირდამპალი კაპიტალიზმი, მტაცებლურ - მხეცური იმპერიალიზმი!

ტყუილად კი არ იწყებენ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მშრომელები თავის წელთაღრიცხვას დიდი ოქტომბრის დროიდან.

ოქტომბრის რევოლიუციის გამარჯვება ძირითად გარდატეხას ნიშნავს კაცობრიობის ისტორიაში.

ოქტომბრის რევოლიუციამ შექმნა პროლეტარული რევოლიუციების ახალი ეპოქა კაპიტალიზმ - იმპერიალიზმის ყველა ქვეყანაში.

ოქტომბრის ქარცეცხლში წარმოშობილმა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით გადალახა მის გზაზე გადაღობილი ყველა სიძნელე და შეუდგა იგი „მშვიდობიან" სოციალისტურ მშენებლობას. პროლეტარიატმა თავისი საუკეთესო შვილების სისხლით მოიპოვა სოციალიზმის შენების შესაძლებლობა. ჩვენს ქვეყანაში, სადაც პროლეტარიატის დიქტატურა დამყარებულია მუშებისა, მოჯამაგირეებისა და ღარიბი გლეხების მტკიცე კავშირზე საშუალო გლეხთა უდიდეს მასასთან, სადაც ამ დიქტატურას ხელმძღვანელობს კომპარტია, მართლაც ყველა საჭირო პირობა არსებობს დღესვე რომ შეიქმნას სრული სოციალისტური საზოგადოება, რასაკვირველია მსოფლიო პროლეტარული რევოლიუციის გამარჯვების მოლოდინში და მზადებაში.

ჩვენმა ქვეყანამ, საბჭოთა კავშირმა, რომელიც კულტურულად და ეკონომიურად ჩამორჩენილი, იმპერიალისტური და სამოქალაქო ომებით გაღარიბებული ქვეყანაა, თავი დააღწია ნგრევას მხოლოდ მუშათა კლასისა და მშრომელი გლეხობის შრომით, საკავშირო კომპარტიის (ბ) ხელმძღვანელობით და შეუდგა ახალ სოციალისტურ მშენებლობას.

მუშათა კლასი ჰქმნის ახალ ფაბრიკა - ქარხნებს და ელექტროსადგურებს, საძირკველს უყრის ახალ მადაროებს, ახალ ტეხნიკას და ამით თავის ქვეყნის ინდუსტრიალიზაციას ახდენს. იგი ხელახლა აწყობს მრეწველობას ახალ ტეხნიკურ საფუძველზე... მაგრამ იგი თავის ამოცანად ისახავს მთელი სასოფლო მეურნეობის გარდაქმნასაც, მის ინდუსტრიალიზაციას.

ინდუსტრიალიზაციის მნიშვნელობა ძალიან დიდია, ის ერთად - ერთი საშუალებაა საქონლის სიმცირის მოსასპობადაც, იგი აგრეთვე ძირითადი ხაზია ჩვენი სოციალისტური მშენებლობისა მთელი წარმოების სოციალისტურ რაციონალიზაციასთან ერთად, — მთელი სახალხო მეურნეობის — მრეწველობის, მიწადმოქმედების, ქვეყნის მართვა - გამგეობის სოციალისტურ რაციონალიზაციასთან ერთად. საჭიროა არა მარტო მსუბუქი ინდუსტრია, რომელიც მოსახმარ პროდუქტებს გვაძლევს, არამედ უფრო მეტად მძიმე ინდუსტრია, რომელიც იარაღებს და მანქანებს გვაძლევს თვით მსუბუქი ინდუსტრიისათვისაც, მიწადმოქმედებისათვისაც, ე. ი. გვაძლევს წარმოების საშუალებებს, წარმოების იარაღებს.

სახალხო მეურნეობის ინდუსტრიალიზაცია მოითხოვს მილიარდების დაბანდებას, და მისი განხორციელება ხანგრძლივ დროს ჰგულისხმობს. ქალაქისა და სოფლის მშრომელებო! შევამოკლოთ ეს დრო ინდუსტრიალიზაციის მე-2 სესხის განაღდებით!

სოციალისტური მშენებლობის თვითეულ წელიწადს ახალ - ახალი გამარჯვება მოაქვს. დიდია ელექტროფიკაციის მნიშვნელობა, რადგან იგი წარმოადგენს ყველაზე უფრო დაწინაურებული ტეხნიკით საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის უზრუნველყოფის საშუალებას.

ამგვარად, მრეწველობის გარდაქმნასთან ერთად მუშათა კლასი თავის ამოცანად ისახავს მთელი სოფლის მეურნეობის გარდაქმნასაც და, როგორც ვხედავთ, ჩვენი სიღარიბისა და სუსტი კულტუროსნობის მიუხედავად, სოფლის მეურნეობაც ძლიერდება და ვითარდება.

დღევანდლამდე ჩვენი გლეხური მეურნეობა ჯერ კიდევ წვრილია. ეს უმცირესი მეურნეობა ნაკლებად მომგებიანია, ძალიან ძვირად ჯდება და მას შრომის ნაყოფიერებაც სუსტი აქვს. საჭიროა მისი გარდაქმნა, სახელდობრ, მსხვილი მეურნეობის განვითარება კოოპერატიულ საფუძველზე, საჭიროა კოლექტიურ და საბჭოთა მეურნეობების განვითარება.

საწარმოო - კოოპერატიული გაერთიანება, — კოლექტივიზაცია და საბჭოთა მეურნეობანი, — ერთადერთი რეალური გზაა, რომ ჩვენი ქვეყნის წვრილ მეურნეობას მსხვილი წარმოების უპირატესობანი მიეცეს — ახალი მოწყობილობა - იარაღებით და ტეხნიკისა და მეცნიერების უმაღლეს მიღწევათა გამოყენებით. მოჯამაგირეებთან და ღარიბ გლეხებთან ერთად, ამ აზრს ადგებიან წვრილი მწარმოებლებიც საშუალო გლეხებიდან, რასაც ადასტურებს უკანასკნელი წლისა და უკანასკნელი თვეების ფართო საწარმოო გაერთიანებათა თითქმის სტიქიური ზრდა. საბჭოთა და კოლექტიურ მეურნეობათა მშენებლობა საუკეთესო და პირდაპირი სოციალისტური გზაა წვრილი გლეხური მეურნეობის ჩამორჩენილობისა და დაქუცმაცების დასაძლევად. წინ, მსხვილ კოლექტიურ მიწათმოქმედებისაკენ! საწარმოო კოპერაციაში გაერთიანების წარმატების წინასწარი პირობაა ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია მრეწველობაშიაც და მიწათმოქმედებაშიაც. ხელი შეუწყოთ და დავეხმაროთ ღარიბ და საშუალო გლეხთა ინდივიდუალურ მეურნეობებს, რათა მათ აწიონ შრომის ნაყოფიერება, რათა ისინი ჩაებან კოლექტიურ მეურნეობებში, ე. ი. მსხვილ კოლექტიურ გაერთიანებებში, რომლებსაც ექნებათ ახალი მოწყობილობა, იარაღები და დაწინაურებული ტეხნიკა.

გავაძლიეროთ პროლეტარიატის დიქტატურა ლენინის [illegible] მტკიცედ გატარებით: „უნდა მოვახერხოთ შეთანხმება საშუალო გლეხობასთან, არც ერთ წუთს ხელი არ ავიღოთ კულაკთან ბრძოლაზე და მტკიცედ დავეყრდნოთ მხოლოდ ღარიბ გლეხობას".

სოციალიზმის შეტევა ამწვავებს კლასობრივი მტრების წინააღმდეგობას, — ამიტომ უფრო ძლიერი იერიში კულაკის, ნეპმანის, დამზიანებელის და მათი დამხმარე ბიუროკრატის წინააღმდეგ!

პროლეტარიატის მტრებს სურთ გამოიყენონ სოციალისტური მშენებლობის სიძნელენი საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. რევოლიუციაში გამობრძმედილ პროლეტარიატს სიძნელენი არ აშინებენ. ამიერ - კავკასიის და საერთოდ დიდი საბჭოთა კავშირის ყველა ეროვნების მოჯამაგირეები, ღარიბი და საშუალო გლეხები პროლეტარიატისა და მუშურ-გლეხური სახელმწიფოს დაუღალავი დახმარებით გაიკაფავენ გზას, რომელმაც უნდა აღორძინოს და განავითაროს სოფლის მეურნეობაც, მძიმე და მსუბუქი მრეწველობაც და მოახდინოს სახალხო მეურნეობის ყველა ამ დარგის ინდუსტრიალიზაცია.

საბჭოთა სისტემა საშუალებას გვაძლევს ყოველ წელიწადს რეგულიარულად შევამოწმოთ მთელი ჩვენი სახელმწიფოებრივი ორგანიზმის მოქმედება. ჩვენში ახლა ორ წელიწადში ერთხელ საბჭოთა კავშირის ხელისუფლების უზენაესი ორგანოების არჩევნები სწარმოებს.

გამოვაცოცხლეთ საბჭოები! სახელმწიფო აპარატი მასებს დაუახლოვოთ და გავწმინდოთ იგი ბიუროკრატებისაგან. საბჭოების საშუალებით განვავითაროთ ქალაქისა და სოფლის მასების შემოქმედებითი ძალები!

საბჭოთა წყობილებამ აამოძრავა საბჭოების დიდი ქვეყანა და აღმოსავლეთის ქალიც კი საზოგადოებრივი მოღვაწეობის სარბიელზე გამოიყვანა. საჭიროა გავაძლიეროთ მუშა და გლეხქალების მონაწილეობა საბჭოების მუშაობაში. გლეხო ქალო — გაეშურე საბჭოების არჩევნებზე! ღარიბო და მოჯამაგირე ქალო — წინ იდექ!

ჩავაბათ აღმოსავლეთ მშრომელ ქალთა მასები საბჭოებში, — რაც შეიძლება მეტნი სოფლისა და სხვა უმაღლეს საბჭოებში და მათ ორგანოებში — დაირის, უბნის და თემის აღმასკომებში, თვით ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებშიაც.

საბჭოების მომავალი არჩევნები ხელსაყრელ პირობებს ჰქმნიან, რომ გაძლიერდეს როლი კომკავშირელისა და პიონერისაც კი (არჩევნებისათვის მზადებაში) საბჭოთა მშენებლობაში. კომკავშირელო! განამტკიცე ოქტომბრის საქმე! ქარხანაში საუკეთესო მწარმოებელი იყავ, მიწათმოქმედებაში აგრიკულტურის რევოლიუციონერი და საუკეთესო კოლექტიური მეურნე, საბჭოში — ყველაზე აქტიური მუშაკი!

მშრომელ გლეხობასთან დაკავშირებული მუშათა კლასი, რომ ხელისუფლებას დაეპატრონა, მან დაამტკიცა, რომ კულტურის ნამდვილი მატარებელია. გულშემზარავი „კულტურული" მემკვიდრეობა მივიღეთ ცარიზმისაგან.

მოვსპოთ წერა-კითხვის უცოდინარობა, გავაუმჯობესოთ სკოლები, კლუბები და სამკითხველოები, გავაძლიეროთ ბრძოლა ლოთობასთან, შევებრძოლოთ ხუცების ყალთაბანდობას. გაუმარჯოს კულტურულ რევოლიუციას!

დავიცვათ ლენინური ხაზის სიწმინდე, შევებრძოლოთ ყოველგვარ ოპორტუნიზმს, მასთან შემარიგებლობას და ამით უზრუნველვყოთ ჩვენი პარტიის წარმატება და სოციალიზმის სრული გამარჯვება საკავშირო კომპარტიის (ბოლშევიკების) ლენინური ც. კ.-ის ხელმძღვანელობით!

გაუმარჯოს ლენინიზმს!

მსოფლიო ბურჟუაზია მახვილს ლესავს პროლეტარული დიქტატურის — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის წინააღმდეგ.

გაუმარჯოს წითელ არმიას — საბჭოთა კავშირის მშვიდობიანობის პოლიტიკის ბურჯს და ოქტომბრის მონაპოვართა ერთგულ დარაჯს!

პროლეტარული დიქტატურის განმტკიცება საბჭოთა კავშირში, სოციალისტური მშენებლობის წარმატებანი, გავლენისა და ავტორიტეტის ზრდა პროლეტარულ მასებსა და იმპერიალიზმისაგან დაჩაგრულ კოლონიებისა და ნახევარ კოლონიების ხალხებს შორის, — გულისხმობს საერთაშორისო სოციალისტური რევოლიუციის განგრძობას, გაძლიერებას და გაშლა-განვითარებას! გაუმარჯოს მსოფლიო პროლეტარულ კომუნისტურ რევოლიუციას!

„დაე ძრწოდნენ გაბატონებული კლასები კომუნისტური რევოლიუციის მოლოდინში. პროლეტარებს შეუძლიათ დაჰკარგონ მხოლოდ ბორკილები, შეძენით კი მთელ მსოფლიოს შეიძენენ"... „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!"

ეს სიტყვები კომინტერნის პროგრამაშია და მარქსისა და ენგელსის ცნობილ „კომუნისტურ მანიფესტში".

კომინტერნის პროგრამა — მსოფლიო პროლეტარული რევოლიუციის გზის მანათობელი ვარსკვლავია. გაუმარჯოს კომუნისტურ ინტერნაციონალს—კომუნიზმის გამარჯვების ორგანიზატორს მთელს მსოფლიოში!

ჩვენს ოქტომბრის გამარჯვებას ყველა ქვეყნის პროლეტარები დღესასწაულობენ; ამ დღეს პატივისცემით ეგებებიან მთელი დედამიწის ყველა ნაწილის დაჩაგრული ხალხებიც.

გაუმარჯოს მსოფლიო ოქტომბერს!

გაუმარჯოს დიდ საბჭოთა კავშირს —პროლეტარიატის დიქტატურის პირველ ქვეყანას მისი არსებობის მეთერთმეტე წლის თავზე!

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის შემოქმედსა და შემქმნელს ლენინურ კომპარტიას.

მიხა ცხაკაია.

ფ. მახარაძე

ლენინის ანდერძს განვახორციელებთ

შესრულდა სრული **თერთმეტი წელიწადი** იმ დღიდან, რაც **მსოფლიო ისტორიაში** დაიწყო სრულიად **ახალი ხანა:** 1917 წლის 7 ნოემბერს (25 ოქტომბ. ძვ. სტ.) **მუშათა კლასი** ერთ უდიდეს სახელმწიფოში რუსეთში, **დაეპატრონა სახელმწიფო ძალაუფლებას,** და დღემდის მას ეს ძალაუფლება მაგრად უპყრავს ხელში. ეს მოხდა ერთ ქვეყანაში, მაგრამ ეს ქვეყანა მას შემდეგ დგას მთელი მსოფლიოს ყურადღების ცენტრში. მას შემდეგ, მთელი კაცობრიობა გაიყო ორ დიდ ბანაკად: ბურჟუაზიულ - კაპიტალისტურად და პროლეტარულად. ეს დაყოფა გრძელდება დღემდის. მართალია, ის უკვე დიდი ხნიდან არსებობდა,—მას შემდეგ, რაც გაჩნდა კლასთა ბრძოლა,—მაგრამ ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ ეს დაყოფა გაცილებით უფრო მკვეთრად და ნათლად ჩამოყალიბდა, და **კლასობრივი ბრძოლა,** რომელიც დიდი ხანია არსებობდა, ამიერიდან გასაოცარი სისწრაფით გამწვავდა. ბრძოლა სწარმოებს **კაპიტალიზმსა და სოციალიზმს** შორის: რომელი იმათგანი დასძლევს და გაიმარჯვებს, ან რომელი დამარცხდება და მოისპობა?

კაპიტალიზმი **ჩაგვრის და მონობის გამოხატულებაა, სოციალიზმი კი — ძმობის და თანასწორობის.** დიდი ოქტომბრის რევოლიუციის პირველი სახელმწიფო — **საბჭოთა კავშირი**— წარმოადგენს ქვეყანას, სადაც **სოციალიზმი** უკვე შენდება. დანარჩენი ქვეყნები კი ჯერ კიდევ კაპიტალიზმის ბატონობის ქვეშ იმყოფებიან. საბჭოთა სახელმწიფოს მიზანი სოციალიზმის დამყარებაა, ხოლო ბურჟუაზიულ სახელმწიფოების მიზანი კი—კაპიტალიზმის შენარჩუნება და გამაგრება. ამნაირად, საბჭოთა სახელმწიფოს და ბურჟუაზიულ სახელმწიფოების მიზნები პირდაპირ და აშკარად ეწინააღმდეგებიან ერთმანეთს. ამიტომ იმათი მოქმედებანი ყოველ ფეხის ნაბიჯზე ეჯახებიან ერთმანეთს. იმათი **შერიგება შეუძლებელია.** სრულებით ბუნებრივია ის, რომ თითოეული იმათგანი იბრძვის როგორც თავის არსებობის გასამაგრებლად, ისე თავის მოწინააღმდეგის გასანადგურებლად და მოსასპობად. ეს **სამკვდრო - სასიცოცხლო ბრძოლა** გრძელდება სულ უფრო და უფრო მეტი გამწვავებით. ყოველი დღე, ყოველი საათი იძლევა ამ ბრძოლის გამწვავების უამრავ ფაქტებს. მასთან თითოეული დღე და თითქმის თითოეული საათიც, წლებზე რომ თავი დავანებოთ, ან გვაახლოვებს ჩვენ, სოციალიზმის მესვეურებს, საბჭოთა ქვეყნებს, ჩვენი მიზნის განხორციელებასთან, ან გვაშორებს მას. ასევე ითქმის კაპიტალიზმის მესვეურებზედაც. როგორც ჩვენ, ისე ისინიც, ვზომავთ და ვანგარიშობთ იმას, რასაც ჩვენ მივაღწიეთ განვლილი წლის, თვის ან დღის განმავლობაში, და აგრეთვე იმასაც, რაც უნდა გაგვეკეთებია განსაზღვრულ ვადაში და ვერ გავაკეთეთ, ან ვერ მოვასწარით, რომ გაგვეკეთებია. ჩვენ ანგარიშს ვუკეთებთ როგორც მიღწევებს, ისე დეფექტებს ამა თუ იმ დარგში, და აქედან გამოგვყავს საერთო ჯამი ჩვენი მშენებლობისა, წავიწიეთ წინ, გადავდგით ნაბიჯი წინ სოციალიზმისაკენ, თუ დავიხიეთ უკან.

ჩვენი ზეიმი ოქტომბრის რევოლიუციის ყოველი წლის თავზე არის იმავე დროს სრულიად პირუთვნელი, ობიექტიური ანგარიში და შესწავლა იმის, თუ რა გაკეთდა და როგორ გაკეთდა ჩვენში ამ ხნის განმავლობაში სოციალიზმის სასარგებლოდ; თუ ვერ გაკეთდა, რა იყო ამის მიზეზი? თუ დაგვიანდა, ან ვერ გაკეთდა ისე, როგორც ჩვენ გვქონდა განზრახული, რამ გამოიწვია ეს? რა უწყობდა ხელს ჩვენ აღმშენებლობას ან რა აფერხებდა მას? ზეიმი ეს ერთი მხარეა; მხოლოდ ის, საჭიროა, მაგრამ მასთან ერთად კიდევ უფრო საჭიროა **დაუზოგველი კრიტიკა და თვითკრიტიკა** მთელი ჩვენი მოღვაწეობისა და მუშაობისა, ამ მუშაობის დეფექტების და შეცდომების აღმოსაჩენად მომავალში იმათი თავიდან აშორების მიზნით. ჩვენი ზეიმი ოქტომბრის რევოლიუციის წლის თავზე **ოდნავაც არ უნდა გადაიქცეს თავისი თავის ქებად.** მან არ უნდა დაფაროს დეფექტები და შეცდომები, ერთი სიტყვით, ზეიმი არ უნდა გადაიქცეს ოფიციალურ საქმედ, რომ ყველაფერი რიგზეაო და სხვ. ეს ჩვენ არ გვესაჭიროება, ეს ჩვენ ზიანს გარდა არაფერს მოგვიტანს. და ეს მით უმეტეს, რომ ჩვენი მიღწევები სოციალისტურ აღმშენებლობაში იმდენათ დიდია, რომ ის შეცდომები და დეფექტები, რომლებიც ამ მიღწევებს თან ახლავთ, იმათ მაინც ვერ დაჩრდილავენ. მაგრამ, მიუხედავათ ამისა, ამ დეფექტებს და შეცდომებს ჩვენ გვერდს მაინც ვერ აუვლით.

თუ ჩვენ ასეთი მეთოდით მივმართავთ განვლილ მეთერთმეტე წელიწადს, ჩვენ იქ დავინახავთ უდიდესი მნიშვნელობის ფაქტებს არა მარტო საბჭოთა კავშირის, არამედ მთელი მსოფლიოს მასშტაბითაც. ეს გამოიხატება უწინარეს ყოვლისა საბჭოთა **სახალხო მეურნეობის შეუჩერებელ ზრდაში,** რაც თავის მხრივ გამოწვეულია **საწარმოო ძალების ასეთივე ზრდა განვითარებით.** პირველ რიგში დგას მრეწველობა, განსაკუთრებით ის დარგი, რომელსაც ეწოდება **მძიმე ინდუსტრია** (თუჯი, რკინა, ფოლადი და მანქანების კეთება); გასულ წელს მრეწველობაში საერთოდ დაბანდებულ იქნა 1.300 მილ. მანეთი, ხოლო მდგომარე 1928 — 29 წელს კი დაბანდებულ უნდა იქნას დაახლოვებით **1.650 მილ. მან.** მარტო ეს ფაქტიც საკმარისია იმის დასამტკიცებლად, თუ რა ყურადღება აქვს მიპყრობილი მრეწველობის განვითარებას. ამასთანავე ჩვენ შეუდექით მრეწველობის ყველა დარგის **მექანიზაციას** (კონვეიერი, შეუწყვეტელი დენა), ე. ი. მექანიკურ საშუალებათა უფრო მეტ გამოყენებას, და აპარატის **რაციონალიზაციას,** ე. ი. მისი უკეთესად და ყაირათით მოწყობას.

უნდა ვთქვათ, რომ როგორც მექანიზაციის, ისე რაციონალიზაციის მხრით მხოლოდ გასულ წელს იქნა გადაჭრილი ნაბიჯი წინ გადადგმული. რა თქმა უნდა, ეს მხოლოდ დასაწყისია, ეს მხოლოდ პირველი ნაბიჯია. მასთან ერთად ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციამ, თანახმად პარტიის უკანასკნელ ყრილობების დადგენილებებისა, განვლილ 1927—28 წ. უკვე გამოიღო ნაყოფი: მრავალი ახალი ფაბრიკა-ქარხანა ამოქმედდა, და იმათში ისეთები, სადაც აკეთებენ თვით წარმოებისათვის საჭირო იარაღებს, სხვადასხვა მანქანებს, რომლებიც ჩვენ საზღვარგარეთიდან შემოგვაქვს.

მრეწველობასთან დაკავშირებულია ერთი მხრით **ელექტროფიკაცია,** ელექტრონული წარმოება და მეორე მხრით **საგზაო საქმე.** ორივე ამ დარგში ჩვენი საბჭოთა კავშირი საერთოდ მეტის - მეტად ჩამორჩენილია დღემდის სხვა ქვეყნებთან შედარებით. განვლილ 1-2 წლ. განმავლობაში აქაც ჩვენ გადავდგით დიდი ნაბიჯი წინ. ასე, მაგ., მომავალ 1928 — 29 წელს ელექტროენერგიის წარმოება მთელ კავშირში შეადგენს უკვე 1913 წელთან შედარებით **340%-ს.** რაც შეეხება მიმოსვლის საქმეს, აქ ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია დავასახელოთ მხოლოდ **თურქესტან - ციმბირის რკინისგზა,** რომლის გაკეთება დაწყებულ იქნა დაახლოვებით 1—1½ წლის წინედ და, რომელიც უნდა დამთავრდეს სულ მოკლე ხანში. ამ გზის მნიშვნელობა შეიძლება შედარდეს მხოლოდ ციმბირის რკინისგზას, რომელიც აერთებს ციმბირს ევროპის ქვეყნებთან. რაც შეეხება **საავტომობილო საქმეს,** უნდა ითქვას, რომ ამ დარგშიაც გასულ წელს აქვს რამდენიმე მიღწევა, ყოველ შემთხვევაში ჩაეყარა საფუძველი ამ საქმის გაუმჯობესებას.

ახლა რამდენიმე სიტყვა **სასოფლო მეურნეობაზე.** როგორც ვიცით, გასულ წელს პურის დამზადების დროს გამოირკვა, რომ სასოფლო მეურნეობის განვითარება უკან ჩამორჩენოდა მრეწველობის განვითარებას, რომ სასოფლო მეურნეობის განვითარების ტემპი შედარებით სუსტი გამოდგა. სხვათა შორის, ეს გარემოება შეიქნა ერთი მიზეზთაგანი პურის დამზადების გართულებისა გასულ წელს. აქ აღმოჩნდა ჩვენი სახალხო მეურნეობის დაგეგმვის საქმეში სასოფლო მეურნეობისათვის საკმარისი ყურადღების მიუქცევლობა, რაც შემდეგში ყოვლად დაუშვებლად იქნა ცნობილი როგორც პარტიის, ისე ხელისუფლების სათანადო უმაღლესი ორგანოების მიერ; ეს რეალურად გამოიხატა მოსავალ წელს სასოფლო მეურნეობაში სხვადასხვა წყაროების სახით დაახლოვებით **1.030 მილიონ მანეთის** დაბანდვით, ე. ი. თითქმის **300 მილ.** მანეთით მეტი, ვინემ გასულ წელს. აქ მხედველობაში მიღებული არაა კიდევ შემდეგი: კონტრაქტაციის ხაზით სასოფლო მეურნეობას მიეცემა კიდევ **300 მილ. მან.** 1927 — 28 წელს გაღებულ 170 მილ. მანეთის მაგიერ, და სხვადასხვა. უნდა ვიგულისხმოთ, რომ ამოდენა ფულის გადება სასოფლო მეურნეობის გასაუმჯობესებლად დიდ გავლენას მოახდენს სახალხო მეურნეობის ამ დარგზე. რა თქმა უნდა, მას ერთბაშად ვერ გამოიყვანს იმ დაქვეითებული მდგომარეობიდან, რომელშიაც ის იმყოფება, მაგრამ უთუოდ მას დიდად წასწევს წინ. როგორც ვიცით, ჩვენ სასოფლო მეურნეობას მრავალი დიდი ნაკლი აქვს.

უპირველეს ყოვლისა მეტად **დაბალი მოსავლიანობა,** რაც აიხსნება სასოფლო მეურნეობის მეტის - მეტად დაბალი ტეხნიკით, სხვადასხვა აგრონომიულ ღონისძიებათა ნაკლებობით ან იმათი სრული უქონლობით. შემდეგ **მიწის სარგებლობის წვრილი, დაქუცმაცებული** ფორმა ცალკე ინდივიდუალურ წარმოების ნიადაგზე, რაც აგრარულ რევოლიუციის პირდაპირი შედეგია, რომელმაც მოსპო ჩვენში მსხვილი კერძო მიწადმფლობელობა და მიწა გადასცა დასამუშავებლად მშრომელ გლეხებს. ეს რევოლიუცია აუცილებელი იყო. მაგრამ დღეს ყველასათვის აშკარაა ის, რომ ეს გარემოება მუხრუჭად ხდება არა თუ სოციალისტური მიწადმოქმედების განვითარებისათვის, არამედ თვით სასოფლო მეურნეობის გაუმჯობესების საქმეში ცოტად თუ ბევრად არსებით ცვლილებების მოსახდენისათვის, ე. ი. მაღალი ტეხნიკის შეტანისათვის. ამიტომ უკვე დროა, რომ ამ საქმეში ძირითადი გარდატეხა მოხდეს. პარტიამ და ხელისუფლებამ უკვე დაასახელა ის გზა და ის საშუალებები, რომლითაც უნდა განვითარდეს საბჭოთა ქვეყანაში სასოფლო მეურნეობა, რომ ის გადაიქცეს სოციალისტურად. ესაა **საბჭოთა მეურნეობანი;** ერთი მხრით და სხვადასხვა სახის **კოლექტიური მეურნეობანი** მეორე მხრით. აქამდის, როგორც საბჭოთა მეურნეობანი, ისე კოლექტიური მეურნეობანი მეტად უმნიშვნელო როლს თამაშობდენ სასოფლო მეურნეობაში. გასულ წელს მიღებულ ღონისძიებათა მეოხებით ასეთ მდგომარეობას ბოლო უნდა მოეღოს სულ ახლო ხანში. უკვე ჩაეყარა საფუძველი რამდენიმე ათეულ უზარმაზარ საბჭოთა მეურნეობებს საერთოდ რამდენიმე მილიონ ჰექტარ მიწაზე. იმათ მოსაწყობად და საქმის საწარმოებლად უკვე გადადებულია რამდენიმე ასი მილიონი მანეთი. ეს საბჭოთა მეურნეობანი უნდა გახდენ **ნამდვილ სოციალისტურ ფაბრიკა - ქარხნებად სოფლად.** იმათ გვერდით თვით **ღარიბ და მოჯამაგირე—გლეხების** ინიციატივით უნდა აღორძინდენ და განვითარდენ სხვადასხვა სახის კოლექტიური მეურნეობანი, რომლებიც უნდა შეიქნენ **სოციალისტური მშენებლობის უჯრედებათ სოფლად.** გასულ წელს მიღებულ იქნა აგრეთვე რეალური ზომები კოლექტიურ მეურნეობათა დაჩქარებით ზრდის უზრუნველყოფისთვის როგორც ხელმძღვანელობის, ისე ფინანსიური დახმარების მხრით სახელმწიფოსაგან.

ამნაირად, სოციალიზმის შენება საბჭოთა კავშირში გრძელდება ინტენსიურად და აჩქარებული ტემპით. სახალხო მეურნეობის სოციალისტური სექტორი როგორც ქალაქად, ისე სოფლად შეუწყვეტლად მატულობს და იზრდება და, მაშასადამე, თანდათან და სწრაფად კლებულობს შედარებითი ხვედრითი წონა წარმოებაში კერძო სექტორისა. ასევე ხდება ვაჭრობის დარგშიაც. წინა წლებში ეს პროცესი მეტად ნელი ტემპით ვითარდებოდა სოფლად. ჩვენ ვიცით, რომ კერძო ვაჭარი თუ მწარმოებელი გაძევებული ქალაქიდან თავს აფარებდა სოფელს, სადაც პირობები მისთვის შედარებით უფრო ხელსაყრელი იყო. მაგრამ ახლა უკვე იქაც ვიწროვდება მისთვის სარბიელი. გადასახადის სისტემა, რომელიც ყველაზე უწინ აწვება მთელი თავისი სიმძიმით სოფლის მდიდარს და შეძლებულ ნაწილს, ერთი მხრით, და ღარიბების და მოჯამაგირეების დაჯგუფებანი და იმავე დროს იმათთვის დახმარების სისტემატიურად მიწოდება მთავრობისაგან, მეორე მხრით, — ყოველივე ეს სამუდამოდ უკარგავს კულაკურ ელემენტებს გავლენას და გასაქანს არ იძლევა ფრთების გასაშლელად. ამ გარემოებას უკანასკნელ ხანებში, განსაკუთრებით გასულ წელს არ შეეძლო არ **გაემწვავებია კლასთა შორის ბრძოლა სოფელში.** კულაკები, ბრაზმორეულნი იმიტომ, რომ წინანდებურად ველარ ავიწროვებენ ღარიბ გლეხებს და მოჯამაგირეებს, აწარმოებენ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ აგიტაციას, ავრცელებენ მის წინააღმდეგ ათასგვარ ცილისწამებას და პროვოკაციას. ამის საპასუხოდ ჩვენც უნდა გავაძლიეროთ იმათ წინააღმდეგ დაწყებული შეტევა, რა თქმა უნდა, არა ადმინისტრატიული **ზომებით,** არამედ ეკონომიური ღონისძიებებით, რაზედაც მოკლედ ზევით იყო ნაჩვენები.

მიუხედავად საბჭოთა ხელისუფლების უდიდესი გამარჯვებებისა ბურ**ჟუაზიაზე** და მემამულეებზე, **რო-**



მხატვარ პ. შუხმინის სურათი

ისინი, ვინც შექმნა ოქტომბერი

ამ.-კავკასიის ცაკის მოწოდება

მუშებო, გლეხებო და წითელარმიელნო!

დღეს დიდი საბჭოთა კავშირის მუშათა კლასი და მშრომელი გლეხობა დღესასწაულობს პროლეტარულ დიქტატურის მეთერთმეტე წლის თავს. მსოფლიოში პირველმა მშრომელთა რესპუბლიკამ ფეხი შესდგა სოციალისტურ სახელმწიფოს ძლევამოსილი მშენებლობის მეთორმეტე წელში.

დიდი ოქტომბრის დღე არის იმის შემოწმების დღე, თუ რამდენად ვასრულებთ ჩვენ იმ გზას, რომელიც დაგვისახა ოქტომბრის რევოლიუციამ და რომელზედაც მიგვითითა ჩვენმა ბელადმა—**ვ. ი. ლენინმა.**

პროლეტარულმა რევოლიუციამ ფეხი შესდგა მეთორმეტე წელში. თითონ ეს ფაქტი მოწმობს იმას, რომ მიუხედავად მენშევიკების და მუშათა კლასის სხვა მოღალატე თეთრგვარდიელ - კონტრრევოლიუციონერების ყოველგვარი წინასწარმეტყველებისა პროლეტარული დიქტატურა წინ მიდის ახალი გამარჯვებებისაკენ სოციალისტური მშენებლობის გზებზე.

ეს მშენებლობა მარტო ჩვენი არ არის—ეს არის მთელი მსოფლიო პროლეტარიატის მშენებლობა. ამ 11 წლის განმავლობაში მსოფლიო პროლეტარიატი ფხიზლად ადევნებს თვალყურს ჩვენს ქვეყანას და მისი მაგალითით სწავლობს ძლევამოსილი პროლეტარული რევოლიუციის მოწყობის ხელოვნებას. საერთაშორისო იმპერიალიზმი ყველა ჯურის და ელფერის სოციალ-ლაქიებთან ერთად სცდილობს ჩაახშოს კომუნისტური მოძრაობა მთელს მსოფლიოში, განსაკუთრებით საბჭოთა კავშირში და გადასდოს თავისი აუცილებელი დაღუპვის ჟამი. ამ ჩვენთვის სასიხარულო დღეს ჩვენ უნდა ვუპასუხოთ მათ მთელი პროლეტარიატის რიგების შემჭიდროებით და მტკიცე, მედგარი და გადამწყვეტი შეტევით კულაკებზე, ნეპმანებზე და მათ მოკავშირე მსოფლიო კაპიტალზე.

საბჭოთა კავშირის შიგნით ეს თერთმეტი წელი იყო წლები პროლეტარული დიქტატურის ძლევამოსილი მსვლელობისა ახალ სოციალისტური გამარჯვებებისაკენ. ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია, სოფლის მეურნეობის აგება ახალ, კოლექტიურ საფუძვლებზე, ჩვენი ქვეყნის თავდაცვის უნარის განმტკიცება— ეს არის პროლეტარული დიქტატურის თერთმეტი წლის გზა!..

ამ გზაზე ჩვენ მრავალი დაბრკოლება გადავლახეთ და მომავალშიაც გადავლახავთ. კულაკები სოფლად, ნეპმანები ქალაქში და სახალხო მეურნეობის ყოველგვარი მავნებლები—როგორც მრეწველობაში, ისე მიწადმოქმედებაში,—ყოველნაირად სცდილობენ ხელი შეუშალონ ჩვენს სოციალისტურ წინსვლას. მაგრამ ისე როგორც ამ 11 წელიწადს, ჩვენ მომავალშიაც პროლეტარიატის რკინისებური ნებისყოფით ძირშივე ულმობელად აღვკვეთავთ ყველა იმ ცდას, რომელიც მიმართული იქნება დიდი ოქტომბრის მიერ დაწყებული საქმის ხელის შეშლისაკენ.

სოციალისტური მშენებლობის გზაზე შემდგომი წინსვლის დროს ჩვენ შეიძლება კიდევ უფრო დიდ დაბრკოლებებს შევხვდეთ, მაგრამ ეს ჩვენ არ გვაშინებს. ჩვენ ვაშენებთ სოციალიზმს ერთ ქვეყანაში, რომელიც გახვეულია მტრულ ძალებში გარედან და შიგნიდან, მტაცებელი იმპერიალისტებით და კულაკებისა და ნეპმანების წვრილბურჟუაზიული ფენებით... მსოფლიოს იმპერიალიზმის ეკონომიური ბლოკადის პასუხად ჩვენ გავაძლიერებთ ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის ტემპს, შინაგანი სესხების განაღდებას და გავაძლიერებთ საწარმოო საშუალებათა საკუთარ წარმოებას. კიდევ მეტი ლითონი და მანქანები, კიდევ მეტი ნავთი და ქვანახშირი—ასეთია ჩვენი ლოზუნგი და ჩვენი პასუხი მსოფლიო ბურჟუაზიისადმი.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ ჩვენი სოფლის შემდგომ განვითარებას და მის ყოველდღიურ საჭიროებათა დაკმაყოფილებას. სოფლის საჭიროებებისადმი ყურადღებით მოპყრობით, ღარიბ გლეხობაზე დაყრდნობით, საშუალო გლეხობასთან შეკავშირებით და კულაკთან განუწყვეტელი ულმობელი ბრძოლით ჩვენ მომავალშიაც წარმატებით წავიყვანთ სოფელს სოციალისტური მშენებლობის გზაზე. ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია შეუძლებელია ჩვენი სოფლის განვითარების გარეშე. ამიტომ ჩვენი მუდმივი ამოცანაა საწარმოო ძალთა განვითარება სოფლის სოციალისტური სექტორის გაძლიერების საფუძველზე, ყოველმხრივ დახმარების აღმოჩენა ღარიბი და საშუალო გლეხობის მეურნეობისათვის კოოპერაციაში მასიურად ჩაბმის, მოსავლიანობის გადიდების, მიწის დამუშავების წესების გაუმჯობესების, მეურნეობათა კოლექტივიზაციის და მსხვილი საბჭოთა მეურნეობების მოწყობის საფუძველზე.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ეს ამოცანები ჩვენი საბჭოთა ამიერ-კავკასიის სინამდვილეში. მეფის იმპერიალიზმის ყოფილმა კოლონიამ, დანგრეულმა მენშევიკურ-დაშნაკურ-მუსავატისტურ იმ მთავრობათა ბატონობით, რომელნიც აღვივებდნენ ეროვნებათა შორის შუღლს და ამიერ-კავკასიის ს. ფ. ს. რესპუბლიკის შემოქმედებითი ძალებს აფერხებდნენ, ამჟამად, ხალხთა ძმური თანამშრომლობის ნიადაგზე, დიდი ნაბიჯი გადასდგა წინ მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ინდუსტრიალიზაციის გზაზე. მაგრამ ამ გზაზე კიდევ ბევრი დაბრკოლებაა. ძირითადი დაბრკოლებაა უკულტურობა, წერა-კითხვის უცოდინარობა, ხუცების საწამლავი — „მკვდარი" და „ცოცხალი" რელიგიები და გვაროვნული ფეოდალური ყოფა-ცხოვრების ნაშთები, რომლებიც ამ.-კავკასიის მშრომელ მასებს მძიმე ტვირთად აწევა მხარზე.

ჩვენ მომავალშიაც უსასტიკესი ბრძოლა უნდა ვაწარმოვოთ წარსულის ამ მემკვიდრეობასთან, განსაკუთრებით ნაციონალიზმთან და შოვინიზმთან, და ყოველი ღონისძიებით მხარი უნდა დავუჭიროთ ამიერ-კავკასიის ს. ფ. საბჭოთა რესპუბლიკას.

ამიერ-კავკასიაში საბჭოების გადარჩევის მომავალი პოლიტიკური კამპანია საუკეთესო შემოწმება იქნება პროლეტარული დიქტატურის სიმძლავრისა და მისი მიღწევებისა ჩვენს დიადი საბჭოთა კავშირის ამ მნიშვნელოვან ნაწილში. ბიუროკრატიზმსა და საქმის გაჭიანურებასთან ბრძოლის ნიშნის ქვეშ, ქალაქისა და სოფლის ფართო პროლეტარული და ღარიბი გლეხობის მასების საჭიროებებისადმი უყურადღებობასთან ბრძოლის ნიშნის ქვეშ იგი შეამჭიდროვებს მშრომელებს საბჭოების, პროლეტარული დიქტატურის ორგანოების, ყველა კლასობრივი მტრის დასამარცხებელი ორგანოების გარშემო.

ოქტომბრის რევოლიუციის გზით, **ვ. ი. ლენინის** მიერ ნაჩვენები გზით საბჭოთა კავშირის პროლეტარიატი, მსოფლიო პროლეტარიატის ერთსულოვანი დახმარებით, სოციალიზმის აშენების საქმეს სრულ გამარჯვებამდე მიიყვანს!

მუშებო და მუშა ქალებო, სოფლის მოჯამაგირენო და მოჯამაგირე ქალებო, საშუალო [illegible] ერთსულოვან შემჭიდროვებულ ოჯახად მშრომელი ინტელიგენციის საუკეთესო ელემენტებთან ერთად წინ სოციალისტური მშენებლობის გზაზე!

გაუმარჯოს მსოფლიო ოქტომბერს!

გაუმარჯოს მუშათა და გლეხთა კავშირს!

გაუმარჯოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირს!

გაუმარჯოს ამ.-კავკასიის ს. ს. რესპუბლიკას—ამიერ-კავკასიის ხალხთა ნაციონალური მშვიდობიანობისა და ძმური თანამშრომლობის გარანტიას!

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **მიხა ცხაკაია.**

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ა. დოლიძე.**

7 ნოემბერი 1928 წ.
თბილისი—სასახლე.

საბჭოთა კავშირის ცაკის მიმართვა

მოკავშირე რესპუბლიკების ცაკებს, საბჭოთა საზოგადოებრივ ორგანიზაციებს და საბჭოთა კავშირის მშრომელთ

მოსკოვი, 6 ნოემბერი. საბჭოთა კავშირის ცაკის პრეზიდიუმს მოსდის მრავალი ცნობა საზოგადოებრივ ორგანიზაციებისაგან იმის შესახებ, რომ ადგილებზე განზრახული აქვთ ოქტომბრის რევოლიუციის მეთერთმეტე წლის თავზე განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ სამოქალაქო ომის დროს დალუპულ რევოლიუციონერთა ხსოვნას.

საბჭოთა კავშირის ცაკის პრეზიდიუმი მიესალმება მშრომელი მასების ამ ინიციატივას და საჭიროდ სცნობს ერთგვარი გეგმაშეწონილობა შეიტანოს დალუპულ წითელ მებრძოლთა ხსოვნის აღნიშვნის კამპანიაში და შექმნას ისეთი პირობები, რომლებიც უზრუნველყოფენ მშრომელთა ფართო მასების ჩაბმას ამ კამპანიაში.

ოქტომბრის მეთერთმეტე წლის თავი ამავე დროს არის წლის თავი ჩვენი გამარჯვებებისა სამეურნეო ფრონტზე და ჩვენი მიღწევებისა სოციალისტური მშენებლობის დარგში. ეს მიღწევები მომზადდა იმ გამარჯვებებით, რომლებიც ჩვენ მოვიპოვეთ სამოქალაქო ომის ფრონტზე. საბჭოთა ხელისუფლებისათვის დალუპული გმირი—რევოლიუციონერების უცნობი საფლავები გაფანტულია ჩვენი დიდ საბჭოთა სახელმწიფოს მთელ ტერიტორიაზე, ამიტომ ჩვენი ოქტომბრის დღესასწაულები, რომლებიც წარმოადგენენ ჩვენი გამარჯვებებისა და მიღწევებისათვის ჯამის გაკეთების დღეებს, ამავე დროს უნდა წარმოადგენდნენ დიადი საქმისათვის დალუპულ ამხანაგთა მოგონების დღეებს, იმ დღეებს, როდესაც მშრომელნი ვალდებული არიან სათანადოდ აღნიშნონ ამ მებრძოლთა ხსოვნა.

საბჭოთა კავშირის ცაკის პრეზიდიუმი ფიქრობს, რომ რევოლიუციისათვის დალუპულ მებრძოლთა ხსოვნის უკვდავყოფასთან დაკავშირებულმა ღონისძიებამ ერთის მხრივ ხელი უნდა შეუწყონ კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობას როგორც ქალაქში, ისე სოფლად—დალუპულ გმირთა სახელობის კულტურული კერების მოწყობას სამოქალაქო ომთან დაკავშირებულ ისტორიულ ადგილებში,—და მეორეს მხრივ უნდა უზრუნველჰყონ სამოქალაქო ომის გმირების საძმო სასაფლაოთა ადგილების კეთილმოწყობა.

ამ ღონისძიებათა უშუალო ამოცანა უნდა იყოს ბრძოლების ადგილებისა და საძმო სასაფლაოთაგან ისეთი ძეგლების შექმნა, რომლებიც უნდა მოწმობდნენ სამოქალაქო ომის გმირთა ვაჟკაცობას და შეიცავდნენ მოწოდებას შემდგომი გამარჯვებებისაკენ.

საბჭოთა საზოგადოებრივობამ უნდა გამოიჩინოს იმის ინიციატივა, რომ მთელს საბჭოთა კავშირში, ყველა ქალაქსა და სოფელში გაიმართოს საუბრები და სალამოები, რევოლიუციისათვის თავდადებულ მებრძოლთა ხსოვნის უკვდავსაყოფად. საბჭოთა ხელისუფლების ორგანოებთან საერთო მუშაობით საბჭოთა საზოგადოებრივობამ ცხოვრებაში უნდა გაატაროს მთელი რიგი ღონისძიებანი საძმო სასაფლაოთა მოსართავად, წითელ გმირთა ხსოვნის პატივსაცემად, ექსკურსიების მოსაწყობად იმ ადგილებში, სადაც სამოქალაქო ომის დროს სწარმოებდა გააფთრებული ბრძოლები, სადაც სამოქალაქო ომის დროს სწარმოებდა გააფთრებული ბრძოლები, სადაც გათხრილია დალუპულ მებრძოლთა ძმური სასაფლაოები და სხვ.

ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტებმა და ადგილობრივმა აღმასკომებმა ხელი უნდა შეუწყონ საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მუშათა და გლეხთა ცალკე ჯგუფების წინადადებებს დალუპულ მებრძოლთა ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ.

საბჭოთა კავშირის ცაკ ეჭვი არ ეპარება, რომ ადგილებზე გამოჩენილი ინიციატივა უახლოესსავე წელს ფართო გამოძახილს ჰპოვებს საბჭოთა კავშირის მშრომელ მასებში, ხოლო ცალკე რაიონების გამოცდილებას წითელ მებრძოლთა ხსოვნის უკვდავყოფის საქმეში გამოიყენებენ სხვა რაიონებიც, და სახელოვანი გმირული ბრძოლების ადგილები და დალუპულთა საფლავები მოექცევა ხელისუფლების ყველა ადგილობრივ ორგანოს და მშრომელთა—მუშათა და გლეხთა ყურადღებისა და ზრუნვის ცენტრში.

ამასთან ერთად საბჭოთა კავშირის ცაკ ეჭვი არ ეპარება, რომ მოკავშირე რესპუბლიკების ცაკები ფართოდ გამოიყენებენ ადგილებზე გატარებული სათანადო ღონისძიებების გამოცდილებას, გააღრმავებენ და განავითარებენ წითელ გმირთა ხსოვნის უკვდავყოფასთან დაკავშირებულ მუშაობას და ამით შექმნიან იმ პირობებს, რომლებიც საჭიროა საკავშირო ხასიათის ღონისძიებათა გატარებისათვის სამოქალაქო ომის მსხვერპლთა ხსოვნის უკვდავსაყოფად.

საბჭოთა კავშირის ცაკის თავმჯდომარე
კალინინი.

საბჭოთა კავშირის ცაკის მდივნის მოვალეობის აღმასრულებელი **ტოლოკონცევი.**

გორც პოლიტიკურად, ისე ეკონომიურად, ჩვენ უნდა განვაცხადოთ, რომ ბურჟუაზიის ფესვები ჩვენ ქვეყანაში ჯერ კიდევ არაა სავსებით აღმოფხვრილი. და სანამ კი ისინი არ აღმოფხვრილან საბოლოოდ, კულაკები და ვაჭრები არა თუ არ შესწყვეტენ საბჭოების წინააღმდეგ ბრძოლას, არამედ ეცდებიან ეს ბრძოლა კიდევ უფრო გააძლიერონ. ეს ჩვენ წინდაწინვე უნდა ვიცოდეთ. ეს კიდევ უფრო ითქმის უცხო ქვეყნების ბურჟუაზიაზე. მეტია იმაზე ლაპარაკი, თუ რას გვიპირებს ჩვენ უცხოეთის ბურჟუაზია. რამდენჯერ იყო იგი მზად ომის გამოსაცხადებლად და იმდენჯერვე ეს მას ჩაეშალა. მაგრამ თუ იმათ თოფის და ზარბაზნის ამუშავება ეძნელებათ, სამაგიეროდ ფინანსიური ომის წარმოება ჩვენს წინააღმდეგ ამ ვაჟბატონებს უფრო ადვილად უნდა ეხერხებოდეთ. რამდენჯერ მიმართეს მათ ამ იარაღს, თუ კრედიტების დახურვით, თუ პირდაპირ ეკონომიური ალყის შემორტყმით, თუ სხვადასხვა მუქარის სახით და სხვადასხვა. უნდა ვთქვათ, რომ ამ ნიადაგზე საერთაშორისო ბურჟუაზიამ ინგლისის ბურჟუაზიის მეთაურობით და ყარნახით რამდენიმედ ჩვენ მართლა მოგვაყენა ზიანი, მაგრამ სავსებით იმათ მაინც ვერ მიაღწიეს მიზანს. იმათ ვერ შესძლეს უარი ეთქვათ ისეთ საგნებზე, როგორიც არის ბაქოს ან გროზნოს ნავთი, ჭიათურის მარგანეცი, რუსეთის ხე-ტყე და სელი, ციმბირის ერბო და სხვადასხვა. და ჩვენც შემოგვაქვს იქიდან ჩვენთვის აუცილებლად საჭირო მანქანები და ნედლი მასალა, როგორიც, მაგ., ბამბა და სხვ. რა თქმა უნდა, მიუხედავად ამისა, საერთაშორისო ბურჟუაზია მუდამ მზადაა ჩვენ ჩაგვყლაპოს და მოგვსპოს, და ამის საშიშროება ოდნავაც არ შენელებულა აქნობამდის.

ყველა ამასთან შეუძლებელია ორიოდე სიტყვა არ ვთქვათ ერთი მხრით იმ დიდ გაჭირვებებზე და სიძნელეებზე, რის წინაშე ჩვენ ახლა ვდგევართ, და მეორე მხრით უმთავრეს ჩვენ შეცდომებზე. ესაა უპირველეს ყოვლისა სამრეწველო საქონლის ნაკლებობა შინაურ ბაზარზე, განსაკუთრებით გლეხობისათვის; ეს ნაკლებობა ჯერ კიდევ იქნება, ალბად 1—2 წლიწადს მაინც. ეს სიძნელე ჩვენ წინდაწინ უნდა ვიცოდეთ და მას ანგარიში უნდა გავუწიოთ. ამ სიძნელესთან დაკავშირებულია მეორე არა ნაკლები სიძნელე პურის დამზადების ნიადაგზე. ამ სიძნელეს უთუოდ დროებითი ხასიათი აქვს; ის არაა გამოწვეული მოუსავლიანობით; ეს მოვლენა საკმარისად რთულია, და ეს მარტო პურის დამზადებას არ ეხება, ესაა საერთოდ სასოფლო მეურნეობის შემდგომი განვითარების საკითხი, რომელიც შეიცავს საერთოდ როგორც ხორბალის, ისე ჩვენი სოციალისტური მრეწველობისთვის ნედლი მასალის დამზადების საკითხს. პურის დამზადების სიძნელე, მაშასადამე, ებჯინება როგორც სოციალისტურ მრეწველობის, ისე სოციალისტური მიწადმოქმედების განვითარებას. მაშასადამე, ესაა აგრეთვე საკითხი საბჭოთა მეურნეობათა, ერთი მხრით, და კოლექტიურ მეურნეობათა — მეორე მხრით. იმავე დროს ესაა საკითხი საბჭოთა ხელისუფლების ურთიერთობისა ღარიბ და საშუალო გლეხკაცობასთან. ღარიბ და საშუალო შეძლების გლეხკაცობასთან მტკიცე კავშირი ჩვენ უნდა შევინარჩუნოთ, რათაც არ უნდა დაგვიჯდეს ეს. საქმე იმაშია, რომ კულაკობის წინააღმდეგ შეტევის დროს საშუალო გლეხობის ინტერესები ოდნავაც არ უნდა იქნეს შელახული. **ეს სწორი ლენინური პოლიტიკა** არ უნდა იქნეს გაღუნული სინამდვილეში. ყველა ეს სიძნელენი ჯერ ჩვენ კიდევ წინ გვიდგანან. ისინი უნდა იქნენ დაძლეული ისე, რომ ლენინურ პოლიტიკიდან ოდნავაც არ უნდა გადაუხვიოთ, არავითარ რყევას, არავითარ ეჭვს აქ ადგილი არ უნდა დაურჩეს. ყველაზე უფრო დიდ საშიშროებას წარმოადგენს აქ მემარჯვენე საშიშროება, რასაც შეუძლია მიგვიყვანოს კულაკობასთან მორიგებამდის.

შემდეგ, როგორც იყო არა ერთხელ ნათქვამი, ჩვენ მუშაობაში ბევრ შეცდომას და ნაკლს აქვს ადგილი. საკმარისია მითითება მარტო „შახტის ისტორიაზე" ამ შემთხვევაში, სადაც გამომჟღავნდა ათასგვარი ბოროტება, დანაშაული და დაუშვებელი დაუდევრობა არა მარტო კონტრ - რევოლიუციონერ - მავნებლების, არამედ თვით ჩვენი ორგანოების მხრითაც კი. შახტის ისტორია იძლევა უდიდეს გაკვეთილს, რომელზედაც ჩვენ უნდა ვისწავლოთ. „შახტის ისტორიას", რა თქმა უნდა, მარტო შახტის რაიონში არ ქონებია ადგილი. მას ადგილი ქონდა და შეიძლება ახლაც აქვს სხვაგანაც, რასაკვირველია, არა ისეთი ფართო მაშტაბით როგორც თვით შახტში. აქედან დასკვნა: რაოდენი სიფრთხილე და დაკვირვება, რაოდენი გამჭრიახობა და სიფხიზლე ესაჭიროება ყველა ორგანოებს და ყველა პასუხისმგებელ მუშაკებს. ჩვენ გვყავან მტრები და მოღალატენი არა მარტო გარეთ, **საბჭოთა კავშირის საზღვრებს იქით, არამედ შიგნითაც;** ჩვენ საკუთარ ორგანოებშიაც კი. ჩვენ არ შეგვიძლია უსაზღვროთ ვენდოთ ყველას. ჩვენ არ შეგვიძლია მხარ-თეძოზე უდარდელად მოვისვენოთ. სამწუხაროდ, ამას აქა-იქ დღემდისაც აქვს ადგილი. მაგრამ ჩვენ ამას უნდა შევებრძოლოთ თვითკრიტიკის უფრო მეტი გაძლიერებით და აღმოვფხვრათ იგი ჩვენი რიგებიდან. უნდა ითქვას, რომ გასულ წელს თვითკრიტიკის საშუალებით ფარდა აეხადა ბოროტებას და სიდუხჭირეს; მაგრამ ეს ჯერ მხოლოდ დასაწყისია. სრული იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ შემდგომ თვითკრიტიკა კიდევ უფრო გადაიშლება და აამოძრავებს მუშათა და გლეხთა უფრო ფართო ფენებს. მისი საშუალებით სოციალისტურ აღმშენებლობაში და მართვა გამგეობაში უნდა ჩაებმენ მშრომელთა ფართო მასები.

საერთოდ დასკვნა ასეთია: გასული 1927 — 28 წლის განმავლობაში საბჭოთა აღმშენებლობა შეუწყვეტლად მიდიოდა წინ. სხვათა შორის, ამ წელს ბევრ ახალ წამოწყებებს ჩაეყარა საძირკველი, რომლებიც ნაყოფს შემდეგ წლებში გამოიღებენ.

აქვე უნდა მოვიხსენიოთ კიდევ ერთი უდიდესი ფაქტი, სახელდობრ **კომუნისტური ინტერნაციონალის მეექვსე მსოფლიო კონგრესი**, რომელიც შეიკრიბა გასული წლის ზაფხულს ქ. მოსკოვში და რომელიც წარმოადგენს საერთოდ მსოფლიო კომუნიზმის **უდიდეს მიღწევას**. ამ კონგრესმა თვალწინ გადაგვიშალა მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის მდგომარეობა დედამიწის თითქმის ყველა ქვეყნებში, გაუკეთა ამ მოძრაობას საერთო ჯამი და ჩამოაყალიბა ეს უდიდესი მნიშვნელობის დოკუმენტებში — **კომუნისტური ინტერნაციონალის პროგრამაში**. ეს ისეთი ფაქტია, რასაც არ შეუძლია არ გამოიწვიოს ჩვენში დიდი აღფრთოვანება და შეურყეველი დარწმუნება იმ **ნაბიჯში, რომელიც გადადგმული იქნა ამ თერთმეტი წლის წინედ ლენინის გენიოსური მეთაურობით**. მაგრამ იგივე გარემოება გვავალებს ჩვენ ყველა ჩვენი სასიცოცხლო ძალების მაქსიმალურად გამოყენებას. და ეს მით უფრო, რომ მთელ ჩვენს მუშაობაში ვემყარებით განსაკუთრებით ჩვენ საკუთარ სალსრებზე და საშუალებებზე.

ამნაირად, ჩვენ ვდგამთ ფეხს საბჭოთა ხელისუფლების არსებობის **მეთორმეტე წელიწადში** კიდევ უფრო მეტი აღფრთოვანებით, კიდევ უფრო დარწმუნებული იმაში, რომ ჩვენ სავსებით **განვახორციელებთ ლენინის ანდერძს, ე. ი. საბოლოოდ დავამყარებთ სოციალიზმს**, მაშ:

გაუმარჯოს მსოფლიო ოქტომბერს!
გაუმარჯოს სოციალიზმს!

ფ. მახარაძე.

გადადგა პუანკარეს მთავრობა

პოლონეთ-ლიტვის მორიგი მოლაპარაკება კვლავ უშედეგოთ დასრულდა

რეინ-ვესტფალიის (გერმანია) მელითონეების ბრძოლა

როგორ დაარბიეს უკრაინელების ორგანიზაციები ლვოვში

პუანკარეს მთავრობის გადადგომა

პარიზი, 6 ნოემბერი. „ჟურნალ"-ის ცნობით, რადიკალური პარტიის ყრილობა უნდა დამთავრებულიყო 6 ნოემბერს დილით, მაგრამ კაიოს მოთხოვნით უკანასკნელი სხდომა შესდგა ღამით, იმის შემდეგ, რაც ერიო, კეილი და სარო წასული იყვნენ. სხდომას დაესწრო დელეგატების ერთ-მესამედზე ნაკლები. სხდომამ ერთხმად დაადგინა, რომ პარტიის დეკლარაციაში შეტანილი ყოფილიყო გარნიეს შესწორება, რომელიც წინა სხდომაზე იქნა უარყოფილი. ეს შესწორება შეიცავს მოთხოვნილებას, რომ მინისტრი-რადიკალები გამოვიდნენ მთავრობიდან. ამ შესწორების მიღებასთან დაკავშირებით, მინისტრმა - რადიკალებმა პუანკარეს გადასცეს განცხადება გადადგომის შესახებ. ჰავასის სააგენტოს უკანასკნელი ცნობებით, პუანკარეს მთავრობა გადადგა.

პოლონეთ-ლიტვის მოლაპარაკება ჩაიშალა

მოლაპარაკება შესწყდება

კენიგსბერგი, 6 ნოემბერი. პოლონეთ - ლიტვის კონფერენციის „ქვეკომისიის" დღევანდელ სხდომაზე გამოირკვა, რომ შეუძლებელია პოლონეთისა და ლიტვის თვალსაზრისის შერიგება. ამასთან დაკავშირებით გადასწყდა მოლაპარაკება შესწყდეს. ხვალ შესწყდება უკანასკნელი პლენარული სხდომა (ადს).

საკითხები ქვე - კომისიას გადაეცა

კენიგსბერგი, 5 ნოემბერი. პოლონეთ - ლიტვის კონფერენციის პირველ სხდომაზე ყველა უმნიშვნელოვანესი სადაო საკითხი გადაეცა ქვე-კომისიას, რომელშიაც ფაქტიურად მონაწილეობას იღებს კონფერენციის ყველა წევრი. ამ კომისიის შექმნა აიხსნება იმით, რომ პოლონელებს არ უნდათ პრესისა და საზოგადოებრივობის წარმომადგენელნი დაესწრნენ კონფერენციის გადამწყვეტ სხდომებს. (ადს).

ზალესსკის ინტერვიუ

კენიგსბერგი, 5 ნოემბერი. ჟურნალისტების მიღების დროს 4 ნოემბერს ზალესსკიმ განაცხადა, რომ ერთად - ერთი პრობლემა, რომელიც უნდა გადასწყვიტოს კონფერენციამ, არის აღდგენა პირდაპირი მიმოსვლისა სადემარკაციო ხაზზე.

„თავდაუსხმელობის პაქტი,—განაცხადა ზალესსკიმ, — კელოგის პაქტის წყალობით განუხორციელებელი ხდება. თუ გამოირკვა, რომ შესაძლებელი იქნება შეთანხმება სანაპირო მიმოსვლის საკითხში, მოლაპარაკება გაგრძელდება. თუ შეთანხმება შეუძლებელი აღმოჩნდა, მაშინ კონფერენციის პლენუმი ჩამოაყალიბებს სადაო საკითხებს, რის შემდეგაც პოლონეთი წინადადებას მისცემს ერთა ლიგის საბჭოს, დანიშნოს ექსპერტების კომისია სადაო საკითხების მოსაგვარებლად. შემდეგ ერთი ეტაპიღა დარჩება—მიმართვა იმ ღონისძიებათათვის, რომლებიც გათვალისწინებულია ერთა ლიგის წესდებით".

ზალესსკიმ, ამრიგად, თავდაუსხმელობის პაქტის დადება განზრახ მეორე ხარისხოვან საკითხად გადააქცია. ამგვარი ტაქტიკით, ზალესსკის უნდა საშუალება არ მისცეს ლიტვას პირველ რიგში უშიშროების საკითხი დასვას.

გერმანიის მელითონეების ბრძოლა

მებრძოლი განწყობილება იზრდება

ბერლინი, რეინ-ვესტფალის ოლქის მუშებს შორის იზრდება განწყობილება ბრძოლისადმი. 4 ნოემბერს, პროფკავშირთა ბელადების წინააღმდეგობის მიუხედავად, გაიმართა მუშათა მასიური დემონსტრაციები. მუშებმა ისეთივე მოთხოვნილებები წამოაყენეს, როგორიც პროფკავშირთა მემარცხენე ფრთამ და კომპარტიამ.

დორტმუნდში კომპარტიის მიერ მოწყობილ დემონსტრაციაში მონაწილეობა მიიღო 5.000 კაცმა. იზრდება თანაგრძნობა იმ მელითონეებისადმი რომელთაც ლოკაუტი გამოეცხადათ.

ბოხუმში ტრანსპორტზე მომუშავეთა კავშირის წევრთა კრებამ მოაწყო შემოწირულებათა შეკრება მელითონეთა დასახმარებლად. მასთან ერთად კრებამ მიიღო რეზოლიუცია რომელიც მოუწოდებს დამოუკიდებელ პროფკავშირებს— გამოიყვანონ მუშები მელითონეებთან ერთად მოთხოვნილებებისათვის საბრძოლველად.

ლეინში შესდგა „ლეინ-ვერკე"-ს წარმოებების მუშათა კრებები, რომლებმაც თანაგრძნობა გამოუცხადეს მელითონეებს. (ადს).

ლოკაუტის შედეგები

ბერლინი, 5 ნოემბერი. ზოლიგენის ქრისტიანულმა პროფკავშირებმა გამოაცხადეს, რომ ისინი უარჰყოფენ ლითონის მრეწველებთან დადებულ სატარიფო ხელშეკრულებებს. ბევრ მაღაროში ნახშირის ამოღება შემცირდა მოთხოვნილების შემცირების გამო, რაც თავის მხრივ გამოწვეულია ლითონის მრეწველობაში გამოცხადებული ლოკაუტით.

მთელი მსოფლიოს მუშა-მელითონეებს

მოსკოვი, 6 ნოემბერი. რევოლიუციონურ მელითონეთა პროპაგანდისა და მოქმედების კომიტეტმა მსოფლიოს მუშა-მელითონეებს მიმართა მოწოდებით, რომელშიაც, სხვათა შორის, ნათქვამია:

„რეინ - ვესტფალიის მელითონეთა ბრძოლა უკვე აღარ არის ეკონომიური ბრძოლა. იგი პოლიტიკურ ბრძოლად გადაიქცა. რურის ქარხნებსა და სახელოსნოებში სამკვდრო - სასიცოცხლოდ შეხვდა ერთმანეთს ორი ბანაკი. ამ ბრძოლას შეიძლება მოჰყვეს მხოლოდ ორი შედეგი: ან კაპიტალისტები გასტეხენ მუშების წინააღმდეგობას, დიდი ხნით შეიტანენ მათში დეზორგანიზაციას და მოახვევენ მათ ექსპლოატატორულ პირობებს, ან რეინ-ვესტფალიის წარსულ კლასობრივ ბრძოლებში გამობრძმედილი მელითონეები მოიკრებენ მთელ თავიანთ ძალღონეს, მჭიდროდ შეკავშირდებიან მთლიან ძლიერ რაზმად და აიძულებენ მწარმოებლებს მიიღონ მუშათა მოთხოვნები. მაგრამ რურის მელითონეთა გამარჯვებისათვის მარტო მათი ძალების შემჭიდროება არ არის საკმაო, ლოკაუტ - გამოცხადებულ მუშებს ესაჭიროებათ მთელი საერთაშორისო პროლეტარიატის ძმური დახმარება. ბრძოლის წარმატება საგრძნობლად დამოკიდებულია იმ მატერიალურ დახმარებაზე, რომელსაც აღმოუჩენენ რურის მელითონეებს მათი კლასობრივი თანამოძმენი. რევოლიუციონურ მელითონეთა პროპაგანდისა და მოქმედების საერთაშორისო კომიტეტი მოუწოდებს მშრომელთ —ახსოვდეთ, რომ საქმე ეხება უდიდეს შეტაკებას კაპიტალისტების კლასსა და პროლეტარიატს შორის, და დახმარება აღმოუჩინონ რეინ-ვესტფალიის ოლქის მებრძოლ მელითონეებს (ადს).

რა მოხდა ლვოვში

დაწვრილებითი ცნობები

ორგანიზაციული რბევა

ვარშავა, 5 ნოემბერი. შაბათს ლვოვში მეტად ნერვიული მდგომარეობა იყო. ქალაქი შეიარაღებული ბანაკის შთაბეჭდილებას სტოვებდა. სხვადასხვა რაიონში ისმოდა სროლა. პოლიცია მთელი დღის განმავლობაში მზად იყო სამოქმედოთ. ლვოვის პოლიციის დასახმარებლად ვარშავიდან და ლიუბლინიდან გამოიწვიეს პოლიციელთა რაზმები.

დამსწრეთა გადმოცემით 1 ნოემბრის ამბები ლვოვში მოხდა შემდეგნაირად. პოლონეთის ნაციონალისტურ-ფაშისტურმა ახალგაზრდობამ გადასწყვიტა—არავითარ შემთხვევაში არ დაეშვა უკრაინელთა დემონსტრაციები პოლონელ-უკრაინელთა ბრძოლის (ლვოვისათვის) და პეტრუშევიჩის მთავრობის შედგენის 10 წლის თავზე. მეორეს მხრივ, თავდაცვისათვის ემზადებოდა უკრაინელი ახალგაზრდობაც. ცნობა იმის შესახებ, რომ ლვოვის ბრძოლაში დალუპულ პოლონელ ჯარისკაცთა ძეგლები დაამსხვრიეს არა მარტო ლვოვში, არამედ დასავლეთ უკრაინის სხვა ადგილებშიაც,—ეს ცნობა პოლონეთის ნაციონალისტური ახალგაზრდობისათვის შეტევის ნიშნად გადაიქცა. ამ შეტევისათვის იგი მთელი დღის განმავლობაში ემზადებოდა. დღის 8 საათზე გამოვიდა პოლონური გაზეთის „სლოვო პოლსკე"-ს სასწრაფო ნომერი, რომელიც ახალგაზრდობას აშკარად მოუწოდებდა ბრძოლისაკენ. უკრაინული ორგანოს „დილო"-ს რედაქციისა და სხვა უკრაინული დაწესებულებების, დარბევას ორგანიზაციული ხასიათი ჰქონდა. პოლონელი სტუდენტების თავდასხმა უკრაინელი სტუდენტები სახლზე გადაიქცა სისხლისმღვრელ ბრძოლად, ვინაიდან უკრაინელმა სტუდენტებმა პოლონელ სტუდენტებს და პოლიციას სასტიკი წინააღმდეგობა გაუწიეს. ამ შეტაკების დროს დაიჭრა 20 პოლიციელი. უკრაინელი სტუდენტები ჩაამწყვდიეს სახლში, რამაც შეასუსტა უკრაინელთა თავდაცვა და საშუალება მისცა პოლონელ სტუდენტებს დაუსჯელად „ეხეირნათ" ქალაქში. როგორც უკრაინულ წრეებში აღნიშნავენ, პოლიცია „იგვიანებდა" ყოველთვის, როცა უკრაინულ დაწესებულებებს არბევდნენ. დარბევამ გაზეთ „დილო"-ს — 30.000 დოლარის ზარალი მიაყენა, „მასლოსოიუზ"-ს 15.000-ის და „პროსვიტ"-ს 60.000 დოლარის. „პროსვიტ"-ის სახლში გაანადგურეს წიგნის საკაზმავი და სტამბა.

ღამით სროლა ისმოდა ქალაქის სხვადასხვა რაიონში. პოლონელი სტუდენტები გეგმიანად არბევდნენ უკრაინულ სკოლებს. შეტაკებების დროს დაზარალებულთა საერთო რიცხვი 150 კაცს აღემატება.

მთავრობასთან დაახლოებული პოლიტიკური წრეების აზრით, ლვოვის ამბები საბოლოოდ გაუცრუებენ იმედს უკრაინელ შემთანხმებელ ელემენტებს.

ოფიციოზური „ეპოქა", საერთოდ, გვერდს უხვევს ლვოვის ამბებს. პრესის სხვა ორგანოები წაქეზებაში ბრალს სდებენ საბჭოთა კავშირის უკრაინელებს და გერმანიას. ლვოვის ამბებს გაზეთები უკავშირებენ უკრაინელთა თავდასხმას პოლონეთის კონსულზე პრაღაში.

„დზენ პოლსკი" აცხადებს, რომ „პროვოკაციის მიზანი მიღწეულია და, თუმცა დაჭრილთა შორის უმრავლესობას პოლონელი ახალგაზრდობა შეადგენენ, ანტიპოლონურ პროპაგანდას მაინც ახალი იარაღი ეძლევაო".

„გაზეტა ვარშავსკა" აცხადებს, რომ ის ადრევე აღნიშნავდა იმ საფრთხეს, რომელიც აღმოსავლეთ გალიციაში შეიქნა და რომელიც შედეგად მოჰყვა უკრაინულ სამხედრო ორგანიზაციის მუშაობას.

„რესპუბლიკა" სწერს: „ლვოვის ამბები მოაწყვეს იმისათვის, რომ ევროპის საზოგადოებრივი აზრი მიაქციონ უკრაინელთა პრობლემას".

პოლონელ სტუდენტთა ორგანომ ლვოვში გამოუშვა სასწრაფო ნომერი, რომელშიაც აშკარად აცხადებს, რომ პოლონეთის სტუდენტთა ორგანიზაციის კავშ. კისრულობს სრულ პასუხისმგებლობას „დილო"-სა და სხვა უკრაინული დაწესებულებების დარბევისათვის.

„გლოს პრავდი"-ს აზრით, „ლვოვის ამბები ხელს შეუშლიან უკრაინელთა მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას, ვინაიდან ამ მოთხოვნილებების დაკმაყოფილება შეიძლება მხოლოდ პოლონურ საზოგადოებასთან ლოიალური თანამშრომლობის პირობებში და პოლონეთის სახელმწიფოებრივობის საფუძველზე". (ადს).

მდგომარეობა ლვოვში

ვარშავა, 4 ნოემბერი. კვირას პოლიციამ ლვოვში, როგორც იყო, წესრიგი აღადგინა, მაგრამ ქალაქში მაინც ნერვიული მდგომარეობაა. უკრაინელები ძალზე აღაშფოთეს იმ პლაკატებმა, რომლებიც იუწყებოდნენ უკრაინული ორგანოს „დილო"-ს თანამშრომელი ქალის გარდაცვალებას. ეს თანამშრომელი ქალი პოლონელმა სტუდენტებმა რედაქციის ფანჯრიდან გადააგდეს.

პოლიციამ აკრძალა პლაკატები. (ადს).

საბჭოთა კავშირის ცნობისათვის

ნიუ-იორკი, 5 ნოემბერი. არგენტინის კომპარტიამ ოქტომბრის რევოლიუციის მეთერთმეტე წლის თავის აღსანიშნავად მასიური მიტინგი მოაწყო ბუენოს-აირესში. მიტინგმა მიიღო რეზოლიუცია, რომელიც არგენტინის მთავრობისაგან მოითხოვს საბჭოთა კავშირის ცნობას. (ადს).

ინგლისის პარლამენტის სესიის გახსნა

ლონდონი, 6 ნოემბერი. რეიტერის სააგენტოს ცნობით, გაიხსნა ინგლისის პარლამენტის ახლანდელი შემადგენლობის უკანასკნელი სესია.

ლონდონი, 6 ნოემბერი. თემთა პალატაში მეფის სიტყვაზე საპასუხო ადრესის განხილვის დროს მაკდონალდმა გააკრიტიკა მთავრობის პოლიტიკა და განაცხადა, რომ ინგლისის შესწორებისა ყოველგვარი მნიშვნელობა დაუკარგა კელოგის პაქტს, ინგლის-საფრანგეთის შეთანხმებაში კი არ არის არც ერთი ისეთი მუხლი, რომელიც პროტესტს არ იწვევდეს შეერთებულ შტატებში, გერმანიაში ან იტალიაში.

ლონდონი, 6 ნოემბერი. ინგლისის მუშათა პარტიის შესწორება, რომელიც შეეხება საპასუხო ადრესს მეფის სიტყვაზე, მწუხარებას გამოსთქვამს იმის გამო, რომ კონსერვატორებმა არ შესძლეს არჩევნების დროს მიცემული დაპირებები.

თურქეთ-საბჭოთა ურთიერთობა

თურქული გაზეთის წერილი

ანგორა, 5 ნოემბერი. „ხაკი მიეტ მილიე"-ს კვირის ნომერში დაბეჭდილია მახმუდის წერილი საბჭ. კავშირისა და თურქეთის ურთიერთობის შესახებ. წერილში ნათქვამია, რომ მეგობრობა ხალხთა შორის განიზომება არა ოფიციალური ხელშეკრულებებით, არამედ იმ გრძნობებით, რომლებსაც იჩენენ ისინი ერთმანეთისადმი მძიმე წუთებში. თურქეთის ერი თავისი პრეზიდენტის მეთაურობით ბედნიერად სთვლის თავს აღნიშნოს, როგორც ეს კალინინმაც აღნიშნა თავის დეპეშაში, რომ მეგობრული განწყობილება, რომელიც აკავშირებდა თურქეთსა და საბჭოთა კავშირს მათი არსებობის მძიმე წუთებში, დღესაც ურყევია.

თურქეთის პრესა ამხ. კალინინის მილოცვის შესახებ

სტამბოლი, 5 ნოემბერი. ოფიციოზური „მილიეთი". მოწინავე წერილში „ჩვენი რუსი მეგობრები", კომენტარიებს უკეთებს ამხ. კალინინის მისალოც დეპეშას თურქეთის რესპუბლიკის არსებობის ხუთი წლის შესრულების გამო, და აღნიშნავს საბჭოთა პრესის თანაგრძნობას თურქეთისადმი.

გაზეთი აღნიშნავს, რომ თურქეთის ერი და სახელმწიფოს მეთაური სცდილობენ განამტკიცონ მეგობრობა საბჭოთა კავშირთან; ისინი, დარწმუნებულნი არიან ამ მეგობრობის შეურყევლობაში.

მდგომარეობა ჩინეთში

ანტი-იაპონური მოძრაობის გაძლიერება

შანხაი, 5 ნოემბერი. შანხაისა და ნანკინში გაძლიერდა ანტი-იაპონური მოძრაობა, ჩან-კაი-შიმ მიიღო ანტი-იაპონური ასოციაციის დელეგაცია, რომელიც მოითხოვდა მოლაპარაკების დროს არავითარ შემთხვევაში არ დაეთმონ იაპონიის მთავრობას. 10 ნოემბერს ნანკინში ანტი-იაპონური ასოციაცია იწვევს ანტი - იაპონურ მიტინგს. ასეთი მიტინგები ნანკინში დიდი ხანია აკრძალულია.

გომინდანის ოფიციალური ორგანო „ჩინ-ბაო" მოწინავე წერილში ცხარედ ილაშქრებს იაპონიის წინააღმდეგ. გაზეთი სწერს, რომ ნაციონალური მთავრობა არ ფიქრობს მოლაპარაკების დაწყებას იაპონიასთან იმ დრომდე, სანამ შანდუნის პროვინცია საბოლოოდ არ იქნება გაწმენდილი იაპონიის ჯარებისაგან (ადს).

საბჭოთა კავშირის მეგობართა საზოგადოების სრულიად გერმანიის დამფუძნებელი ყრილობა

ბერლინი, 5 ნოემბერი. 4 ნოემბერს მშრომელი მასების ყველა ფენის წარმომადგენელთა, წარმოების და პაციფისტების დელეგატთა მონაწილეობით შესდგა „საბჭოთა კავშირის მეგობართა საზოგადოების" სრულიად გერმანიის დამფუძნებელი ყრილობა. ყრილობის გახსნის წინ გაიმართა მრავალრიცხოვანი მიტინგი, რომელზედაც პაციფისტი დოქტორი **გოდანი** გამოვიდა ვრცელი მოხსენებით თემაზე: „სოციალიზმის მშენებლობის 11 წელი". შემდეგ ილაპარაკა მწერალმა **ერნსტ ტოლერმა**, რომელმაც გერმანიის მშრომელთ მოაგონა, რომ მსოფლიო კონტრ-რევოლიუცია აწყობს სამხედრო გეგმებს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. როცა მუშათა დახმარების საერთაშორისო კომიტეტის გენერალურმა მდივანმა **მიუნცენბერგმა** განაცხადა: **„თუ იმპერიალისტური ომი დაიწყო, ჩვენ ყოველ ზომას მივიღებთ, რომ იგი სამოქალაქო ომად გადავაქციოთ"**, მიტინგი ამ სიტყვებს მქუხარე ტაშით შეხვდა. გუმბელმა ყრილობას დაუხატა მომავალი ომის საშინელებანი და ირონიით მოიხსენია „განიარაღების კონფერენციის მოსამზადებელ კომისიის პროექტები". სვერლახმა განაცხადა: ქალებმა აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ ბრძოლაში იმპერიალიზმის წინააღმდეგ, საბჭოთა კავშირის დასაცავად. მიტინგმა მქუხარე ოვაცია გაუმართა საბჭოთა კავშირიდან დაბრუნებულ გერმანიის მუშათა დელეგაციის თავმჯდომარეს სვერგაგენს, რომელმაც განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირში წასვლამდე ის დიქტატურის წინააღმდეგი იყო, ეხლა კი გადაწყვეტილი აქვს თავგამოდებით იბრძოლოს საბჭოთა კავშირის დასაცავად.

მიტინგმა წინადადება მისცა პრეზიდიუმს — ოქტომბრის 11 წლის თავის გამო გაუგზავნოს საბჭოთა მთავრობას მისასალმებელი დეპეშა.

ყრილობის მუშაობა დაიწყო ნაშუადღევს. მიუნცენბერგმა თავის მოხსენებაში დაახასიათა საბჭოთა კავშირის მეგობართა სრულიად გერმანიის კომიტეტის ამოცანები. გამოსული ორატორები სავსებით და მთლიანად შეუერთდნენ მიუნცენბერგის თეზისებს.

ყრილობამ აირჩია საბჭოთა კავშირის მეგობართა სრულიად გერმანიის კომიტეტი (ადს)).

საბჭოთა კავშირის მეგობართა საერთაშორისო საზოგადოების კონგრესები

მოსკოვი, 6 ნოემბერი. საბჭოთა კავშირის მეგობართა საერთაშორისო საზოგადოება ოქტომბრის რევოლიუციის მეთერთმეტე წლის თავს აღნიშნავს კონგრესების მოწვევით ბერლინსა, პრაღასა, ვენასა, ბრიუსელსა და ოსლოში. ეს კონგრესები განიხილავენ შემდეგ საკითხებს: სოციალისტური მშენებლობის 11 წელი, იმპერიალისტების მზადება საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მიმართული ომისათვის, საბჭოთა კავშირის მეგობართა საერთაშორისო მოძრაობის სხვადასხვა საორგანიზაციო საკითხი.

საბჭოთა კავშირის მეგობართა საერთაშორისო საზოგადოების აღმასკომმა სთხოვა საკავშირო პროფსაბჭოს, რომ მან ამ კონგრესებზე გაგზავნოს „კრასინის" ექსპედიციის დელეგაცია ყინულისმჭრელის მუშაობის შესახებ მოხსენების გასაკეთებლად. 4 ნოემბერს ბერლინში გაემგზავრა საბჭოთა კავშირის მეგობართა კონგრესზე დასასწრებლად „კრასინის" დელეგაცია, რომელშიაც შედიან ამხ. ფილიპოვი, ლემანი, გორსკი და სხვ.

საკავშირო პროფსაბჭოს საგარეო ურთიერთობის კომისიაში საბჭოთა კავშირის დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელს შემდეგი აცნობეს საბჭოთა კავშირის მეგობართა მუშაობის შესახებ საზღვარგარეთ:

„შარშან ოქტომბრის რევოლიუციის ათი წლის თავის დღესასწაულზე მოვიდა 500 დელეგატი, რომლებიც 32 ქვეყნის მუშათა ორგანიზაციებმა გამოგზავნეს. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ დელეგატებმა განავითარეს დიდი აგიტაცია-პროპაგანდა. მარტო გერმანიაში გაიმართა დაახლოებით 5.000 მიტინგი და კრება, რომლებზედაც მოსმენილი იქნა მოხსენებანი საბჭოთა კავშირის სამეურნეო და კულტურული მშენებლობის შესახებ. ოქტომბრის რევოლიუციის ათი წლის თავზე გადაღებულ კინო-ფილმს „ლენინის ქვეყანაში" დიდი წარმატება აქვს მრავალ მუშებს შორის. შარშან მოსკოვში გამართული საბჭოთა კავშირის მეგობართა კონგრესის თაოსნობით, ბევრს ქვეყანაში დაარსდა საბჭოთა კავშირის მეგობართა გაერთიანებანი.

ბურჟუაზიული მთავრობანი სერიოზულ ზომებს ღებულობდა საბჭოთა კავშირის მეგობართა საზოგადოებების წინააღმდეგ. მაგრამ ეს რეპრესიები ვერ აფერხებენ საბჭოთა კავშირის მეგობართა მოძრაობის განვითარებას. (ადს).

პოლონეთის ძველი სოც. პარტიის ყრილობა

პილსუდსკის ყურმოჭრილი მონები

სოსნოვიცი, 5 ნოემბერი. 4 ნოემბერს საღამოთი დამთავრდა პოლონეთის ძველი სოციალისტური პარტიის ყრილობა. ივაროვსკის მომხრე დეპუტატმა ქალმა პრაუსმა განაცხადა, რომ მას აღარა აქვს უფლება დარჩეს პოლონეთის სოციალისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტში და სეიმის ფრაქციაში. იგი უარს აცხადებს დეპუტატისა და ცენტრალური კომიტეტის წევრის მანდატებზე და რჩება პოლონეთის ძველი სოციალისტური პარტიის უბრალო წევრად. პრაუსის ნაცვლად ცენტრ. კომიტეტში შევიდა ივაროვსკის მომხრე პრეისი. დეპუტატი სმოლიკოვსკი გამოვიდა პოლონეთის ძველი სოციალისტური პარტიიდან და გადავიდა ივაროვსკის პარტიაში. ამრიგად, პოლონეთის ახალ სოციალისტურ პარტიას უკვე ჰყავს 6 დეპუტატი. ცენტრალურ კომიტეტში „მემარცხენე" ზარემბასა და ჟულავსკისთან ერთად არჩეულ იქნენ პილსუდსკის მიმდევრები და პოლონეთის სოციალისტური პარტიის ყველა წინანდელი ლიდერი. ყველაზე მეტი მანდატი ერგო ეგრედ წოდებულ ცენტრს. ცენტრალური კომიტეტის პლენუმის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა დიამანდი. თავმჯდომარის ამხანაგებათ—ზობროვსკი და ტოპინეკი, რომელიც ცნობილია თავისი სიმპატიებით პილსუდსკის მიმდევრებს მიმართ.

პოლონეთის სოციალისტური პარტიის ორივე ყრილობის შემდეგ შეიძლება აღინიშნოს, რომ გათიშვის პერიოდის დამთავრება ჯერ კიდევ შორსაა და ამიტომ ჯერ კიდევ ძნელია ძალთა განწყობილების გამორკვევა პოლონეთის ორივე სოციალისტური პარტიის შორის. ძველ პარტიაში დარჩენილი პილსუდსკის მიმდევრები ცენტრალურ კომიტეტში სერიოზულ უმცირესობას შეადგენენ. ეხლა უკვე ცხადია, რომ იმ შინაგან წინააღმდეგობათა გამო, რომლებიც სწეწავენ პოლ. სოციალისტურ პარტიას, ეს უკანასკნელი პილსუდსკის მიმდევრების მაჩანჩალა გახდება. პოლონეთის სოციალისტ. პარტია იხრება არა მარცხნივ, არამედ მარჯვნივ, ამიტომ პილსუდსკის მიმდევრების კამპანია პოლონეთის სოციალისტური პარტიის წინააღმდეგ მოგებულად უნდა ჩაითვალოს. (ადს).

საბჭოთა კავშირის ცაკის ეროვნებათა საბჭოს პრეზიდიუმის სხდომა

მოსკოვი, 6 ნოემბერი. ამ დღეებში შესდგა საბჭოთა კავშირის ცაკის ეროვნებათა საბჭოს პრეზიდიუმის სხდომა, რომელზედაც მოსმენილ იქნა „ცენტროსოიუზ"-ის მოხსენება ნაციონალური რესპუბლიკებისა და ოლქების სამომხმარებლო კოოპერაციის მდგომარეობის შესახებ.

მომხსენებელმა ამხ. აგეევმა აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირის ნაციონალური რაიონების უმრავლესობის ეკონომიურმა და კულტურულმა ჩამორჩენილობამ უმთავრესი ობიექტიური დაბრკოლებები შეუქმნა კოოპერატიული მუშაობის ფართოდ განვითარებას. ნაციონალური კოოპერაციის მოთხოვნილებათა უფრო სრულად და ყოველმხრივად დაკმაყოფილების მიზნით „ცენტროსოიუზ"-ში მოეწყო ნაციონალური ბიურო, რომელშიაც შევიდნენ ნაციონალური რესპუბლიკებისა და ოლქების სამომხმარებლო კოოპერაციის წარმომადგენლები. „ცენტროსოიუზ"-ი თავის ყოველდღიურ მუშაობაში დიდ ყურადღებას უთმობდა ნაციონალურ კოოპერაციას, კერძოდ ამ კოოპერაციის ზრდისა და მისი ფინანსიური მდგომარეობის საკითხებს, იმუშავებდა ღონისძიებებს მისი ქსელის განსამტკიცებლად. ამის შედეგად ნაციონალური კოოპერაციის ზრდის ტემპი უკანასკნელ წლებში წინ უსწრებს საბჭოთა კავშირის კოოპერაციის საშუალო ზრდას. 1924 წლის ოქტომბრიდან 1927 წლის 1 ოქტომბრამდე ამ რაიონების კოოპერატიულად შეკავშირებული მოსახლეობა გაიზარდა 14 პროცენტზე მეტით. 1924 წლიდან 1926 წლამდე ნაციონალურ რაიონებში სამომხმარებლო საზოგადოებათა რიცხვი 21.000-დან გაიზარდა 27.170-მდე, დუქნების ქსელი 28.700-დან გაიზარდა 50.900-მდე. „ცენტროსოიუზ"-ი თავისი ხუთწლიანი გეგმით ითვალისწინებს სამომხმარებლო საზოგადოებათა დუქნების ქსელის 50 პროცენტით გადიდებას.

„ცენტროსოიუზ"-მა და ნაციონალურმა კავშირებმა დიდი მუშაობა ჩაატარეს კოოპერატიულ მუშაკთა მომზადებისა და გადამზადების საქმეში. (ადს).

უკანასკნელი ცნობები

ლატვიის სეიმის გახსნა

რიგა, 6 ნოემბერი. გაიხსნა ლატვიის ახალი შემადგენლობის სეიმი. სხდომის დროს სეიმის რაიონს პოლიციის გაძლიერებული რაზმი იცავდა. (ადს).

რეიხსტაგის მოწვევა

ბერლინი, 6 ნოემბერი. რეიხსტაგის უხუცესთა საბჭო დღეს იხილავდა კომფრაქციის წინადადებას რეიხსტაგის დაუყოვნებლივ მოწვევის შესახებ ლითონის მრეწველობაში წამოჭრილი კონფლიქტის გამო. სოციალ-დემოკრატები შეუერთდნენ კომუნისტების წინადადებას. კომუნისტების წინადადება უარყოფილია ბურჟუაზიული პარტიების ხმების უმრავლესობით. უხუცესთა საბჭომ დაადგინა მოიწვიოს რეიხსტაგი 12 ნოემბერს. (ადს).

გერმანიის კომპარტიის კონფერენცია მხარს უჭერს ს. კ. პ. (ბ) ცეკას ხაზს

ბერლინი, 6 ნოემბერი. გეინც ნეიმანის მოხსენების გამო საბჭოთა კავშირის მდგომარეობის შესახებ გერმანიის კომპარტიის კონფერენციამ მიიღო რეზოლიუცია, რომელშიც სავსებით იზიარებს საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას სწორ დადგენილებებს და ესალმება მტკიცე ბოლშევიკურ ბრძოლას, რომელსაც საკავშირო კომპარტიის ცეკა აწარმოებს მემარჯვენე საფრთხისა და შემარიგებლობის წინააღმდეგ. გერმანიის კომპარტია მით უფრო მეტის ენერგიით უჭერს მხარს ამ ბრძოლას, რომ თავის საკუთარ რიგებში იგი აწარმოებს ბრძოლას ასეთივე გადახრების წინააღმდეგ, როგორც არის—მემარჯვენე ლიკვიდატორობა და შემარიგებლობა, რომელიც კავშირს კრავს აშკარა ოპორტუნიზმთან.

რეფორმისტები ღალატისთვის ემზადებიან

ბერლინი, 6 ნოემბერი. რეფორმისტების მზადებას რეინ-ვესტფალიის მუშათა ღალატისათვის მოწმობს „ფორვერტს"-ის ცნობა, რომ „გადადგმულია საშუამავლო ნაბიჯები"-ო, ოფიციალურად შუამავლობას ეწევა სახალხო მეურნეობის სამინისტრო, ხოლო არაოფიციალურად მუშაობს ქრისტიანულ პროფკავშირების ლიდერი შტეგერვალდი. (ადს).

სპარსეთის მეჯლისის სესია

თეირანი, 5 ნოემბერი. გაიხსნა სპარსეთის მეჯლისის სესია. (ადს).

პოლიცია წესრიგს „იცავს"

პარიზი, 6 ნოემბერი. ჰავასის სააგენტო ბორდოდან იუწყება:

„გაფიცული დოკერები ავიდნენ გემ „ვედეტ"-ზე, შეამტვრიეს კაიუტების კარები და აიძულეს მუშები, დაეტოვებიათ გემი პოლიციამ აღადგინა წესრიგი. გაფიცულები ავიდნენ აგრეთვე ორ სხვა გემზე და აიძულეს მუშები—შეეწყვიტათ მუშაობა. დაიჭრა 2 მუშა. (ადს).

ავსტრიის კომპარტიის ათი წლის თავის გამო

ვენა, 5 ნოემბერი. 4 ნოემბერს ვენაში მოხდა საზეიმო კრება, რომელიც მოაწყო კომუნისტურმა პარტიამ მისი დაარსებიდან ათი წლის შესრულების გამო. (ადს).

„გრაფი ცეპელინი" ფრიდრიხსჰაფენისაკენ გაფრინდა.

ბერლინი, 5 ნოემბერი. დირიჟაბლი „გრაფი ცეპელინ"-ი 6 ნოემბერს დილით ბერლინის აეროდრომიდან გაფრინდა ფრიდრიხსჰაფენში, თავის მუდმივ სადგომ ადგილში. (ადს).

„კრასინელების" დელეგაცია ბერლინში

ბერლინი, 6 ნოემბერი. დღეს ბერლინში ჩამოვიდა „კრასინის" ექსპედიციის დელეგაცია, რომელშიაც შედის ოთხი კაცი. დელეგაციას შეხვდნენ საბჭოთა კავშირის მეგობართა საზოგადოების და მუშათა დამხმარე საერთაშორისო კომიტეტის წარმომადგენელნი. (ადს).

სამოილოვიჩი და სტრაუბე ბაქოში მოდიან

ბაქო, 6 ნოემბერი. აზერბეიჯანის თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოებამ მიიღო დეპეშა, რომ 7 ნოემბერს ბაქოში ჩამოვლენ „კრასინ"-ის ექსპედიციის ხელმძღვანელი პროფესორი სამოილოვიჩი და მფრინავი სტრაუბე, ჩუხნოვსკისაგან მიღებულია დეპეშა, რომ ის ბაქოში ჩამოვა რამდენიმე დღის შემდეგ.

„ეკონომიჩესკაია ჟიზნ"-ის ათი წლის თავი

მოსკოვი, 6 ნოემბერს სრულდება რუსეთის ს. ფ. ს. რესპუბლიკის შრომისა და თავდაცვის საბჭოს უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს გაზეთის „ეკონომიჩესკაია ჟიზნ"-ის ათი წლის თავი. სამოქალაქო ომის დროს გაზეთი სულ ორ გვერდიანი იყო (იშვიათად ოთხგვერდიანი) აშუქებდა უმთავრესად ცენტრალური დაწესებულებების მუშაობას. იმ დროს გაზეთს არ ჰქონდა კავშირი უცხოეთთან, პროვინციასთან და წარმოებებთან. ადგილებთან კავშირის დამყარების საკითხი „ეკონომიჩესკაია ჟიზნ"-ის რედაქციის წინაშე იდგა მისი არსებობის პირველ დღიდანვე. კორესპონდენტთა ქსელის ორგანიზაციას განსაკუთრებულ მნიშვნელობას აძლევდა ლენინი. აი, რას სწერდა ლენინი „ეკონომიჩესკაია ჟიზნ"-ის რედაქციას 1921 წლის 1 სექტემბერს:

„უნდა მოეწყოს კორესპონდენტების ადგილობრივი ქსელი, მეტი ყურადღება უნდა მიექცეს კორესპონდენციებს ადგილებიდან, ქარხნებიდან, მაღაროებიდან, საბჭოთა მეურნეობებიდან, რკინის გზის დეპოებიდან, სახელოსნოებიდან და სხვა".

1921 წლის გაზაფხულიდან გაზეთში შემოღებულ იქნა ადგილობრივი განყოფილება. 1921 წლიდან გაზეთმა მოაწყო კავშირი წარმოებებთან. ამჟამად გაზეთში მუშაობენ 400-ზე მეტი სამეურნეო კორესპონდენტი, მსხვილ წარმოებათა წარმომადგენელი, 300 კორესპონდენტი კოოპერაციის დარგიდან, 600 კორესპონდენტი ტრანსპორტიდან 70-მდე წარმომადგენელი მუშათა და გლეხთა ინსპექციისა. უკანასკნელ წლებში გაზეთის მუშაობის მიმართულება არსებითად შეიცვალა. წმინდა ინფორმატიული და აღწერითი მასალა ადგილს უთმობს კრიტიკულსა და მამხილებელ მასალას. გაზეთში მთავარი ადგილი დათმობილი აქვს სახალხო მეურნეობის აქტუალურ ამოცანების კამპანიას.

მოსკოვი, 5 ნოემბერი. გაზეთ „ეკონომიჩესკაია ჟიზნ"-ის იუბილეს გამო 5 ნოემბერს მოხდა კრება, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს სამეურნეო დარგის მუშაკებმა, მოსკოვის ფაბრიკა-ქარხნების, პროფესიონალური ორგანიზაციებისა და პრესის წარმომადგენლებმა.

შრომისა და თავდაცვის საბჭოს სახელით ამხ. გორბუნოვი მიესალმა რედაქციასა და გაზეთის მუშაკთ, ათი წლის იუბილეს გამო; მან აღნიშნა, რომ „ეკონომიჩესკაია ჟიზნ"-ი ჩვენი ქვეყნის სამეურნეო ცხოვრების მმართველობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ორგანოა. იგი სკოლაა, რომელიც ზრდის სამეურნეო დარგის მუშაკთა ახალ კადრებს, უმნიშვნელოვანესი ორგანოა ჩვენი ქვეყნის რეკონსტრუქციისათვის, მებრძოლი ორგანოა, რომელიც ჩვენს მშენებლობაში აბამს მშრომელთა ფართო მასებს, მათ შორის ინტელიგენციასაც.

„ეკონომიჩესკაია ჟიზნ"-ის პასუხისმგებელმა რედაქტორმა ამხ. კრუმინმა მიმართა კრებას წინადადებით—თვითკრიტიკის წესით აღნიშნონ ყველა ნაკლი, რომელიც გაზეთს ჰქონდა 10 წლის განმავლობაში და აგრეთვე ის, თუ რა უნდა მიიღოს მხედველობაში გაზეთმა მომავალი მუშაობის დროს. ამხ. კრუმინის მოწოდებას გამოეხმაურა ყველა დამსწრე. მათ გაზეთის დიდ დამსახურებასთან ერთად აღნიშნეს დეფექტებიც და შეიტანეს მრავალი საყურადღებო წინადადება. (ადს).

მოსკოვი

(ტელეგრაფით საკუთარი კორესპონდენტისაგან)

კონფლიქტი რურის ოლქში მწვავდება

მოსკოვი, 6 ნოემბერი. „იზვესტია"-ს ბერლინელი კორესპონდენტი ეხება რურის ოლქში შექმნილ მდგომარეობას და გადმოგვცემს შემდეგს:

როგორც იტყობინება გაზეთი „ბერლინერ ტაგებლატ"-ი არაოფიციალურ მოლაპარაკებამ, რომელიც სწარმოებდა მრეწველების წარმომადგენლებსა და მუშათა ორგანიზაციების შორის, ვერაფერი ნაყოფი გამოიღო და შესწყდა.

კონფლიქტი დღითი-დღე მწვავე ხასიათს ღებულობს.

საგაფიცვო მოძრაობა იზრდება

მოსკოვი, 6 ნოემბერი. „პრავდა"-ს პარიზელი კორესპონდენტი იტყობინება:

საგაფიცვო მოძრაობა შეუჩერებელი ტემპით იზრდება. გაფიცვა სწარმოებს სამ სხვადასხვა წარმოებაში. მოძრაობა მიმდინარეობს შრომის უნიტარული ფედერაციის ლოზუნგით: „მოვითხოვთ ხელფასის მომატებას".

სრულიად საკავშირო პარტიული თათბირი

მოსკოვი, 6 ნოემბერი. მომავალ წლის თებერვალში მოწვეული იქნება სრულიად საკავშირო პარტიული თათბირი, რომელზედაც საქართველოს დათმობილი აქვს ორი ადგილი.

ნავთის ახალი წყაროების გამომკვლევი ტრესტი

მოსკოვი, 6 ნოემბერი. სათბობი მასალის მთავარ სამმართველომ გამოჰყო სპეციალური კომისია, რომელსაც დაავალა საკითხის დამუშავება ნავთის ახალი წყაროების ტრესტის შექმნის შესახებ. უკვე გადადებულია თანხა აღნიშნული ტრესტის საორგანიზაციო ხარჯების დასაფარავად.

საკონცესიო მუშაობა ამიერ-კავკასიაში

მოსკოვი, 6 ნოემბერი. მთავარ საკონცესიო კომიტეტის გეგმაში, რომელიც უკვე დამტკიცებულია საკავშირო სახალხო კომისართა საბჭოს მიერ, საკონცესიო ობიექტებს შორის აღნიშნულია ანდამატის მადნების დამუშავება ამიერ-კავკასიაში.

გარდა ამისა, უცხოეთის კაპიტალი მოწვეული იქნება ამიერ-კავკასიის მორწყვის და ბამბეულის გადამუშავების საქმეში. კონცესიის ფორმა იქნება საკრედიტო-საიჯარო.

მექრთამეების გასამართლება

მოსკოვი, 6 ნოემბერი. უზენაეს სასამართლოში დაიწყო გზათა სახალხო კომისარიატის ყოფილ მუშაკების —მექრთამეების საქმე. გზათა სახალხო კომისარიატმა ბრალდებულებს წარუდგინა 140 ათასი მანეთის სარჩელი.

ა. წ. ნოემბრის 9-ს, საღამოს სრულ 6 საათზე
სასახლის წითელ დარბაზში
შესდგება
# თათბირი
მომავალ საბჭოთა საარჩევნო კამპანიასთან დაკავშირებულ საკითხების შესახებ

დღის წესრიგი:

1. საბჭოთა საარჩევნო კამპანიის პოლიტიკური ამოცანები.
2. საორგანიზაციო საკითხები და ახალი საარჩევნო ინსტრუქციის განხილვა.

თათბირზე მოწვეული არიან ავტ. რესპუბლიკების, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქის, ყველა მაზრა-ქალაქების აღმასკომების და ცენტრალური ორგანიზაციების წარმომადგენლები.

დასწრება სავალდებულოა.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილება.

---

10 ნოემბერს, საქ. პროფსაბჭოს მცირე დარბაზში
შესდგება
ს. კ. პ. (ბ) ცენტრ. კომიტეტთან არსებულ
სასოფლო თათბირის პირველი პლენუმი

დღის წესრიგი:

1. სოფლად მუშაობის ამოცანები საკ. კ. პ. (ბ) ც. კ. დადგენილებასთან დაკავშირებით.
2. ღარიბ გლეხთა შორის მუშაობის მდგომარეობა.
3. მიწადმოწყობის მსვლელობა და შემდგომი ამოცანები.
4. მოხსენება საბჭოების გადარჩევის შესახებ.

თათბირის ყველა წევრების დასწრება სავალდებულოა

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდი ოქტომბრის რევოლიუციის თერთმეტი წლის თავი

1917—1928 წლები

საჭიროა თუ არა ყველა იმის ჩამოთვლა, რასაც საბჭოთა ხელისუფლებამ კომპარტიის ხელმძღვანელობით მიაღწია თავისი არსებობის თერთმეტი წლის განმავლობაში საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე?

რასაკვირველია, საჭიროა, მაგრამ შეიძლება კი ყველაფერის ჩამოთვლა ერთბაშად, გაზეთის ერთ ნომერში?

არა, ეს ორგანიულად შეუძლებელია, მიღწევა მეტად დიდია და ბევრი და საჭიროა ტომები და წლები მათ აღსანუსხავად, თავმოსაყრელად.

საკმაოა ერთი თვალის გადავლება, რათა დავრწმუნდეთ, რომ პროლეტარიატს შეუძლია მართოს და განაგოს თავის სახელმწიფო. იმპერიალისტური ომის შემდეგ, მან აღადგინა მიწასთან გასწორებული სახალხო მეურნეობა, როგორც მრეწველობისა და ტრანსპორტის, ისე სოფლის მეურნეობის დარგში.

დასჯერდება თუ არა პროლეტარიატი სახალხო მეურნეობის აღდგენას, მის მიყვანას ომის წინა დროინდელ დონემდე?

არა, არ დასჯერდება. სახალხო მეურნეობის ზოგიერთ დარგში მან უკვე გადააჭარბა ომის წინადროინდელ დონეს. ამაზე მჭერმეტყველურად ღაღადებენ: ვოლხოვსტროი, დნეპროსტროი და სხვა უდიდესი საწარმონი საბჭოთა კავშირში; ზაჰესი, რიონჰესი, ტირიფონის არხი, მაუდის ფაბრიკა და აბრეშუმის ძაფის სახვევი ქარხნები საქართველოში; ყარა-სახვალის არხი, განჯის მაუდის ფაბრიკა, სასელექციო სადგური აზერბეიჯანში; ზარაჰესი, შირაქის არხი, მაუდის ფაბრიკა სომხეთში; აჭარისწყლის ჰიდროელსადგური აჭარისტანში, ტყვარჩელის ქვანახშირის დამუშავება აფხაზეთში და სხვ. და სხვ.

საბჭოთა კავშირის პროლეტარიატი ყველა მშრომელებთან ერთად, ღარიბ გლეხობაზე დაყრდნობილი და საშუალო გლეხობასთან დაკავშირებული, კომპარტიის ხელმძღვანელობით, მიზნად ისახავს მსხვილ მრეწველობის განვითარებას, ქვეყნის ინდუსტრიალიზაციას, სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქციას ისეთი საფუძვლებზე, როგორიც არის კოლექტიური მეურნეობა, საბჭოთა მეურნეობა, არტელი, ამხანაგობა, კოოპერაცია და სხვ.

მან უნდა ბოლო მოუღოს ძველი რეჟიმის წყეულ მემკვიდრეობას: წერა - კითხვის უცოდინარობას, ლოთობას, რელიგიურ შხამს და სხვას. მან ცხოვრებაში უნდა გაატაროს უმაღლესი ორგანოების, როგორც პარტიული, ისე საბჭოთა ორგანოების, დადგენილებანი, რათა სოციალისტურ მშენებლობას მტკიცე ბაზისი შეუქმნას.

როდესაც სოციალისტურ სახელმწიფოს ვაშენებთ, უნდა გვახსოვდეს, რომ კაპიტალისტური სახელმწიფოები ომს ამზადებენ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, რომ მათ სურთ ჩაახშონ საბჭოთა ხელისუფლება, მოსპონ ოქტომბრის მიღწევები, ხოლო შემდეგ— მსოფლიო რევოლიუციონური მოძრაობაც. ჩვენ მზად უნდა ვიყოთ. თუ ბურჟუაზიულმა მსოფლიომ მოისურვა თავისი ზრახვების სისრულეში მოყვანა და საბჭოთა კავშირზე იერიშის მოტანა, ჩვენ მზად უნდა ვიყოთ არა მარტო სათანადო პასუხის გასაცემად, და მოსაგერიებლად, არამედ იმისთვისაც რომ მთელი მსოფლიოს პროლეტარიატთან ერთად, მშრომელებთან ერთად დავამხოთ კაპიტალისტური ბატონობა, კაპიტალისტური უღელი ყველა ქვეყანაში და გავემართოთ მსოფლიო ოქტომბრისაკენ.

ოქტომბრის მე–11 წლის თავზე შევერთდეთ და შევკავშირდეთ ყველანი — მუშები და მშრომელი გლეხები, მუშა - ქალები და მშრომელი გლეხი ქალები, მუშურ - გლეხური წითელი არმია, ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირი—ძველი გვარდიის შემცვლელი, პიონერები — კომკავშირის შემცვლელნი, მშრომელი ინტელიგენცია: მასწავლებლები, აგრონომები, ინჟინერები, ტეხნიკოსები, ექიმები, მეცნიერი სპეციალისტები,— შევმჭიდროვდეთ და შევკავშირდეთ ერთ არმიად სოციალიზმის მშენებლობისთვის, კომუნიზმისთვის, თავისუფალი შრომის ბატონობისათვის.

მსოფლიო ბურჟუაზიამ მუშებისა და გლეხების, მშრომელების ექსპლოატაციის დროს კარგად იცის თავისი მოგების გამოანგარიშება, მაგრამ შესცდება, თუ ომს მთელ მშრომელ მსოფლიოს მოახვევს თავზე.

მსოფლიო ბურჟუაზიამ 1914 წელს იმპერიალისტური ომი გამოაცხადა, მაგრამ თავს ნუ ინუგეშებს ნურც გამარჯვებული კოალიცია — საფრანგეთი, ინგლისი, ამერიკა და სხვ. და ნურც დამარცხებული — გერმანია, ავსტრია და სხვ. იმით, რომ მათ თავიდან აიცდინეს ბოლშევიკური ხელისუფლება, პროლეტარიატის დიქტატურა. არა, ორივენი დამარცხებული გამოვიდნენ.

ყოფილი რუსეთის იმპერიის პროლეტარიატმა და მშრომელებმა იმპერიალისტური ომი გადააქციეს სამოქალაქო ომად, გაიმარჯვეს და მუშურ-გლეხური ხელისუფლება დაამყარეს დღევანდელ საბჭოთა კავშირში, დედამიწის მეექვსედ ნაწილში. ხოლო გამარჯვებულმა და დამარცხებულმა იმპერიალისტებმა დეე თავი იტეხონ ვერსალის ხელშეკრულებაზე: პირველებმა იმაზე, თუ როგორ გაინაღდონ ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებანი, მეორეებმა— როგორ გადაიხადონ ეს ვალდებულებანი. ამავე დროს კი დასავლეთ ევროპის პროლეტარიატი ბოლშევიზმის გზით მიდის, ხოლო საბჭოთა კავშირი განუსაზღვრელად იზრდება.

ჯერ, - ჯერობით ერთადერთი - ერთი პროლეტარული სახელმწიფო მსოფლიოში, საბჭოთა კავშირი, მოსვენებას არ აძლევს მთელი ქვეყნის იმპერიალიზმს. ამზადებენ ომს ჩვენ წინააღმდეგ, მაგრამ ეს იქნება უკანასკნელი შეხვედრა უკანასკნელი ბრძოლა, და მთელი მსოფლიოს პროლეტარიატი, მე-3 კომუნისტური ინტერნაციონალის ხელმძღვანელობით, გაიმარჯვებს კაპიტალზე და იდღესასწაულებს მსოფლიო ოქტომბერს.

ძირს ყოველგვარი გადახრა!

გაუმარჯოს საკ. კ. ლენინური პარტიის (ბ) მთლიანობას!

გაუმარჯოს წითელ არმიას!

გაუმარჯოს კომინტერნს!

გაუმარჯოს მსოფლიო ოქტომბერს!

ვ. სტურუა.

ჩვენი ზეიმი

მშრომელი ხალხი დღეს ზეიმობს ოქტომბრის რევოლიუციის თერთმეტი წლის თავს.

არაჩვეულებრივი ბრძოლის გზა განვლო რუსეთის პროლეტარიატმა ოქტომბრის მისაღწევად. ციმბირის თვალუწვდენელი მინდვრები, მაღაროები და ციხეების კედლები სავსე არის მედგარ მებრძოლთა ძვლებით; ასობით და ათასობით იღუპებოდენ მშრომელთა საუკეთესო შვილები, რომლებიც ვერ ურიგდებოდენ თვითმპყრობელობის შავბნელ რეჟიმს.

ოქტომბრის გამარჯვების შემდეგ მთელი წლების განმავლობაში სწარმოებდა სამკვდრო-სასიცოცხლო ომი რევოლიუციის მონაპოვართა შესანარჩუნებლად და განსამტკიცებლად. მშრომელმა ხალხმა ამ დიდ საქმეს შესწირა ათასები თავისი საუკეთესო შვილებისა, მშრომელთა მასის წიაღიდან გამოიკვეთა სახელოვანი წითელი არმია, რომელმაც განუწყვეტელი, თავდადებული ბრძოლებით ზღვაში გადაყარა მშრომელთა კლასის მტრები და წითელი ხიშტები დაასო რეაქციონურ ძალთა ხროვას საფლავს. ჩვენი სახელოვანი წითელი ლაშქარი მედგრად დგას საგუშაგოზე და იცავს საბჭოთა რესპუბლიკის საზღვრებს.

სალამი მას, დიდება დაღუპულ მებრძოლთ.

მუშათა კლასის ერთად-ერთმა შემაკავშირებელმა ძალამ, რევოლიუციონურ პროლეტარიატის ავანგარდმა—კომუნისტურმა პარტიამ ბარიკადებზე ბრძოლით დააგვირგვინა ოქტომბერი, რომელსაც ხელმძღვანელობდა და ხელმძღვანელობს მშრომელთა მასების ფართე და უშუალო მონაწილეობით.

ვაშა კომუნისტურ პარტიას—მშრომელთა რაზმს, საერთაშორისო პროლეტარიატის ავანგარდს და ხელმძღვანელს.

დიდი და ძნელი იყო ჩვენი მუშაობა; აუწერელი იყო ის დაუღალავი და დაუშრეტელი ენერგია, რომელიც გამოიჩინა მთელმა მუშათა კლასმა როგორც სამოქალაქო ომის პერიოდში, ისე შემდგომ განვითარების და აღმშენებლობის ხანებში. ჩვენ მივიღეთ დანგრეული, გაპარტახებული სახელმწიფო, რომელმაც გაიარა მსოფლიო იმპერიალისტურ ომის ქარცეცხლი და სამოქალაქო ომების საშინელი შედეგები. ჩვენი მრეწველობა დანგრეული იყო, სასოფლო მეურნეობა განადგურებული, სახალხო ქონება განიავებული. დაგვრჩა მხოლოდ ნანგრევები, რომლებზედაც დავიწყეთ ახალი, პროლეტარული, საბჭოთა სახელმწიფოს აშენება.

როგორია მდგომარეობა დღეს, ოქტომბრის რევოლიუციის 11 წლის თავზე? სწრაფად ვითარდება ჩვენი მრეწველობა, ბევრ დარგში არა თუ გაუთანასწორდით ომამდე არსებულ დონეს, არამედ კიდეც გადავაჭარბეთ მას. გაშლილია ინდუსტრიალიზაციის ფართე ფრონტი, სადაც ყოველდღე გვაქვს ახალ-ახალი მიღწევები. თუ წინეთ მეფის რუსეთის მესვეურები ფაბრიკა-ქარხნებს თავს უყრიდენ ცენტრალურ გუბერნიებში, ხოლო „ინოროდცებით" დასახლებული განაპირა მხრები საწველ ფურს წარმოადგენდენ,—დღეს ის განაპირა რაიონები ჭეშმარიტად ზეიმობენ საკუთარი მრეწველობის განვითარებას და ქარხანას ქარხანაზე აშენებენ.

აიღეთ თუნდაც ჩვენი პატარა აჭარისტანის მაგალითი. განა როდისმე ვინმეს აზრად დაბადებოდა, რომ აჭარისტანის მრეწველობა ასე განვითარდებოდა?—არასოდეს.

მიყრუებულ უდაბნოში, აჭარისწყლის პირად, დღეს გუგუნებს ელექტრონის მძლავრი მოტორი, რომელიც ახლო ხანში ელექტრონის სხივებით გაანათებს აჭარისტანის მივარდნილ კუთხეებსაც. ის გაანათებს და გაანათლებს. ეს განათლება დაიწყო 1921 წლის 18 მარტიდან, როდესაც აჭარისტანის სოფლებში შემოანათა ოქტომბრის რევოლიუციის დიადმა შუქმა. ამ დღიდან იწყება აჭარისტანის ფუხარა ხალხის ნამდვილი ცხოვრება. ჩვენ თითქოს 18 მარტს, 1921 წელში დავიბადეთ, რადგან ჩვენი ბედნიერება, ჩვენი ადამიანობა მხოლოდ ამ დღიდან იწყება. მანამდე ჩვენ არავინ არაფრად არ გვთვლიდა. ყველას ხელში სათამაშო ვიყავით, ათას ტყავს გვაძრობდენ, გვჩაგრავდენ, ადამიანთა რიცხვში არ ვიყავით შეტანილი ცხადია, ვინ იფიქრებდა ჩვენს განათლებაზე, ჩვენს სწავლაზე, ჩვენს გამოყვანაზე ცხოვრებაში.

საბჭოთა ხელისუფლებამ ერთი ხელის დაკვრით გაანადგურა, მოსპო ასეთი მდგომარეობა. ჩვენი მტანჯველები—ბეგები, აღები, მემამულეები, კაპიტალისტები გადაყრილია; აჭარელი მშრომელი, ფუხარა დღეს თითონ არის ხელისუფლების სათავეში, თითონ განაგებს სახელმწიფოს და მას არავინ ჰყავს მბრძანებელი, გარდა საკუთარი თავისა. ჩვენ, აჭარლები ვართ სრულუფლებიანი წევრი დიდი საბჭოთა, მშრომელთა ოჯახისა, სადაც დამყარებულია სრული თანასწორობა.

თუ დაშნაკელები, მენშევიკები, მუსავატელები ერთმანეთს ეჩხუბებოდენ, მეზობლურ ძმურ ერებს ერთმანეთის წინააღმდეგ ამხედრებდენ, და მუდმივ ომებში იყვნენ, საბჭოთა ხელისუფლების დროს არავითარ ომის მსგავსს ადგილი არ აქვს და არც შეიძლება ჰქონდეს. ჩვენ დავამყარეთ მჭიდრო კავშირი მუშებსა და გლეხებს შორის, აღმოვფხვარით ყოველგვარი უთანხმოება ხალხებს შორის და ტანკების, გამანადგურებელ იარაღების მაგივრად — ვაშენებთ საბჭოთა და კოლექტიურ მეურნეობებს, ვემსახურებით მშრომელთა საქმეს.

გადახედეთ თავისუფალ აჭარისტანს: სოფლები, მიყრუებული ადგილები მოფენილია სკოლებით, დასერილია ქოხ-სამკითხ. საექიმო პუნქტებით, კოოპერატივებით და მთელი რიგი საზოგადოებრივ ორგანიზაციების ქსელით. ჩვენი დიდი მშენებლობის დაფარვა არ შეუძლია არავის. საბჭოთა ხელისუფლების მოსისხლე მტრებსაც კი.

ყოველივე ეს არის დიდი ოქტომბრის შედეგი! მისმა სხივებმა გარდატეხა მოახდინეს ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში. შეიჭრნენ ჩვენ სოფლებში, შეანძრიეს ძველი ყოფა-ცხოვრება, რომლის ნანგრევებზე ჩვენ ვაშენებთ ახალ ცხოვრებას.

დღეს, ჩვენი გამარჯვების 11 წლის თავზე, აჭარისტანის მშრომელი ხალხი მხურვალე სალამს უძღვნის საერთაშორისო მუშათა კლასს და მასთან ერთად გაიძახის:

გაუმარჯოს დიდი ოქტომბრის 11 წლის თავს!

გაუმარჯოს კომინტერნს—საერთაშორისო რევოლიუციის შტაბს!

გაუმარჯოს საკავშირო კომპარტიას (ბ) ოქტომბრის ხელმძღვანელს და მებაირახტრეს!

გაუმარჯოს წითელ ლაშქარს, რომელიც მედგრად სდგას ოქტომბრის საგუშაგოზე!

გაუმარჯოს საერთაშორისო რევოლიუციას!

მემედ გოგიბერიძე.

ნ. ლენინი

ოქტომბერი

ძლევამოსილი ოქტომბრის რევოლიუცია თავის განვითარების მე-12 წელში გადავიდა.

საბჭოთა რესპუბლიკების კავშირი საერთაშორისო ასპარეზზე წარმოადგენს ისეთ ორგანიზაციას, რომელსაც ყველა კაპიტალისტური ქვეყნები იძულებული არიან გაუწიონ ანგარიში. შიგნით საბჭოთა რესპუბლიკებმა აღადგინეს იმპერიალისტური და სამოქალაქო ომით განადგურებული ქალაქის და სოფლის მეურნეობა და დღეს ჩვენში მუშათა და გლეხთა მასების აქტიური მონაწილეობით, ფართე სოციალისტური მშენებლობაა.

პროლეტარული რევოლიუციის მტრები, მათ შორის ყველა ჯურის სოციალისტები, „გვიწინასწარმეტყველებენ", რომ ოქტომბრის რევოლიუცია არის მხოლოდ „მოკლე ამბავი", ისტორიული გაუგებრობა", ხელოვნურად მოწყობილი „ბუნტი" და არწმუნებდენ მთელ მსოფლიოს, რომ ეს ბუნტი სულ მოკლე ხანში იქნება ჩაქრობილი და საბჭოები იცოცხლებენ მხოლოდ ერთ, ან რამოდენიმე თვესო. მაგრამ ჩვენი მტრები სასტიკად შესცდენ ანგარიშში. პროლეტარიატის დიქტატურა უკვე 11 წელია არსებობს, მტკიცდება და პრაქტიკულად ატარებს სოციალისტური აღმშენებლობის უმნიშვნელოვანეს ამოცანებს.

ოქტომბრის რევოლიუციამდე რუსეთის იმპერია წარმოადგენდა მსოფლიო რეაქციის ბუძეს, ტყვილად კი არ უწოდებდენ მას „მსოფლიო ჟანდარმის" სახელს. საბჭოთა კავშირი კი არის საერთაშორისო რევოლიუციონური მოძრაობის ჩირაღდანი, აღმოსავლეთის ერების განმათავისუფლებელი ბრძოლის ვარსკვლავი. ოქტომბრის რევოლიუციამ დაამხო ბურჟუაზიული წესწყობილება, საბჭოთა კავშირში შენდება სოციალისტური საზოგადოება, აქ განხორციელებულია ხალხთა სრული თანასწორობა, ამაში გამოიხატება ჩვენი მუშურ-გლეხური სახელმწიფოს საერთაშორისო მნიშვნელობა და ამით აიხსნება ის, თუ რათ პოულობს საბჭოთა კავშირი თანაგრძნობას და დახმარებას მსოფლიოს ყველა მშრომლების და დამონავებულ ერების მხრივ.

თავის არსებობის მე-12 წლის დასაწყისში, საბჭოთა კავშირის მშრომელ მასებს შეუძლიათ სიამაყით აღნიშნონ წარსული წლების განმავლობაში მიღწეული შედეგები. მუშებმა და გლეხებმა, კომუნისტური პარტიის და უდიდესი ბელადის ლენინის ხელმძღვანელობით, მიუხედავად მსოფლიო კაპიტალისტების და შინაური კონტრ - რევოლიუციონური ძალების გაერთიანებულ იერიშისა, შესძლეს ოქტომბრის რევოლიუციის მონაპოვრების, პროლეტარიატის დიქტატურის შენარჩუნება და განმტკიცება. ლენინის გენერალური ხელმძღვანელობით კომუნისტური პარტიამ და საბჭოთა ხელისუფლებამ განვლო თავის ბრძოლის და მუშაობის მეტად ძნელი და სახიფათო მომენტები, როგორიც: ბრესტი, მწვავე სამოქალაქო ომი, გადასვლა ახალ ეკონომიურ პოლიტიკაზე, მეტად საშიში და რთული დამოკიდებულება სხვადასხვა მტრულად განწყობილ კაპიტალისტურ სახელმწიფოებთან, მეტად მძიმე პირობებში, დანგრეული მეურნეობის აღდგენა, ამავე პირობებში სოციალისტური მშენებლობის პირველი მიღწევები და სხვ.

რა საშუალებით გადალახა პარტიამ და ხელისუფლებამ ეს სიძნელენი, რა მეთოდებით მიაღწია იმ რეალურ შედეგებს, რომლებსაც დღეს ყველა ხედავს? ერთი მთავარი განსხვავება საბჭოთა სისტემისა ბურჟუაზიულ სახელმწიფოს მართვა-გამგებლობისაგან გამოიხატება იმაში, რომ საბჭოთა კავშირის მოსახლეობის ფართო მასები, მუშები და გლეხები ღებულობენ მონაწილეობას სახელმწიფოებრივ აღმშენებლობაში. საბჭო[illegible] მშრომელი მოსახლეობა — საბჭოების, პროფკავშირების, კოოპერაციის, საწარმოო თათბირების, ქალთა ორგანიზაციების და სხვა მრავალი ორგანიზაციების და საზოგადოებების საშუალებით ჩაბმულნი არიან პოლიტიკურ, სამეურნეო და კულტურულ მუშაობაში. მონობიდან სამუდამოდ განთავისუფლებულ, რევოლიუციონურ ენტუზიაზმით აღსავსე, მშრომელ მასების მისწრაფება ბრწყინვალე მომავლისაკენ არის სოციალიზმის საბოლოოდ გამარჯვების უტყუარი საწინდარი.

მე-12 წლის თავზე, საბჭოთა ქვეყნების ეკონომიურ და კულტურულ მშენებლობის განვითარების და გაღრმავებისათვის ჩვენს წინაშე სდგანან მეტად მნიშვნელოვანი ამოცანები:

1. ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია, მსხვილი მრეწველობის განვითარება, რომ ამ გზით გარდავქმნათ სახალხო მეურნეობა, გავხადოთ საბჭოთა კავშირი ეკონომიურად მძლავრი და სრულებით დამოუკიდებელი კაპიტალისტური ქვეყნებისაგან და დავაჩქაროთ სოციალიზმის შენება.

2. ჩვენი ჩამორჩენილი და დაქსაქსული სოფლის მეურნეობის წინ-წაწევა, მისთვის ახალი ტეხნიკური საფუძვლების შექმნა, სოფლის მეურნეობის ინდუსტრიალიზაცია და მისი თანდათანობითი კოლექტივიზაცია, რომელიც გადაიყვანს სოფლის მეურნეობას როგორც შრომის ახალ ფორმებზე, ისე კულტურულად და ტეხნიკურად გაუმჯობესებულ საშუალებებით მიწის დამუშავებაზე.

3. კოოპერაციის განვითარება და განმტკიცება (განსაკუთრებით სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის), რათა გავაძლიეროთ ბრძოლა კერძო კაპიტალისტურ ელემენტებთან, და სოფელი სოციალისტურ ნიადაგზე გარდავქმნათ.

4. კულტურული მშენებლობის ამოცანების განხორციელება, ბრძოლა უცოდინარობასა და უვიცობასთან, მუშების და გლეხების კულტურულ დონის ამაღლება, ძველი მამა-პაპური დროიდან დარჩენილი ყოფა-ცხოვრების მავნე და დამამცირებელი ჩვეულებების აღმოფხვრა (სისხლის აღება, ჩადრი, ბოხელი, საცოლოს შესყიდვა და სხვ.).

5. ზემო ჩამოთვლილ ამოცანების წარმატებით განხორციელება შეიძლება მაშინ, როდესაც ღარიბი და საშუალო გლეხობა უფრო მჭიდროდ და შეგნებით იქნება შეკავშირებული კომუნისტურ პარტიასთან და ხელისუფლების ორგანოებთან. ღარიბი და საშუალო გლეხების მტკიცე კავშირის საშუალებით ჩვენ უნდა ვაწარმოვოთ სასტიკი ბრძოლა კულაკურ ელემენტების წინააღმდეგ სოფლად, რომელნიც ფარულ და აშკარა წინააღმდეგობას უწევენ საბჭოთა მშენებლობას; ღარიბი გლეხების და მოჯამაგირეების აქტივობის გაძლიერება, მათი ორგანიზაციის განმტკიცება და მათზე პოლიტიკური ხელმძღვანელობის გაძლიერება საუკეთესო საშუალებაა ჩვენი ამოცანების სწორად და მტკიცედ გატარებისათვის სოფლად.

ქალაქად და სოფლად საბჭოთა მუშაობის გაძლიერება და გაღრმავება, შემოქმედებითი თვითკრიტიკის მეთოდებით ფართო მასების ჩაბმა საბჭოთა მშენებლობაში, საბჭოების ნაკლოვანებების და სუსტი მხარეების გამომჟღავნება და მათი გამოსწორება, თვითკრიტიკის საშუალებით მშრომელთა მასის გალაშქრება საბჭოთა ხელისუფლების მტრების და მავნებლობის წინააღმდეგ, სასტიკი ბრძოლა ბიუროკრატიზმთან,—აი, კიდევ ჩვენი დღევანდელი მშენებლობის დიდი ამოცანები.

6. გარდა ამისა, ჩვენ გვმართებს განსაკუთრებული ყურადღებით მოვეკიდოთ წლევანდელ საარჩევნო კამპანიას; საჭიროა ისეთი მოსამზადებელი ღონისძიებების ჩატარება, რომელნიც უზრუნველყოფენ მუშების და გლეხების ფართო მასების ჩაბმას საბჭოთა არჩევნებში, საბჭოების მუშაობის ანგარიშგების სწორად ჩატარებას მშრომელთა წინაშე, მომავალი საბჭოების უნარიანობას, მისი კლასობრივ შემადგენლობის გაუმჯობესებას, პროლეტარიატის და ღარიბი გლეხობის როლის განმტკიცებას და სხვ.

მიუხედავად იმისა, რომ ოქტომბრის რევოლიუციის მე-12 წლის განმავლობაში ჩვენ გვიხდება ამ ამოცანების განხორციელება ძნელ და რთულ პირობებში, რაიც აიხსნება უმთავრესად ჩვენი სასოფლო მეურნეობის ჩამორჩენილობით, ჩვენი საერთო სილარიბით, მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთ მერყევ ელემენტებში ამ სიძნელეებმა გამოიწვიეს ერთგვარი შიში, უკან დახევის სურვილი, ჩვენ მტკიცეთ უნდა ვიყოთ დარწმუნებული, რომ რევოლიუციის მეთაურ კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, ლენინის დროშით ხელში, საბჭოთა რესპუბლიკების მშრომელნი, ისე, როგორც აქამდის, გადალახავენ დაბრკოლებებს თავის რევოლიუციონურ შემოქმედებითი მუშაობაში და წინ მდგომი ამოცანების სწორი და ნათელი შეგნებით უფრო მძლავრი ნაბიჯით წავლენ სოციალიზმისაკენ. ამით თავდება 11 წლის ბრძოლა და გამარჯვებანი.

ი. ვარძიელი.

საბჭოთა კავშირის სამხედრო-რევოლიუციონურ საბჭოს ბრძანება

მოსკოვი, 6 ნოემბერი. საბჭოთა კავშირის სამხედრო და საზღვაო სახალხო კომისრის მოადგილის და სამხედრო - რევოლიუციონური საბჭოს, თავმჯდომარის ამხ. **უნშლიხტის** ხელმოწერით გამოქვეყნებულ იქნა სამხედრო რევოლიუციონური საბჭოს შემდეგი ბრძანება ოქტომბრის რევოლიუციის მეთერთმეტე წლის თავის გამო:

„დამთავრდა მეთერთმეტე წელიწადი დიდი ოქტომბრის რევოლიუციიდან. მთელი იმ დაბრკოლებებისა და წინააღმდეგობების მიუხედავად, რომლებსაც საბჭოთა ქვეყანას სხვადასხვა კლასობრივი მტრები უწევენ, ეს ქვეყანა წარმატებით მიდის სოციალიზმისაკენ. გაიზარდა სოციალისტური მრეწველობა — ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის საფუძველი, საბჭოთა კავშირის ეკონომიური დამოუკიდებლობისა და მისი თავდაცვის უნარიანობის საწინდარი. განმტკიცებულ სამრეწველო ბაზისზე მუშათა და გლეხთა მთავრობა შეუდგა მუშაობას სოფლის მეურნეობის სოციალისტურად გარდაქმნისათვის. შენდება საბჭოთა მეურნეობები, მარცვლეულის ქარხნები, ეწყობა ღარიბ და საშუალო გლეხთა კოლექტიური მეურნეობები. ყოველგვარი დაბრკოლების გადალახვა და დიდი წარმატების მიღწევა შესაძლებელი გახდა მხოლოდ კომუნისტური პარტიის გარშემო მშრომელთა ფართო მასების შემოკრებისა და შემჭიდროვების წყალობით. საბჭოთა კავშირის შეიარაღებულ ძალთა განვითარებაც განვლილ წელს მიმდინარეობდა იმ ელემენტების ზრდის ნიშნის ქვეშ, რომელნიც ხელს უწყობენ წითელი არმიის, როგორც პროლეტარული სახელმწიფოს დასაყრდენის, უნარიანობის განმტკიცებას. ჯარისკაცთა და მეთაურთა შემადგენლობის კლასობრივმა შეგნებამ და შემჭიდროვებამ, სწავლაში დაწინაურებამ და მზად ყოფამ თანამედროვე ომის საწარმოებლად, მტკიცე რევოლიუციონურმა დისციპლინამ, — ყველა ამან, იმ წარმატებასთან ერთად, რომელსაც ჩვენ ინდუსტრიალიზაციის საქმეში მივაღწიეთ, გააძლიერა ჩვენი თავდაცვის უნარიანობა, მუშათა და გლეხთა მთავრობა ყოველთვის მისდევდა და მისდევს მშვიდობიან პოლიტიკას, რომელიც უზრუნველჰყოფს სოციალისტური მშენებლობის და მშრომელთა ფართო მასების კულტურული განვითარების შემდგომ განხორციელებას.

მაგრამ ეს მშვიდობიანი პოლიტიკა ძირითადად ეწინააღმდეგება იმპერიალისტური სახელმწიფოების ინტერესებსა და გეგმებს. ახალი ომების საფრთხე თანამედროვე საერთაშორისო შეიარაღებულ პირობებში კვლავ რეალურ საფრთხედ რჩება. მილიტარიზმი იზრდება, იზრდება და უმჯობესდება შეიარაღება, მზადდება ახალი შეიარაღებული კონფლიქტები. ამავე დროს სამხედრო მზადების მახვილი მიმართულია ჩვენ წინააღმდეგ, სოციალისტური სახელმწიფოს წინააღმდეგ. ასეთ პირობებში სამხედრო ამოცანები ჩვენ მშვიდობიანი შრომის დროსაც არ უნდა დავივიწყოთ. ჩვენ უნდა განვაგრძოთ ჩვენი რიგების შემდგომი გაძლიერება და განმტკიცება. სამხედრო ცოდნის და პოლიტიკური შეგნების დონის ამაღლება, ბრძოლა ბიუროკრატიზმის ყოველ განსახიერებასთან, ბრძოლა კულტურული ზნე-ჩვეულებისთვის სწავლაში, მუშაობაში და ყოფა - ცხოვრებაში, ყოველგვარი დეფექტის გადაჭრით დაძლევა, ფოლადისებური შემჭიდროვება ჯარისკაცთა მეთაურთა შემადგენლობისა, ერთგულება მშრომელთა საქმისადმი, მზადყოფა ყოველ წუთსა და წამს პროლეტარული სახელმწიფოს დაცვისათვის, — აი, ის ძირითადი ამოცანები, რომლებიც წითელი არმიის მებრძოლთ არასოდეს არ უნდა დაივიწყონ, რომლებსაც ისინი მტკიცედ უნდა ახორციელებდნენ საბჭოთა ხელისუფლების არსებობის მეთორმეტე წელს. ახალი ენერგიით, ახალი ძალით, ერთის ნებისყოფითა და სურვილით გამსჭვალულნი მხნედ წავიდეთ წინ ახალ წარმატებისაკენ, ახალი გამარჯვებისაკენ.

გაუმარჯოს ოქტომბრის მეთერთმეტე წლის თავს!

გაუმარჯოს საბჭოთა სახელმწიფოს შეიარაღებულ თავდაცვას — მუშათა და გლეხთა წითელარმიას!".

თავდადებული

(ნაწყვეტი პოემიდან: „ოქტომბრისათვის აჯანყებულნი")

...ამ წელს ზამთარი მოიცვა ცოფმა
და ამბოხებამ გაშალა ფრთები,
როცა მეხივით იჭექა თოფმა,
ისროლა კვამლი და ნახეთქები!..

მიწის ძვრის ტალღამ თუ გადაიარა
და შეარყია ბევრგან ქალაქი?
მთებს თუ გაეხსნათ მკერდში იარა,
რომ ჩნდა ლანქერიც სისხლით ნალაქი?!.

არა, ოქტომბრის სიზმარი, ტკბილი,
ზამთარმა დიდხანს ცივ ქარში ხვია:
მხეცთა ნასისხლი — იქედან — კბილი,
რევოლიუციის — აქედან — ტყვია..

ემსხვერპლა იმ წელს ბევრი ნადირი:
ზოგი — ტყავით თუ ზოგი — ბეწვებით...
ცა სჩანდა ცივ-ცრემლ-ჩამონატირი
და მღვრელი მისი სავსე პეშვებით..

და მიწაც ამ ცივს ცრემლსა და ორთქლში
იკრუნჩხებოდა, ვით დედაბერი,
თითქოს იღებდენ მას ცოცხლად ოთხში,
რომ კვლავ სიცოცხლეს ეცვალა ფერი!..

კვალამც გაფერა ძველი სიათა,
ძმა დეზერტირი შინ მოუვიდა,
იყო „სამხედრო კომისიათა":
თავის თუ სხვების თოფებს უვლიდა.

მოყვა ფრონტიდან ერთი თვისება:
„ბოლშევიკობა" — სახელწოდებათ!..
ხედავს: ზამთარი თოვლით ივსება,
მას გაზაფხული სდევს ამბოხებათ...

თეთრი ნამქერი ქარმა მოხვეტა,
და მიაყარა ურალს, იალბუზს...
სულ იძახოდა: მოვა ოხ, ნეტა,
რომ მენშევიკებს გაუსწორებს კუზს!

არა და კუზი ჩაიქცეს სულ მთლად,
რის მაქნისია ერთ ადგილს ტკეპნა?
ჩვენს ბრძოლის დროშას უცქერენ მუხთლად
ისინი, ვისაც ის უნდა ეცვნო!..

ერთხანს სოფელში მარტო დაბოდა,
შემდეგ, მას კვალაც მხარს რომ უჭერდა,
გული მის მკერდში აღარ დაობლდა,
გული კვლავ უფრო ცეცხლით უძგერდა...

ჩამოარიგეს „მიწის ნორმები":
გადასახადი ერგოთ ფულადი;
კვალას ძმამ დაჰგმო ეს „რეფორმები",
ტყეში გაიჭრა, იყო გულადი!..

იქ ერთხანს კვალამ უზიდა მჭადი
და, როცა მასაც დღე გაუძნელეს,
მანაც მოიგდო მხრებზე ნაბადი
და მიაშურა ტყეს თუ ველებს...

ასე ეს ფრონტიც გაუჩნდა სოფელს,
როცა სხვა ფრონტებს ვერც კი ითვლიდა,
ატრიალებდა უმიზნოთ თოფებს,
სისხლს, არც იცოდა, რისთვის იღვრიდა...

თუ „ბოლშევიკებს" მიწები უნდათ,
ის გლეხებისთვის არ ეშურებათ,
მაშ, რათ სჯიან მათ ცალად თუ გუნდათ
და იმათი ხმა არ ეყურებათ?!.

და იწყეს დრტვინვა ახლა გლეხებმა,
უარყვეს ძველი ხვეწნა და თხოვნა,
ღარიბი მდიდარს ტლანქად ეხება,
რომ მდიდრებისგანაც მოჰყვეს „ხსოვნა"!..

ამას ოდიშის მოჰყვა ამბოხი
და აჯანყება მოედო დუშეთს...
ზის კვალა ძმის გვერდ, წინ უდგას ქოხი,
ზვერავს მომხვდურებს და ტყვიებს უშენს!..

ხედავს ერთ დილით, რომ ჯავშნოსანი
გაჩქარებულად მოადგა სადგურს,
ტყვია და ნაღმი გახდა ფრთოსანი,
მტერი იჩენდა ავ თვალს და ავ გულს!..

შეფიცულები გაიქცენ მთებში,
მტერმა რომ ირგვლივ გასდვა ჩლიქები,
ბევრს ცივი ტყვიაც თან გაჰყვა მხრებში
და ზიზღად—სიტყვა: „ბოლშევიკები"!..

გადაიარეს სვანეთის მთები,
რაჭა და შემდეგ — ოსეთის ყელი:
შეხვდენ იქ ოსნი და დუშეთლები,
ამხანაგურად ხელთ მისცეს ხელი!

ისევ დაენთო ტყვიის კოცონი,
ისევ აბოლდა კვალას ორლულა,
იმდენად იყო ის თავმომწონი,
რომ შიგ „ვინტოვკაც" არ ეყაბულა!

ის გვერდში ედგა ამხანაგ საშას,
და აქვე ნახა დიდი ფილიპეც,
დარწმუნდა, როცა სცვლიდა „პატრანტაშს",
რომ სჯობს „ვინტოვკა" ყველა ფილითებს!..

მას შემდეგ, კვალა თითქოს გაგიჟდა:
თავს ევლებოდა ისე მაღლობებს,
რომ მისი ქცევით მტერი ჩაფიქრდა,
და გადასწყვიტა, რომ ვერ აჯობებს!..

ძლიერი ცეცხლი, დაანთო მაშინ
და, მიიტანეს რა იერიში,
ამხანაგები გაიქცენ მთაში,
თუმც უდრეკელთაც თან გაჰყვათ ჟიში!..

წავიდენ, მაგრამ ისევ გამოჩნდენ,
ერთ დამარცხებით ვინ მოიშვება?
აქ, ამ ბრძოლაში უნდა ამოსწყდენ
ან მოიპოვონ ნანატრი შვება!

უკვე მცხეთის თავს გადმოდგა რაზმი,
თან რომ მოსდევდა სახელი „ბანდა"...
გულ-მტუტე, როგორც მტკვარის წყალნასმი,
მტერი, ვერაგი ჯერ არც კი სჩანდა...

გათენებიდან იწყო მოსვლა,
გახშირდა მტერი, ვით ჭიანჭველა..
კვალამაც მიიღო ეს გამოწვევა,
„ვინტოვკის" ლულა მთლად გააცხელა..

ბევრი დაეცა მის გვერდით მოძმე,
თუმც კვალამაც მტერი სისხლში აცურა..
კვლავ დამარცხების შეიქნა მოწმე
და, სხვებთან ერთად, მთებს მიაშურა..

იქ ითათბირეს... ხოქვეს ყველაფერი,
თუმც არც თავის თავს ჰკადრებდენ აუგს..
ცნობა მოვიდა, რომ უტევს მტერი,
და მისახმარად გაიქცენ ძაუგს!..

მთელი ორი თვე გასტანა ბრძოლამ
და საბჭოებიც დაიცვეს იქა,
მთა გააყრუა მუდმივმა სროლამ
და ტყეს ტყვიებმა გაართვეს ხიჭა!..

კვალამ მიიღო ორი ჭრილობა,
მაინც ბრძოლის ველს შერჩა, ვით კეტი!
რის „ხიგრგილე", ან გულ-გრილობა,
როცა მტერია ამოხაულეტი?!.

მანც მოსვენება აქ არ იცოდა
და ტრიალებდა, როგორც რომ ჯარა!
ის ხომ ოქტომბრის ცეცხლით იწოდა
და წინსვლის მეტი არ ჰქონდა ჩარა?!.

თითქოს აკვნიდანაც „ბოლშევიკია",
ასეა გულში დარწმუნებული!..
ახლა მის ფეხ-ქვეშ მთის ბილიკია,
მოდის, მცხეთისკენ დაბრუნებული..

— ქალაქი უნდა გავასაბჭოვოთ!
წინ ამ განზრახვას რა დაუდგება?!.
კვალას რომ ერთ წუთს ყური ათხოვოთ,
საკითხი ესე წუთს გადასწყდება...

მაგრამ გაძნელდა აქ „კამპანია",
რადგაც პირქუში მოდის დროები:
უკან აწევდილი მთის კაპანია,
წინ კი—ვერაგი მტრის ურდოები!..

ხშირად მთით, ღამით მოსჩანს თბილისი,
ვით ჩავარდნილი ცა-ვარსკვლავებით!..
ასე წავიდა ცხელი ივლისი
და შემოდგომაც მოდის შავებით...

კვალას ჰგონია, რომ მტრისთვის მოდის,
თვით მას კი გულში უფრინავს ჩიტი!
გულში სიმძიმე თუმც ჩაწვა ლოდის,
შიგვეა ღველფი და დინამიტი!

მისთვის ყველაა ეს მოძრაობა.
მაგრამ, თუ მასსაც გარს არ არტყია,
განწირულია ბრძოლის რაობა
და გმირის ხვედრიც მაშინ მარცხია!..

და ჰა, იმედის ხმებიც სწვდებიან:
უკვე იღვიძებს მთელი გლეხობა!
„ბოლშევიკებიც" აქ გასწყდებიან,
ან ბატონობა მტრის დაემხობა!..

აჯანყებულა: ოსეთი, გორი,
ოდიშიც და იქ, გაღმა — გურია,
მთებსაც გადმოსხდათ ნიაღვრის თქორი
მტერი ყველგან მოწამლულია...

კვლავ ჯავშნოსნები აამოძრავეს,
მტრის ურდოებიც დაიძრა რხევით,
გზა-ჯვარედნები სულ გააკავეს:
იქით თუ აქეთ, ზევით თუ ქვევით...

უკვე ცხინვალში გამოჩნდა მტერი
და ემუქრება ზურგიდან დუშეთს...
კვალამ არა ერთს უცვალა ფერი,
მისი „ვინტოვკა" მტერს ილაჯს უცვეთს!..

ახი სხვა თოფიც მას სდევს მიზანში!
ისეა მასხედ მტრის გარიგება...
კვალას კი თითქოს „ნუსხა" აქვს ტანში:
მტრის ნასროლ ტყვიებს არ ერიდება!

და როცა მტერი გადმოსცდა მცხეთას,
ნატახტარისკენ ჰქნა უნდა პირი,
კვალაც აქ მომხვდურთ გმირულად შეხვდა,
მაგრამ დაჰკარგა სიცოცხლე ძვირი!

თუმც აუზღველი არ დარჩენილა:
ძმამ ამოიგო, იმისი ვალი,
და სადაც ველი გადაფენილა,
სადაც ამ დროთა შთენილა კვალი,

არის იქ ერთგან სამძო საფლავი,
კვალაც რომ მშვიდათ ძევს, სხვებთან ერთად

ცოცხალს ერჩოდა გული და მკლავი
და მტერს ამიტომ მთასავით შეხვდა!

მთა მთად გადარჩა! დაეცა კვალა,
რომ მიაბარეს სამძო სამარეს...
მისი დროშა კი დღეს იწევს მაღლა,
რომ უსწორდება მზესა და მთვარეს!

მაღლით დაჰყურებს ის გმირის აჩრდილს,
თუმცა პირადათ რა მიუცია?
მხოლოდ მის სახელს, მთასავით აწვდილს,
არ დაივიწყებს რევოლიუცია!..

ნ. ზომლეთელი.

როგორ დამყარდა საბჭოთა ხელისუფლება

მზადება ძალა-უფლების დასაპყრობად

ივლისის ამბების შემდეგ, როცა პიტერში და სხვა ქალაქებში დაარბიეს ბოლშევიკური ორგანიზაციები, როცა დახურეს ბოლშევიკური გაზეთები და მათ რიცხვში „პრავდა"-ც, როცა დააპატიმრეს კამენევი და ტროცკი, ვლადიმირ ილიჩი და ზინოვიევი კი იძულებული შეიქნენ დამალულიყვნენ,—სწორეთ ამ დროს ლენინმა და ბოლშევიკურმა პარტიამ დასვა საკითხი ძალაუფლების დაპყრობისათვის მზადების შესახებ.

„1917 წ. მარტში და აპრილში გამოურკვეველი იყო, თუ ვის ხელშია ძალაუფლება: მთავრობისა და საბჭოს ხელში. ახლა კი ვის ხელშია ძალაუფლება? ახლა ეს არიან იუნკრები, რეაქციონური კაზაკები, რომლებიც სპეციალურად გამოიწვიეს პიტერში; ეს არიან ისინი, ვისაც ციხეში ჰყავს გამომწყვდეული კამენევი და სხვ., ვინც დახურა „პრავდა", ვინც განაიარაღა მუშები და ჯარისკაცების განსაზღვრული (ე. ი. რევოლიუციონური,— ვ. ლ.) ნაწილი. აი ეს ჯალათები წარმოადგენენ რეალურ მთავრობას. წერეთლები და ჩერნოვები კი არიან მინისტრები უპორტფელოდ, მინისტრ-ტიკინები, ბელადები პარტიების, რომლებიც მხარს უჭერენ ჯალათებს",—აი ასე ახასიათებდა ვლადიმერ ილიჩი 1917 წ. ივლისის ამბების დედა აზრს.

ძალაუფლება, რომელიც ფაქტიურად კონტრრევოლიუციონერების ხელშია, დამხობილი უნდა იქნას. საჭიროა მზადება გადამწყვეტი ბრძოლისათვის ამ ხელისუფლებასთან. ასე დაისვა საკითხი ივლისის ამბების შემდეგ და ჩვენი პარტია შეუდგა ენერგიულ მზადებას შეიარაღებული აჯანყებისა და ძალაუფლების დაპყრობისათვის.

აგვისტოში შესდგა ჩვენი პარტიის მეექვსე ყრილობა, რომელზედაც ამ საკითხს ცენტრალური ადგილი ეჭირა. ჩვენი პარტიისათვის ეს უმძიმესი პერიოდი იყო. ყრილობა ნახევრად ლეგალურად ხდებოდა, რადგან პარტიის დევნა კიდევ გრძელდებოდა. ვლადიმერ ილიჩს საშუალება არ ჰქონდა დასწრებოდა ყრილობას. მიუხედავად პარტიის დარბევისა და ნახევრადლეგალური არსებობისა, ყრილობაზე მოგროვდა 157 დელეგატი, წარმომადგენლები 112 ორგანიზაციის, რომლებიც 177 ათას წევრს აერთიანებდნენ.

ადგილებიდან გაკეთებული მოხსენებები მოწმობდენ რევოლიუციონური განწყობილების ზრდას ადგილებზე და ცხადჰყოფდენ, რომ რეპრესიებმა ვერ დააქვეითა პარტია და მშრომელთა სიმპატიები მისდამი იზრდება.

„ამჟამად,—ვკითხულობთ ჩვენ რეზოლიუციაში პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ, —მშვიდობიანი განვითარება და ძალაუფლების უმტკივნეულოდ გადასვლა საბჭოების ხელში შეუძლებელი შეიქნა, ვინაიდან სინამდვილეში ძალაუფლება უკვე გადავიდა კონტრრევოლიუციონური ბურჟუაზიის ხელში. პროლეტარიატმა მთელი თავისი ყურადღება უნდა მიაპყროს ძალების ორგანიზაციას და მომზადებას იმ მომენტისათვის, როცა საერთო ნაციონალური კრიზისი და მასების ღრმა რევოლიუციონური განწყობილება ხელსაყრელ პირობებს შექმნიან ქალაქისა და სოფლის ღარიბთა გადასასვლელად მუშების მხარეზე ბურჟუაზიის წინააღმდეგ. ამ რევოლიუციონური კლასების ამოცანა მაშინ იქნება მთელი ძალების დაჭიმვა სახელმწიფო ძალაუფლების ასაღებათ თავის ხელში და მოწინავე ქვეყნების პროლეტარიატთან თანამშრომლობით მის გამოსაყენებლად მშვიდობიანობისა და საზოგადოების სოციალისტური გარდაქმნისათვის".

ასე განსაზღვრა ყრილობამ პარტიის მუშაობის ძირითადი ამოცანა. ყრილობის შემდეგ ჩვენმა პარტიამ ფართე მუშაობა განავითარა.

ეს მუშაობა ორი მიმართულებით სწარმოებდა,—პირველყოვლისა—სწარმოებდა მუშაობა ჩვენი პარტიული ძალების ორგანიზაციულად განსამტკიცებლად ქვეყნის შიგნით, განსაკუთრებით დიდ სამრეწველო ცენტრებში და ფრონტზე, მეორე—ფართედ იქნა განვითარებული აგიტაცია. ჩვენი პარტია იმ ხანებში სავსებით გარკვევით მიუთითებდა ნამდვილ მტერზე—სამხედრო ზედაფენებზე, კადეტებზე და შავრაზმელებზე, რომლებმაც ფაქტიურად ხელში ჩაიგდეს ძალაუფლება, და უფრო მტკიცედ, ვიდრე წინად ამხილებდა სრულ უსაფუძვლობას იმედებისას, თითქო კონტრ-რევოლიუციის დაუმხობლად შესაძლებელია მიწის მიღება, ზავის ჩამოგდება, ეკონომიური ნგრევის შეჩერება. ეს აგიტაცია ამჟღავნებდა ესერ-მენშევიკების კონტრ-რევოლიუციონურ საქმიანობას და მას ჩვენს მხარეზე გადაჰყავდა გლეხების, ჯარისკაცთა და მუშების დიდი მასები.

მოვლენათა განვითარება სახელმწიფოს შიგნით სავსებით ადასტურებდა ჩვენი აგიტაციის სისწორეს. მოსკოვის თათბირი, როგორც ნათელი მაგალითი ესერ-მენშევიკების ცდისა ხალხის ზურგს უკან მორიგებოდენ კონტრრევოლიუციას, კორნილოვის აჯანყება, როგორც შემდგომი ნაბიჯი კადეტების ბატონობის განმტკიცებისა და ჩამოყალიბებისათვის „დემოკრატიული" თათბირი პიტერში, მისი პრედპარლამენტით, რომლითაც შემთანხმებლები აპირობდნენ საბჭოების შეცვლას და დამფუძნებელი კრება,—ყველაფერი ეს ფართედ გამოიყენა ჩვენმა პარტიამ აჯანყების მოსამზადებლად.

შედეგებმა არ დააგვიანა. მოსკოვის პროლეტარიატი ჩვენი პარტიის მოწოდებით გაიფიცა მოსკოვის თათბირის გახსნის დღეს. ჩვენს მოწოდებას კორნილოვთან ბრძოლის შესახებ გამოეხმაურენ ათეული ათასი მუშები და მთავრობა იძულებული შეიქნა ძალაუნებურად შეეიარაღებინა ისინი. 1917 წ. 13 სექტემბერს კი პიტერის საბჭო, სადაც ბოლშევიკებმა უკვე შექმნეს უმრავლესობა იღებს ბოლშევიკურ რეზოლიუციას: „**ამიერიდან ბოლო უნდა მოეღოს ყოველგვარ მერყეობას ხელისუფლების ორგანიზაციის საკითხში.. ერთად-ერთი გამოსავალი—ეს არის რევოლიუციონური პროლეტარიატის და გლეხობის მტკიცე ხელისუფლების შექმნა.. კავშირის გაწყვეტა ბურჟუაზიასთან შეთანხმებისა და შერიგების პოლიტიკასთან და ხალხის ფართე მასების ენერგიული ბრძოლა ძალაუფლებისათვის**". მოსკოვის საბჭო 19 სექტემბერს უერთდება ამ რეზოლიუციას, ასევე ხდება პროვინციის საბჭოებშიც, სადაც უკვე არის ნიშნები იმის, რომ მასები სცდილობენ ცხოვრებაში გაატარონ ლოზუნგი „მთელი ძალაუფლება საბჭოებს": 29 სექტემბერს ტაშკენტის საბჭო თავის ხელში იღებს ძალაუფლებას.

ვლადიმერ ილიჩი, რომელიც არალეგალურ მდგომარეობაში მყოფი ხელმძღვანელობდა ჩვენი პარტიის მთელ მოქმედებას, არაჩვეულებრივ ენერგიას ავითარებს, ძალაუფლების დაპყრობის საკითხს ის უკვე აყენებს, როგორც უახლოესი დროის ამოცანას. ის აჩქარებს, ის კიცხავს იმათ, ვინც იჭვიანობს და მერყეობს ჩვენს რიგებში. სექტემბრის დამლევს ის სწერს ცკ-ას თავის ცნობილ წერილს: „უმრავლესობის მოპოვების შემდეგ ორივე სატახტო ქალაქების საბჭოებში, ბოლშევიკებს შეუძლიათ და უნდა აიღონ თავის ხელში სახელმწიფო ძალაუფლება.,. დღის წესრიგში უნდა დაისვას შეიარაღებული აჯანყება პიტერშიც და მოსკოვშიც, ძალაუფლების დაპყრობა, მთავრობის დამხობა.,. მოსკოვში და პიტერში ძალაუფლების დაპყრობის შემდეგ.. ჩვენ გავიმარჯვებთ უსათუოდ და ეჭვს გარეშე"

ძალაუფლების დაპყრობისათვის მზადების პერიოდი დასრულდა. ჩვენი პარტია, რომელსაც საბჭოებში გაერთიანებულ მუშების უმრავლესობა ჰყავდა პიტერში, მოსკოვში და ქვეყნის სხვა მრავალ სამრეწველო ცენტრებში, რომლის მხარეზე იყო გლეხთა და ჯარისკაცთა სიმპატიები,—პრაქტიკულად მიუდგა ძალაუფლების დაპყრობის ამოცანას, მიუახლოვდა დიად ოქტომბრის მომენტს. ჩვენი პარტია მიდიოდა გამარჯვებისაკენ, რომელიც ზედმიწევნით იყო მომზადებული და ერთ თვეში ვლადიმერ ილიჩის სიტყვები—„ჩვენ გავიმარჯვებთ უსათუოდ და ეჭვს გარეშე"—მთლიანად გამართლდა.

ისტორიული დოკუმენტი

პეტროგრადის სამხედრო-რევოლიუციონურ საბჭოს პროკლამაცია დროებითი მთავრობის დამხობის შესახებ, დაწერილი **ვ. ი. ლენინის** ხელით.



Къ Гражданамъ Россіи.



КЪ ГРАЖДАНАМЪ РОССIИ!

Временное Правительство низложено. Государственная власть перешла въ руки органа Петроградскаго Совѣта Рабочихъ и Солдатскихъ Депутатовъ, Военно-Революцiоннаго Комитета, стоящаго во главѣ Петроградскаго пролетарiата и гарнизона.

Дѣло, за которое боролся народъ: немедленное предложенiе демократическаго мира, отмѣна помѣщичьей собственности на землю, рабочiй контроль надъ производствомъ, созданiе Совѣтскаго Правительства – это дѣло обезпечено.

ДА ЗДРАВСТВУЕТЪ РЕВОЛЮЦIЯ РАБОЧИХЪ, СОЛДАТЪ И КРЕСТЬЯНЪ!

Военно-Революцiонный Комитетъ при Петроградскомъ Совѣтѣ Рабочихъ и Солдатскихъ Депутатовъ.

რუსეთის მოქალაქეებს!

დროებითი მთავრობა დამხობილია, სახელმწიფო ძალა-უფლება გადავიდა პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა ორგანოს—სამხედრო რევოლიუციონური კომიტეტის ხელში, რომელიც სათავეში უდგას პეტროგრადის პროლეტარიატსა და გარნიზონს.

საქმე, რომლისთვისაც იბრძოდა ხალხი: დაუყოვნებლივ წინადადების მიცემა დემოკრატიული ზავის ჩამოგდების შესახებ, მემამულეთა საკუთრების გაუქმება მიწაზე, მუშათა კონტროლი წარმოებაზე, შედგენა საბჭოთა მთავრობისა,—ეს საქმე უზრუნველყოფილია.

გაუმარჯოს, მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხების რევოლიუციას.

პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს სამხედრო რევოლიუციონური კომიტეტი, 1927 წ. 25 ოქტ.

დილის 10 საათი.

ძალა-უფლება აღებულია

საბჭოთა მეორე ყრილობის გახსნის მომენტისათვის, რომელმაც თავისი გადაწყვეტილებით ჩამოაყალიბა ძალა-უფლების აღება, ფაქტიური ძალაუფლება უკვე იყო პიტერის აჯანყებულ მუშების და ჯარისკაცების ხელში. ამ დროისათვის დროებითი რევოლიუციონურმა კომიტეტმა დაიპყრო და მტკიცედ დაიკავა სატახტო ქალაქის მთელი რიგი მნიშვნელოვანი პუნქტები: ფოსტა, ტელეგრაფი, ბანკი, სამინისტროები, სატელეფონო სადგური, სადგურები, უკვე აღებული და დაკავებული ჰქონდა აჯანყებულ ხალხს.

და მხოლოდ ზამთრის სასახლის გარშემო გრძელდებოდა კიდევ ბრძოლა. სასახლეში თავი მოიყარა დროებითი მთავრობის ნარჩენებმა, რომელსაც იცავდნენ იუნკრები, მერყეობაში მყოფი კაზაკების მცირე ჯგუფი და ქალთა რაზმი. რევოლიუც. ჯარს ჯერ კიდევ ალყა ჰქონდა შემორტყმული ბურჟუაზიული ძალაუფლების ამ უკანასკნელი „ციხე-ბურჯისათვის", როცა ღამით 25-დან 26 ოქტომბერს ზამთრის სასახლისათვის დაშენილ ყუმბარების გუგუნში გაიხსნა საბჭოთა მეორე ყრილობა.

ვლადიმერ ილიჩი არ შემცდარა, როცა პიტერისა და მოსკოვის საბჭოების ხელ-ახალი არჩევნების შედეგების მიხედვით ამბობდა, რომ მუშებისა და ჯარისკაცების უმრავლესობა უკვე გადასულია ბოლშევიკების მხარეზე. სრულიად რუსეთის საბჭოთა მეორე ყრილობის შემადგენლობამ სავსებით გამოხატა მუშათა და ჯარისკაცთა ეს გადასვლა რევოლიუციონურ პოზიციებზე, ყრილობის 670 დელეგატიდან ბოლშევიკი იყო 390, მემარცხენე ესერი—179. შემთანხმებლებს ყრილობაზე ასი ხმაც არ ჰქონდათ.

მეორე ყრილობას მხოლოდ ორი სხდომა ჰქონდა; პირველი—ღამით 25-დან 26 ოქტომბერს და მეორე—ღამით 26-დან 27 ოქტომბერს, პირველი სხდომა მთლიანად მოუნდა ბრძოლას შემთანხმებლების საბოტაჟთან. ერთი მეორეზე დგებოდნენ შემთანხმებლური პარტიების წარმომადგენლები და დაუსრულებელ სიტყვებში გამოთქვამდნენ თავის უარყოფითი დამოკიდებულებას გადატრიალებისადმი და სტოვებდნენ ყრილობას. მეორე სხდომა შეიქნა იმ ისტორიულ სხდომათ, რომლის მომენტიდან დაიწყო არსებობა, განვითარება და განმტკიცება საბჭოთა ხელისუფლებამ. ამ სხდომაზე გადაწყდა რევოლიუციის უმნიშვნელოვანესი საკითხები: ზავისა და მიწის შესახებ და არჩეულ იქნა პირველი სახალხო კომისართა საბჭო და ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი.

ვლადიმერ ილიჩი, ოქტომბრის გადატრიალების სულის ჩამდგმელი და ბელადი, გადამწყვეტ როლს თამაშობდა საბჭოთა მეორე ყრილობაზე. ის გამოვიდა, როგორც ავტორი ორივე ისტორიული დეკრეტებისა ზავისა და მიწის შესახებ.

„**მუშათა და გლეხთა მთავრობა, რომელიც შექმნა 24-25 ოქტომბრის რევოლიუციამ და რომელიც ეყრდნობა მუშათა, გლეხთა და ჯარისკაცთა საბჭოებს, წინადადებას აძლევს ყველა მეომარ ხალხებს და მათ მთავრობებს დაუყოვნებლივ იქნას დაწყებული მოლაპარაკება სამართლიანი დემოკრატიული ზავის შესახებ**",—ასე იწყებოდა დეკრეტი ზავის შესახებ.. და საბჭოთა ყრილობის ამ მტკიცე სიტყვებმა, რომლებმაც გაჰკვეთეს ომის სისხლიანი კვანძი, მართლაც პირველი სასიკვდილო ლახვარი ჩასცეს მას და გამოჰგლიჯეს მის სისხლიან კლანჭებიდან ჯარისკაცთა პირველი მილიონები. იმ მიზნით, რომ არავის იოტის ოდენა ეჭვიც არ შეჰპაროდა ზავის მოწვევის მტკიცე სურვილში, საბჭოთა ყრილობამ იმავე დეკრეტში გაუქმებულად გამოაცხადა ფარულ ხელშეკრულებათა მოქმედება და ამ ხელშეკრულებებიდან გამომდინარე ვალდებულებები, რომლებიც იკისრა რუსეთის ძველმა მთავრობამ. საბჭოთა ყრილობის დადგენილებით ეს ფარული ხელშეკრულებები დაუყოვნებლივ უნდა გამოქვეყნებულიყო, რათა ყველა გასცნობოდა მას.

იმავე ისტორიულ სხდომაზე იქნა გადაწყვეტილი რევოლიუციის მეორე უმნიშვნელოვანესი საკითხი—მიწის საკითხი. „**მემამულეთა საკუთრება მიწაზე უქმდება ყოველგვარი კომპენსაციის გარეშე... მემამულეთა მიწები, ისე როგორც საუფლისწულო, სამონასტრო და საეკლესიო მიწები, მთელი თავისი ცოცხალი და მკვდარი ინვენტარით, შენობებითა და მთელი მოწყობილობით გადადის სავოლოსტო სამიწადმოქმედო კომიტეტებისა და გლეხთა დეპუტატების სამაზრო საბჭოების განკარგულებაში**".

მესამე დეკრეტი, მიღებული საბჭოთა მეორე ყრილობის მიერ, რომელმაც ორგანიზაციულად ჩამოაყალიბა და განამტკიცა ოქტომბრის გამარჯვება, იყო დეკრეტი სახალხო კომისართა საბჭოს შექმნის შესახებ. პირველი სახალხო კომისრები იყვნენ: სახკომსაბჭოს თავმჯდომარე **ვლადიმერ ილიჩ ულიანოვ-ლენინი** და სახალხო კომისრები—**რიკოვი, მილიუტინი, შლიაპნიკოვი, ნოგინი, ლუნაჩარსკი; სკვორცოვ-სტეპანოვი, ლომოვი, ტეოდოროვიჩი, ავილოვი, სტალინი**; სამხედრო და საზღვაო საქმეთათვის არჩეულ იქნა კომიტეტი **კრილენკოს, ოვსეენკოს და დიბენკოს** შემადგენლობით.

მიიღო რა ეს დეკრეტები, რომლებიც საფუძვლად დაედო საბჭოთა ხელისუფლებას, მშრომელთა ხელისუფლების ორგანიზაციას, მეორე ყრილობა დაიხურა და მისი დელეგატები გაემგზავრნენ ადგილებზე, რომ იქაც შეექმნათ და განემტკიცებინათ ახალი ხელისუფლება.

ახალი მთავრობის მდგომარეობა მეტად მძიმე იყო. ძველი მოხელეთა მრავალმილიონიანი არმია გაბოროტებული და გააფთრებული შეხვდა მუშურ მთავრობას. ცენტრალურ დაწესებულებების ყველა მოხელეებმა საბოტაჟს მიმართეს ახალი მთავრობის მიმართ, კერენსკი კაზაკების კორპუსით, რომელსაც გენერალი კრასნოვი მეთაურობდა, მოდიოდა პეტროგრადზე და უკვე გატჩინაში იყო, მთავარ შტაბში თავმოყრილი გენერლების ხროვა მთავარსარდალ გენერალ დუხონინის მეთაურობით უარს ამბობდა სახალხო კომისართა საბჭოსათვის დამორჩილებაზე და იწყებდა საზავო მოლაპარაკებას. პირველი მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი უარს ამბობდა საბჭოთა მეორე ყრილობის კანონიერებისა და უკანასკნელის მიერ არჩეულ ცაკისა და სახკომსაბჭოს ცნობაზე და არ აძლევდა საქმეებს ახალ ცენტრალურ კომიტეტს. ესერ-მენშევიკები, რომლებიც მეორე ყრილობიდან წავიდნენ მოუწოდებდნენ მუშებსა და გლეხებს ახალი მთავრობის წინააღმდეგ აჯანყებისაკენ. ბურჟუაზია ყოველ საშუალებით ავიწროებდა ახალ ხელისუფლებით უკმაყოფილების ყოველგვარ გამოხატულებას. მასი პრესა კი სავსე იყო შინაური ჭორებით ბოლშევიკების შესახებ.

მაგრამ მიუხედავად მდგომარეობის მთელი სიმძიმისა და ყველა დაბრკოლებებისა, საბჭოთა ხელისუფლება ჩვენი პარტიის ხელმძღვანელობით დღემდე არსებობს, იგი განმტკიცდა და გამოვიდა სოციალისტური მშენებლობის ფართო გზაზე.

1917 წელს დაპყრობილი ძალაუფლება მტკიცე და ჯანსაღი აღმოჩნდა. მილიონი მუშები და გლეხები, მის მიერ ჩაბმულნი ახალი ცხოვრების მშენებლობაში, მკერდით დადგენ მის დასაცავად და შეინარჩუნეს იგი.

გ. ლ.

ეროვნული

საბჭოთა საქართველო ოქტომბრის თერთმეტი წლის თავზე

სახელმწიფო მრეწველობა

საქართველოს ეკონომიკის არც ერთი დარგი არ იზრდება და არ მატულობს ისეთი თვალსაჩინო წარმატებით, როგორც სახელმწიფო მრეწველობა.

ეს ზრდა სწარმოებს არა შემთხვევითი ნახტომებით, არამედ მიმდინარეობს გეგმიანი თანდათანობით და წინდახედული და გაბედული ნაბიჯებით.

მისი საფუძველი არის მტკიცე და საიმედო, რადგანაც დამყარებულია მუშათა და გლეხთა შემოქმედებით ძალებზე, ქვეყნის ბუნებრივ სიმდიდრეზე და ნედლი მასალის მარაგზე, რომელიც უხვად მოიპოვება საქართველოს სხვადასხვა კუთხეში.

საქართველოს ტყე, შავი ქვა, თეთრი და შავი ნახშირი, თიხა, სხვა მინერალი და ლითონი, თამბაქო, ჩაი და მაღალი კულტურის მცენარენი, აბრეშუმის პარკი, მატყლი, ტყავეულობა და სხ. აი ის უმთავრესი საძირკველი, რომელზედაც არის, დაფუძნებული ჩვენი სახელმწიფო მრეწველობა.

მისი განვითარების საერთო გეზი მიისწრაფვის სოციალისტური სექტორის მიმართულებით.

კერძო მრეწველობას, რომელიც წინეთ გაბატონებული იყო ,ამჟამად უკავია სულ უმნიშვნელო ადგილი.

ცენზიან მრეწველობის საერთო პროდუქცია უდრიდა ჩერვონეცის ათას მანეთებში:

	26—27 წელში		27—28 წ.		ზრდა %-ში
	აბსოლ.	ხვედ. წონ. %	აბსოლ.	ხვედ. წონ. %	
სახელმწიფო მრეწ.	45702,2	84.3	54793,1	86.0	119,9
კოოპერატიული.	3891,1	7.2	6072.1	9.5	156
საკონცესიო (შავი ქვა)	3649,7	6.7	1935.0	3.0	53
კერძო	982,3	1.8	928.8	1.5	94.5
სულ	54225,3	100	63.729.0	100	117,5

აქ აღნიშნულ საერთო სახ. მრეწველობაში შედის სახ. მეურნეობის უმ. საბჭოს ტრესტების ნაწარმი.

საერთო პროდუქცია	26—27 წ.	27—28 წ.	27—28 წელში 26—27 წელთან შედარ.
ჩერვონეცის ათას მან.	20.758,0	25,938,8	
საერთო პროდუქცია ომის წინა დროინდელ შეფ. 10 მან.	10.604,0	13,153,1	124,1

ეს ციფრები ნათლად მოწმობენ ჩვენი მრეწველობის ზრდას და სოციალისტური სექტორის გაძლიერებას ცენზიან მრეწველობაში.

საგრძნობლად იზრდება მრეწველობის კაპიტალური ხარჯებიც.

მხოლოდ ს.მ.უ.ს. გამგებლობაში მყოფ სამრეწველო დარგების აღმშენებლობაზე დაიხარჯა ჩერვონ. ათას მან: 1924—25 წელს—1.293,6,—1925—26 წ.—4.019,3, 1926—27 წ.—5.313,2 და 1927—28 წ.—6.405,6. მიმდინარე 28—29 წელში მიღებულია კაპიტალურ ხარჯებზე საკონტროლო ციფრების მინიმუმ გეგმით 9,764. უკანასკნელ 6 წლის განმავლობაში ს.მ.უ.ს. გამგებლობაში მყოფ სამრეწველო დარგების მშენებლობაზე დახარჯულია 27 მილიონ მანეთამდე, რაც არ დახარჯულა საქართველოს მრეწველობაზე მეფის მთავრობის ასი წლის ბატონობის დროს.

ყოველივე ამის მიხედვით იზრდება სმუს ქარხნებში მუშათა რიცხვი.

ს. მ. უ. ს. მრეწველობაში იყო

	27—28 წ.	26—27 წ.	27—28 წ. % 26—27 წელთან შედ.
მუშათა საშუალო დღიური რიცხვი	7115	5990	118
მუშათა მიერ ნამუშევარი კაც დღეები	1789158	1419547	126
ერთ მუშაზე მოდის არასაპატიო მიზეზით გაცდენილი კაცდღე	0.61	0,77	79.2
საშუალო დღიური ხელფასი	2.52 2.40	2,33 2,26	108.2 106.2
საწარმოო გეგმის შესრულება	95.8	83.6	—
ნაწარმის გასაღება ათას ჩერვ. მან.	26251,5	21,002, 2	125

შრომის დისციპლინა მნიშვნელოვნად უმჯობესდება. არა საპატიო მიზეზებით გაცდენა იძლევა შემცირებას 20,8 პროც. მატულობს საწარმოო გეგმის შესრულებაც და აგრეთვე შესაფერისად იზრდება თვით მუშათა რიცხვიც.—18 პროცენტით.

რომ ნათლად წარმოვიდგინოთ, რამდენად ნაყოფიერი მუშაობა სწარმოებდა, მოვიყვანთ აღმშენებლობის მოკლე აღრიცხვას.

უკანასკნელ წლებში სმუსის მიერ არის დამთავრებული და ამჟამად შენდება სულ 26 ფაბრიკა-ქარხანა. აბრეშუმის ქარხნები ოზურგეთში, სამტრედიაში, ხონში, ქუთაისში, თელავში და თბილისში.

მაუდის ქარხნები: ქუთაისში და თბილისში; ხე-ტყის სახერხი ქარხნები, ტკერის და გრეხილის—ბორჯომში, მარელისში, შამგონში, მცხეთაში, აფხაზეთში (ბზიბზე) და სხ.; ბარიტის წისქვილი ქუთაისში, ცემენტის ქარხანა კასპში. ხილის საშრობი და საკონსერვო ქარხნები გორში, შინდისში, ტყვიავში, მეჯვრისხევში და ახალციხეში; ყველისა და კარაქის ქარხნები ახალქალაქის მაზრაში (შეუანოში) და სიონში (ყოფ. დუშეთის, ეხლა თბილისის მაზრაში); თხილის სარჩევი ქარხნები: ოზურგეთში და ზუგდიდში; კირის ქარხანა მთაწმინდაში; აგურის და კრამიტის ქარხნები ახალ სენაკში, ზესტაფონში და სხვ. გადაწყვეტილია შაქრის ქარხნის აშენება გორის მაზრაში, მისთვის გაწეულია დიდი მუშაობა და მომზადებულია ნიადაგი, რომ შეიქმნას ჩვენში ახალი ნედლეული ამ ქარხნისათვის—შაქრის ჭარხალი. მომზადებულია ნიადაგი და მიღებულია ხუთწლიანი გეგმით შუშის ქარხანა და აგრეთვე ქაღალდის ქარხანა ენგურზე სვანეთის ტყეების დასამუშავებლად. სწარმოებს დიდი და სისტემატიური გამოკვლევა საქართველოს მინერალურ სიმდიდრეთა აღმოსაჩენად. უკვე გვაქვს უტყუარი საბუთი, რომ საქართველოს ექნება თავისი ნავთი შირაქში (კახეთში), სადაც უკვე არის ნავთის შადრევანის ნიშნები. აგრეთვე სწარმოებს მუშაობა ქაბურღილებით ნავთის ამოსაჩენად გურიაში, დაიწყო დიდი მუშაობა ქვანახშირის საწარმოებლად ტყვარჩელში (აფხაზეთში), აგებულია და შენდება უდიდესი ელექტრო-სადგურები ზემო ავჭალაში, აბაშაში, აჭარაში, ქუთაისში და სხ.

ამ მცირე მიმოხილვიდანაც ნათლად სჩანს, რომ არ არის დავიწყებული საქართველოს არც ერთი კუთხე და ყურადღება მიქცეული აქვს ყოველივე დარგს, რომლის გამოყენებაც შესაძლებელია მრეწველობის განვითარებისა და წარმატებისათვის.

ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებულია სმუს წარმოებებში ახალი 65 მილიონი მანეთის ხარჯების გაწევა 1928—29 წ.—1932—33 წლამდე.

ყოველივე ეს გვაძლევს საბუთს, რომ მომავალში ჩვენი ქვეყნის მრეწველობა განვითარდება კიდევ უფრო ჩქარის ნაბიჯით, და განმტკიცდება საქართველოს ეკონომიური მდგომარეობა და ძლიერება.

ვ. ზ.

სასოფლო მეურნეობა

რა იყო წინედ

საქართველოს სახალხო მეურნეობაში თავისი ხვედრითი წონით ჯერ-ჯერობით პირველი ადგილი უჭირავს სასოფლო მეურნეობას, რომლის განვითარებაზეა დამოკიდებული არა მარტო სოფლის მოსახლეობის ნივთიერი და კულტურული კეთილდღეობა, არამედ ჩვენი ქვეყნის მრეწველობის განვითარებაც, ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციაც. მიუხედავათ სოფლის მეურნეობის ასეთი დიდი მნიშვნელობისა, საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე იგი სრულიად მივიწყებული იყო და არავითარი ღონისძიებები მის გასაუმჯობესებლად არ ყოფილა მიღებული.

იმპერიალისტური ომის დროს სოფლის მუშა ხელისაგან დაცლის გამო სასოფლო მეურნეობა საშინლად დაეცა: შემცირდა ისეთი ძვირფასი მცენარეების ფართობი, როგორიც არის ვენახი, ხეხილის ბაღები, თამბაქოს და ბამბის ნათესები. მენშევიკების დროს სახ. მეურნეობის ამ დარგების მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდა. ხორბლეულობის სიმცირის გამო ბევრგან გლეხობამ ხელი მიჰყო ძვირფასი მუდმივი ნარგავების-ვენახების, ხეხილების გაჩეხვას და ამათ ნაცვლათ სიმინდისა და ხორბლის დათესვას.

ჩვენი მიღწევები

ასეთ უნუგეშო მდგომარეობაში დახვდა საბჭოთა ხელისუფლებას სასოფლო მეურნეობა. საბჭოთა მთავრობა იმ თავიდანვე შეუდგა სოფლის მეურნეობის აღორძინებას და მიიღო საჭირო ზომები მის აღსადგენათ. დღეს, ოქტომბრის რევოლუციის მე-11 წლის თავზე, ჩვენ უკვე გვაქვს სოფლის მეურნეობაში მნიშვნელოვანი მიღწევები. თუ გადავხედავთ სოფლის მეურნეობის მთავარ დარგების დღევანდელ მდგომარეობას, და შევადარებთ ომამდე და მენშევიკებს დროს არსებულ მდგომარეობას, დავრწმუნდებით, რომ სოფლის მეურნეობა დღეს სავსებით აღდგენილია და მისი განვითარება უკვე წინ უსწრებს ომამდე არსებულ დონეს.

მაგ. თუ პურეული მცენარეების ფართობი 1913 წელს იყო 698.200 ჰექტარი, 1921 წელს—523.600 ჰექტ., ეხლა, 1928 წელს, იგი უდრის 750.700 ჰექტარს. როგორც ამ ციფრებიდან სჩანს, პურეულის ფართობი გაშორდა არა მარტო 1921 წლის, არამედ ომამდე არსებულ დონეს. ფართობის ზრდასთან იზრდება პურეულის მოსავალიც. თუ 1913 წელს იგი უდრიდა 40.145, 165ფ., ხოლო 1921 წელს 21.977.280 ფუთს,—1928 წელს უდრის 47.684.593 ფუთს.

არა ნაკლები წარმატება ეტყობა თამბაქოს კულტურას. 1913 წელს თამბაქოს ფართობი უდრიდა 10.000 ჰექტარს, მენშევიკების დროს 2.500, დღეს კი იგი უდრის 15.000. ე. ი. ომის წინანდელ დროინდელ დონეს უკვე 5.000 ჰექტარით აღემატება.

დაახლოვებით იგივე ითქმის ბამბის კულტურაზე. 1913 წელს ბამბის ნათესებს ეჭირა 6.100 ჰექტარი, 1921 წელს—500 ჰექტარი, ხოლო ეხლა 5.100, ე. ი. 1921 წელთან შედარებით ბამბის ნათესების სივრცე ათჯერ არის გადიდებული და უახლოვდება ომის წინანდელ არეს.

ზემოხსენებულ კულტურებთან შედარებით უფრო მეტი წარმატება ეტყობა მებაღეობის განვითარებას. თუ 1913 წელს ხეხილის ბაღების სივრცე 6.800 ჰექტარს არ აღემატებოდა, ამჟამად იგი უკვე 11.600 ჰექტარს აღწევს.

განსაკუთრებით მწვავედ სდგას ჩვენში მევენახეობის განვითარების საკითხი. ვენახების სივრცე ამჟამად ნაკლებია, ვიდრე იყო ომამდე და 1917 წელს. ამის მიზეზი ფილოქსერის სწრაფი გავრცელებაა. მევენახეობის საუკეთესო რაიონში—კახეთში მძვინვარებს ფილოქსერა, რომელიც ყოველ წლიურად ანადგურებს რამოდენიმე ათას დესეტინა ვენახს. საბჭოთა მთავრობას დასჭირდა განსაკუთრებული ღონისძიებების მიღება ამ საშინელი სენის შესაჩერებლათ. ამ შვიდი წლის განმავლობაში სამეურნეო ორგანოების დახმარებით გაშენებულია ამერიკული ვაზის სანერგე 328 ჰექტარზე და მოწყობილია 24 სათბური. ნამყენი ვაზის დამზადება დაკისრებული აქვს მრავალ სახელმწიფო და კოოპერატიულ ორგანიზაციას. ამ ორგანიზაციების მიერ მიწოდებულ ამერიკულ ლერწზე ჩვენი გლეხობა აშენებს ახალ ვენახს, რის გამოც ამ უკანასკნელ წლებში ვენახების ფართობის შემცირება შეჩერებულია.

სხვა კულტურულ მცენარეებს შორის განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ჩაის მცენარეს. მთელს საბჭოთა კავშირში საქართველო ერთადერთი მხარეა, რომელიც ჰავა და ნიადაგი იძლევა ჩაის მცენარის განვითარების საშუალებას. შავი ზღვის სანაპიროებზე მდებარე რამოდენიმე ათასი ჰექტარი წითელი მიწა-ეწერი გადაწყვეტილია გამოყენებულ იქნეს ამ ძვირფასი კულტურის გასაშენებლათ. ამ მიზნით დაარსდა სააქციო საზოგადოება „საქართველოს ჩაი“ და ამავე დროს გადაწყდა ამ საქმეს ყოველწლიურად მოხმარდეს ერთ მილიონ მანეთზე მეტი. ამ საქმეზე დღემდე უკვე დახარჯულია რამოდენიმე მილიონი და მნიშვნელოვანი ნაყოფიც უკვე ხელთა გვაქვს. თუ ომამდე ჩაის პლანტაციების სივრცე 1000 ჰექტარს არ აღემატებოდა, 1928 წელს იგი უკვე 4.100 ჰექტარს უდრის.

სოფლის მეურნეობის მეორე მნიშვნელოვანი დარგი—მესაქონლეობა—საბჭოთა ხელისუფლების დაარსებამდე მემინდვრეობაზე არა ნაკლებ უნუგეშო მდგომარეობაში იყო. აქაც დიდ წარმატებას აქვს ადგილი. მაგ., თუ 1917 წელს ცხენების რაოდენობა 88.300 სულს არ აღემატებოდა, 1928 წელს მათი რიცხვი უკვე 98.500 უდრიდა. მსხვილ ფეხა საქონლის რიცხვი 1917 წელს უდრიდა 1.186.500, ხოლო 1928 წ. 1.520.900 ასეთივე ზრდას აქვს ადგილი წვრილფეხ მესაქონლეობის დარგში. 1928 წელს მსხვილფეხა რქიანი საქონლის, ცხვრის, თხის და ღორების რაოდენობამ გადააჭარბა არა მარტო 1917 წლის, არამედ ომის წინადროინდელ დონეს.

ღონისძიებანი სას.-მეურნეობის განსავითარებლად

ამრიგად, დღეს, სოფლის მეურნეობა უკვე აღდგენილია და უმეტეს შემთხვევაში მისი განვითარება წინ უსწრებს ომის წინადროინდელ დონეს. ეს არის შედეგი იმ ღონისძიებების, რომლებიც საბჭოთა ხელისუფლებამ მიიღო სოფლის მეურნეობის დარგში. როგორი იყო ეს ღონისძიებები, რომლებმაც ჩვენი სოფლის განვითარება სწორ კალაპოტში ჩააყენა. ამ ღონისძიებებს შორის პირველი ადგილი უჭირავს მიწის საკითხს. საბჭოთა ხელისუფლებამ ეს საკითხი რადიკალურათ გადაჭრა: მან გამოაცხადა იგი მშრომელ მასის კუთვნილებათ და გადასცა მას სრული სარგებლობისათვის. რასაკვირველია, სოფლის მეურნეობის განსავითარებლათ ეს საკმაო არ იყო, აუცილებელი გახდა მიწათმოწყობის ჩატარება ახალ საფუძველზე. მიწათმოქმედების კომისარიატმა უკვე დაამთავრა სოფლებს შორის მიწათმოწყობა და ეხლა ის აწარმოებს მუშაობას კომლებს შორის მიწის მოწყობის ჩასატარებლათ.

მიწათმოწყობის პროცესში გამოაშკარავდა ერთი მნიშვნელოვანი გარემოება: სოფლის მეურნეთა სიჭარბე არსებულ ვარგისი მიწის ფართობთან შედარებით. მიწის სივიწროვიდან გამომდინარე შედეგების გადალახვა მთავრობას შესაძლებლათ მიაჩნია შრომის ტევადიან კულტურების განვითარებით და კოლექტიურ მეურნეობათა გავრცელებით.

ეს კი, სხვათა შორის გულისხმობს, ჩვენი გლეხობის კულტურული დონის, მასში აგრონომიული ცოდნის შეტანას და აგრონომიული დახმარების გაძლიერებას, რასაც მთავრობამ იმ თვითვე მიაქცია ყურადღება. თუ ომამდე ჩვენს სოფელს აგრონომიულ დახმარებაზე წარმოდგენა არ ჰქონდა, ამჟამად მთელ საქართველოში მუშაობს 66 რაიონის აგრონომი, 8 სხვადასხვა დარგის სპეციალისტი აგრონომი და 41 საშუალო კვალიფიკაციის აგრონომი. ამავე დროს საქართველოში მოწყობილია 66 აგრონომიული პუნქტი, 50 მანქანა-იარაღების გასაქირავებელი და 57 თესლის საწმენდი პუნქტი. აგრონომიულ დახმარებაზე მთავრობა ყოველ წლიურათ ხარჯავს დაახლოვებით 500.000 მანეთს.

სასოფლო მეურნეობის ინტენსიფიკაციისათვის საკმაო არ არის აგრონომიული დახმარება, საჭიროა აგრეთვე ახალი სისტემის მანქანა-იარაღების გავრცელება. ომის დროს მანქანა-იარაღების შემოზიდვა საქართველოში სრულიად შეწყდა და განახლდა მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ. ამჟამად მთავრობას შემოაქვს საზღვარგარეთიდან და აგრეთვე საბჭოთა კავშირიდან მანქანა-იარაღები, რომლებიც ეძლევა მოსახლეობას შეღავათიან ფასებში. დღეს საქართველოში მუშაობს 277 ტრაქტორი, 88-მდე სალეწი მანქანა, 900-მდე რკინის გუთანი. არა ნაკლები მნიშვნელოვანი ღონისძიებებია მიღებული მესაქონლეობის განსავითარებლად. შინაური საქონლის ჯიშის გასაუმჯობესებლათ მთავრობას ყოველ წლიურათ შემოყავს საზღვარგარეთიდან ჯიშიანი საქონელი, მოწყობილი აქვს მეცნიერების უკანასკნელი სიტყვის მიხედვით ზოოტექნიკური სადგური (თბილისში) და სათანადო ნიადაგზე აქვს დაყენებული სავეტერინარო საქმე. საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე, ჩვენში საქონლის მკურნალობას შემთხვევითი ხასიათი ჰქონდა და პირუტყვთა რიცხვი, რომელსაც სამკურნალო დახმარება ეძლეოდა, წლიურათ 5.000-ს არ აღემატებოდა. ამჟამად სამკურნალო დახმარებას ყოველ წლიურათ ღებულობს 60.000-ზე მეტი საქონელი. საერთოდ სავეტერინარო საქმეზე მთავრობა ყოველწლიურათ ხარჯავს 1.500.000-მანეთამდე.

სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის აუცილებელია საცდელ დაწესებულებების მუშაობა. ომამდე ჩვენშიც არსებობდა 9 საცდელი დაწესებულება, რომელიც მსოფლიო ომისა და რევოლუციის დროს საშინელ მდგომარეობაში ჩავარდა. საბჭოთა მთავრობამ პირველი სამი წლის განმავლობაში აღადგინა ისინი და საცდელ დაწესებულებათა ქსელი გააფართოვა ისეთი დაწესებულებების მოწყობით, როგორიც არის კახეთის მევენახეობა-მეღვინეობის საცდელი სადგური, მანქანა-იარაღების გამოსაცდელი სადგური და ზოოტექნიკური სადგური.

არა ნაკლებ მძიმე მდგომარეობაში მოუსწრო საბჭოთა ხელისუფლებამ ტყის მეურნეობას. რევოლუციამდე. ტყის არე დაქუცმაცებული იყო სხვადასხვა დაწესებულებათა და კერძო მფლობელთა შორის. არ არსებობდა ტყის მეურნეობის რაციონალური წარმოების მთლიანი გეგმა, არ იყო შესწავლილი ტყის ბუნება და ტყის მეურნეობას ახასიათებდა ნამდვილი ყაჩაღური ექსპლოატაცია. საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე მთავრობამ გამოაცხადა ტყის ნაციონალიზაცია და შექმნა ერთი მთლიანი სახელმწიფო-სატყეო ფონდი. ამჟამად უკვე შესწავლილი და მოწყობილია ნახევარზე მეტი ტყის არე, გამოყოფილია და მშრომელ გლეხობაზე უფასო სარგებლობისათვის გადაცემულია 200 ათას ჰექტარზე მეტი ადგილობრივი მნიშვნელობის ტყე. პარალელურად ტყის ექსპლოატაციასთან უკანასკნელ წლების განმავლობაში მიმდინარეობს მუშაობა ტყის კულტურის გასაახლებლათ.

ერთერთ დიდ მიღწევას სასოფლო მეურნეობაში წარმოადგენს საბჭოთა მამულების მოწყობა. აღნიშნულ მამულებიდან დაკავებული ფართობი ამჟამად უდრის 15 ათას ჰექტარს. საბჭოთა მამულები იყოფა ოთხ უმთავრეს ჯგუფათ და მდგომარეობს შემდეგ სამეურნეო რაიონებში: მევენახეობა-მეღვინეობის, მეხილეობის, მემინდვრეობის და მესაქონლეობის რაიონებში. მამულებს მთავარი მიზანია გადასვლა რაციონალურ მეურნეობაზე, კოლექტურ მიწათ-მოქმედებაზე და მიწის საზოგადო დამუშავებაზე. ამ ამოცანებს თანდათან ანხორციელებენ ჩვენი საბჭოთა მამულები.

აქვე უნდა აღვნიშნოთ ის განსაკუთრებული ყურადღება, რომელიც ექცევა გლეხობის კოლექტიურ მეურნეობებში გაერთიანების საქმეს. არა მარტო მთავრობისათვის, არამედ თვით გლეხობისათვისაც აშკარა შეიქმნა, რომ ინდივიდუალური მეურნეობა ვერ შესძლებს საკუთარი ძალებით მეურნეობის აღდგენას, რომ საჭიროა გლეხობის კოლექტიური შეკავშირება, რომ ნაყოფი გამოიღოს იმ დახმარებამ, რომელსაც მთავრობა მეურნეობის აღსადგენათ იძლევა სესხით, მანქანა-იარაღებისა და სხვა საშუალებათა მიწოდებით. სწორეთ ამ მიზნით „სოფლის კავშირთან“ მოეწყო კოლექტიურ მეურნეობათა ცენტრი, რომლის დანიშნულებას შეადგენს კოლექტიურ მეურნეობათა გამრავლება და მათი მუშაობის ხელმძღვანელობა. კოლექტივებში გაერთიანებულ მეურნეობათ სახელმწიფოს მიერ შეღავათიან პირობებში ეძლევა ყოველგვარი დახმარება, რითაც მათი განვითარება უზრუნველყოფილია. ამჟამად საქართველოში არსებობს 325 კოლექტივი, 100 სამანქანო ამხანაგობა და 10 სასოფლო სამეურნეო კომუნა.

ასეთია მოკლეთ სასოფლო მეურნეობის დღევანდელი მდგომარეობა. იგი დღეს არა თუ აღდგენილია ომის დროინდელ დონემდე, არამედ მისი განვითარება ზოგიერთ დარგში უკვე გაშორდა ზემოხსენებულ დონეს. ამჟამად საბჭოთა ხელისუფლების წინაშე სდგას კიდევ უფრო რთული ამოცანა-სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების უზრუნველყოფის, მისი რეკონსტრუქციის ამოცანა. ის მიღწევები, რომლებიც განვლილ პერიოდს ახასიათებს, გვაძლევს საფუძველს ვიფიქროთ, რომ საბჭოთა ხელისუფლება შესძლებს დასახული ამოცანის წარმატებით გადაჭრას.

ვ. რ—ძე.

სახალხო განათლება

სახალხო განათლების სისტემამ, რომელიც სამ მთავარ დარგად არის ჩამოყალიბებული (სოციალური აღზრდა, პროფტექნიკური განათლება და პოლიტ-განათლება), თავისი თავი ზოგადათ გაამართლა. განათლების სახალხო კომისარიატის მიერ აღებული გეზი კულტურულ მშენებლობაში საერთოდ სწორი გამოდგა. საჭიროა მხოლოდ კულტურულ მშენებლობის ზოგი ელემენტის გადასინჯვა სამეურნეო მშენებლობის ამოცანებთან შეფარდებით.

როგორია სახალხო განათლების მდგომარეობა ცალკე დარგების მიხედვით?

სკოლამდე ასაკის საბავშვო დაწესებულებათა ქსელი ჩვენში ჯერ კიდევ იმდენად მცირეა, რომ იგი ბავშვთა მოსახლეობის მხოლოდ ორ პროცენტს იტევს. ამ დაწესებულებათა ქსელის გაფართოება-შენახვაში საზოგადოებრივი თაოსნობა მეტად სუსტია, მთელი სიმძიმე განათლების ცენტრსა და ადგილობრივ ორგანოებს აწევს. ბავშვთა მოსახლეობის მეტი რიცხვის მოქცევა ამ დაწესებულებებში შეუძლებელია, თუ ამ საქმეში ჩაბმული არ იქნენ საბჭოთა საზოგადოებრივ კულტურული სამეურნეო და კოოპერატიული ორგანიზაციები.

პირველი საფეხურის შრომის სკოლის მშენებლობაში ძირითადი ამოცანა, საყოველთაო სწავლის შემოღება ჯერ კიდევ გადაუწყვეტელი რჩება: არსებული ქსელი ბავშვთა მოსახლეობის მხოლოდ 65 პროცენტს იტევს საყოველთაო სავალდებულო სწავლის შემოღება კულტურულ მშენებლობის ფრონტზე ისევ რჩება პირველხარისხოვან საკითხად, რომლის გადაწყვეტასაც უნდა მოხმარდეს ჩვენი ნივთიერი შესაძლებლობის და ენერგიის უდიდესი ნაწილი. პირველი საფეხურის სკოლა არ არის უზრუნველყოფილი ბუნებრივი ზრდის საშუალებით: თუმცა ჩვენი ბიუჯეტის უდიდესი ნაწილი სახალხო განათლებას ხმარდება, მაგრამ დღემდე მაინც არ გვყოფნის ნივთიერი სახსარი, რომ პირველი საფეხურის სკოლა ყველგან ნორმალურ ოთხწლედათ იქცეს, ამიტომ რესპუბლიკაში არა სრული პირველი საფეხურის სკოლათა რიცხვი სამასამდე აღწევს.

რაც შეეხება პირველი საფეხურის სკოლის ღირსებას, უკანასკნელი წლების განმავლობაში ჩვენი მასიური სკოლის მუშაობა თვალსაჩინოთ გაიზარდა: კომპლექსური სისტემა—ცხოვრების შესწავლისა და მასში მონაწილეობის სისტემა—ჩვენი სკოლის მუშაობის საფუძვლად არის მიღებული. მასწავლებელთა რიგებში უკვე აღარ აქვს სადგილი ეჭვებს და წინააღმდეგობას, მაგრამ ჯერ კიდევ არა გვაქვს მიღწეული ,რომ მასიური სკოლა მთლიანად სოციალისტური აღზრდის სკოლა იყოს, ამ მიმართულებით ჯერ კიდევ დიდი მუშაობა გვმართებს.

დღემდე ადგილობრივი ორგანოების ყურადღება უმთავრესად სასკოლო ქსელის გაფართოებისაკენ იყო მიმართული და მეტად სუსტი მუშაობა სწარმოებდა სკოლების უზრუნველსაყოფად შენობებით, ავეჯეულობით, სასწავლო ხელსაწყოებით, ბიბლიოთეკებით, სახელმძღვანელოებით, მიწის ნაკვეთით და სხვა. ეს მდგომარეობა უნდა გამოსწორდეს და ადგილობრივ ორგანოებმა თავისი ყურადღება აქეთკენ მიმართონ.

მასიური სკოლის მუშაობის გაუმჯობესებაში დიდი მნიშვნელობა აქვს ცოცხალ მაგალითს. ამ მიზნით რესპუბლიკაში მოწყობილია 50 სარაიონო სკოლა, რომელთა დანიშნულებას შეადგენს მასიური სკოლისათვის დახმარების აღმოჩენა, მაგალითის ჩვენებით, თუ რასა და როგორ უნდა აკეთებდეს სკოლა.

პირველი საფეხურის სკოლების სიმცირის გამო ჯერ-ჯერობით ყოველწლიურად სკოლის გარეთ რჩება ბავშვთა მოსახლეობის 30 პროცენტი. ამიტომ წერა-კითხვის უცოდინარ ახალგაზრდების რიცხვი საგრძნობლად მატულობს. განათლების სახკომის გადაუდებელ ამოცანას შეადგენს ამ ახალგაზრდობაზე კულტურული მუშაობის გავრცელება: პირველ რიგში წერა-კითხვის უცოდინარობის მოსპობა მათ შორის და მათი აღჭურვა ჩვენი სასოფლო მეურნეობის შესაფერი ცოდნით, ამ მიზნით განსახკომს გადაწყვეტილი აქვს მოაწყოს ერთწლიანი და ორწლიანი სკოლები, რომლებიც წერა-კითხვის გარდა ახალგაზრდობას მისცემს სამეურნეო-პრაქტიკულ მომზადებას.

რაც შეეხება მეორე საფეხურის შრომის სკოლებს, მათი მუშაობა თავისი თვისებით თანდათან უმჯობესდება, მაგრამ ჯერ კიდევ შორსაა იმისაგან, რაც უნდა იყოს. საშუალო სკოლიდან გამოსულ ახალგაზრდობას ხშირად აკლია პრაქტიკულ ცხოვრებაში გამოსადეგი ცოდნა და უნარი. ასეთი მოვლენის მიზეზია პედაგოგიური ძალების დაბალი კვალიფიკაცია, სკოლების ნივთიერი ბაზის სისუსტე და სკოლების არასაკმაო კავშირი საზოგადოებრივ ცხოვრების პრაქტიკულ ამოცანებთან.

ამჟამად მეორე საფეხურის კონცენტრი რეორგანიზაციის პროცესში იმყოფება. სოფლად მომქმედი შვიდწლედების გადახალისების საქმეში განსახკომს სწორი გზა აქვს აღებული. სოფლის შვიდწლედებს თანდათანობით სცვლის სოფლის ახალგაზრდობის სკოლა, რომელიც სოფლის მეურნეობასა და კულტურულ მშენებლობაზე დამყარებულ სკოლის ნორმალურ სახეს წარმოადგენს. მთელ რესპუბლიკაში ამჟამად 93 სოფლის ახალგაზრდობის სკოლაა. სოფლის მეურნეობის ახალ ტეხნიკაზე გადაყვანისა და კოლექტიურ ნიადაგზე მოწყობის ამოცანების მიხედვით, განსახკომს განზრახული აქვს სათანადო ცვლილება შეიტანოს სოფლის ახალგაზრდობის სკოლაში, იმ მიზნით, რომ სკოლამ ხელი შეუწყოს ღარიბ და საშუალო გლეხობაში კოლექტიურ მეურნეობის იდეების გავრცელებას. სოფლის ახალგაზრდობის სკოლების ქსელის გაფართოების დროს განსახკომს გადაწყვეტილი აქვს განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს სკოლის ასაკ გადასულ და უკვე მეურნეობაში ჩაბმულ ახალგაზრდა გლეხობის ინტერესებს. ამ მიზნით განზრახულია გაიხსნას ორწლიანი კურსები მოზრდილთათვის.

ამასთანავე შვიდწლედის რეორგანიზაციის დროს განსახკომს მხედველობაში აქვს მიღებული არა მარტო სოფლის მეურნეობის, არამედ მრეწველობის ინტერესებიც, რამდენადაც ჩვენში ფეხს მოიკიდებს მრეწველობის სხვა და სხვა დარგები, იმდენათ შვიდწლედები დაემყარებიან საფაბრიკო-საქარხნო შრომას და მიიღებენ ინდუსტრიალურ განხრას.

შრომის სკოლის მეორე საფეხურის მეორე კონცენტრის საკითხი ჯერ კიდევ სავსებით მოგვარებული არ არის. 9 წლედებს ყოველწლიურად ამთავრებს ორი ათასზე მეტი ახალგაზრდა, ამათგან ნახევარი თუ ეწყობა უმაღლეს სასწავლებლებში, მეორე ნახევარი კი უმუშევრად რჩება. ასეთი მდგომარეობა განათლების სახკომის წინაშე კვლავ აყენებს ამოცანას 9 წლედების ქსელის შემცირების შესახებ. კომისარიატს განზრახული აქვს ცხრაწლედის ქსელის შემცირება შეუფარდოს ჩვენი უმაღლესი სკოლის ტევადობას და მიიღოს ენერგიული ზომები ცხრაწლედების მუშაობის გასაუმჯობესებლად. ცხრაწლედი იმის სიმაღლეზე უნდა იქნას აყვანილი, რომ იქიდან გამოსული ახალგაზრდობა მომზადებული აღმოჩნდეს, როგორც უმაღლეს განათლების მისაღებათ, ისე მშენებლობაში აქტიურ მონაწილეობისათვის. ამ მიზნით გადაწყვეტილია ცხრაწლედს მიემატოს კიდევ ერთი წელიწადი და შემოღებულ იქნეს უცხო ენების სწავლება.

სოფლისა და ქალაქის მეურნეობის რეკონსტრუქციის და კულტურულ რევოლუციის ამოცანებმა განსახკომს პირველ რიგში დაუყენა ახალი სპეციალისტების მომზადების საკითხი. პროფტექნიკური განათლების დარგში კომისარიატი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ისეთი ტიპის დაბალი პროფტექნიკური სკოლების მოწყობას, რომლებიც დააკმაყოფილებენ ხელოსნობის და შინამრეწველობის, ელექტროფიკაციისა და საფაბრიკო-საქარხნო მრეწველობის საჭიროებას. მეურნეობის ახალი დარგების გაფართოებულ მშენებლობის გამო ტეხნიკუმების ქსელსა და ტიპებს დაემატა საფეიქრო, სატყეო, ელექტრო-ტეხნიკური და ჰიდრო-ტეხნიკური ტეხნიკუმები.

უმაღლეს ტეხნიკური განათლების დარგში აღსანიშნავია ამ სასწავლო წელში ჩატარებული სახ. უნივერსიტეტის და ლენინის სახელობის პოლიტეხნიკურ ინსტიტუტის ტეხნიკური ფაკულტეტების გადაჯგუფება, რამაც მოსპო პარალელიზმი და მათი მუშაობა უფრო რაციონალურ ნიადაგზე დააყენა.

პროფტექნიკურ განათლების გაუმჯობესებისათვის განსახკომს გადაწყვეტილი აქვს, რომ ტეხნიკური სკოლები დაუკავშიროს წარმოებებს, ამ მიზნით ცალკე სკოლები მიამაგროს მსხვილ საწარმოო ერთეულებზე, გაძლიეროს სამეურნეო ორგანოების ნივთიერი და იდეური მონაწილეობა ტეხნიკური სკოლების მუშაობაში, გამოიყენოს სამეურნეო დაწესებულებათა კვლევითი ინსტიტუტები პროფტექნიკური სკოლების სასწავლო მიზნებისათვის და სხვა.

საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე დასმულ მშენებლობის უდიდესი ამოცანების გადაწყვეტა იმაზეა დამოკიდებული, თუ რამდენად უფრო მეტი მშრომელთა მასები მიიღებენ შეგნებულ და აქტიურ მონაწილეობას ამ ამოცანების გადაწყვეტაში. ამიტომ პოლიტ-საგანმანათლებლო მუშაობას განსახკომი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს. მიღწევები ამ დარგში თვალსაჩინოა, მაგრამ კიდევ უფრო მეტია გასაკეთებელი, ამ მოკლე ხანში სახკომისარიატს გადაწყვეტილი აქვს გაამრავლოს წ. კ. უცოდინარობის სალიკვიდაციო პუნქტები იმ ანგარიშით, რომ ამ უახლოეს ხანში დამთავრდეს წ. კ. უცოდინარობის სალიკვიდაციო მუშაობა მოსახლეობის ახალგაზრდა ფენებს შორის მაინც. ამავე დროს გადაწყვეტილია გაფართოვდეს მცირემცოდნეობის სალიკვიდაციო სკოლების ქსელი და მათი მუშაობა ისე მოგვარდეს, რომ ელემენტარულ ცოდნასთან ერთად მოსახლეობამ პრაქტიკული სამეურნეო ცოდნაც მიიღოს.

მუშათა უმაღლესი განათლების მოსამზადებლად განზრახულია მუშათა უნივერსიტეტების მოწყობა. მუშათა უნივერსიტეტები მოეწყობა იმ ანგარიშით, რომ მათ ამაღლონ მუშა მსმენელების ნაყოფიერება წარმოების იმ დარგში, სადაც ისინი მუშაობენ. გარდა ამისა, მიღებულია ზომები სამკითხველოების მუშაობის გასაუმჯობესებლად და გასაძლიერებლად იმ დონემდე, რომ სამკითხველოები იქცნენ სოფლის კულტურულ ცენტრად.

ასეთია მოკლეთ სახალხო განათლების მდგომარეობა და მისი ამოცანები სოციალიზმის მშენებლობისა და კულტურულ რევოლუციის პრაქტიკულ ამოცანების თვალსაზრისით.

მ. შ—ნი.

მიღწევები შრომის დარგში

იმ უდიდეს მონაპოვართა შორის, რომელიც ოქტომბრის რევოლუციამ მშრომელ ხალხს არგუნა, ერთ-ერთ მნიშვნელოვან მონაპოვრათ უნდა ჩაითვალოს შრომის კანონმდებლობისათვის მტკიცე საძირკვლის ჩაყრა. რა მიღწევები გვაქვს ჩვენ ამ დარგში? თუ დაქირავებულ შრომის პირთა რიცხვი 1925 — 26 წლის ოქტომბრის 1-ლ რიცხვისათვის 136077 უდრიდა, 1927 — 28 წლისათვის 153.940 კაცს უდრის.

გაიზარდა ხელფასიც. სამრეწველო წამოწყებების მუშების საშუალო ხელფასი 26 — 27 წელში თვეში 63 მ. 47 კ. უდრიდა, ხოლო 27 — 28 წ. — 68 — 30 კ.

ყველა დაწესებულების ერთი მოსამსახურის საშუალო ხელფასი 26—27 წ. 82 მ. 78 კ. უდრიდა, ხოლო 27—28 წ.—84 მ. 80 კაპიკს.

გარდა ამისა უკანასკნელ ორი წლის განმავლობაში ჩვენ ვხედავთ ერთხაირ გაცხოველებას ხელშეკრულებათა პრაქტიკაში, ასე მაგ., თუ 26—27 წ. შრომის ხელშეკრულებაში მოქცეული იყო 65,316 კაცი, 27—28 წ. ხელშეკრულება ეხება 76.007 კაცს.

რაც შეეხება კონფლიქტებს, მომრიგებელ კამერათა მუშაობა შემცირდა, რადგანაც შრომის ორგანოები ინდივიდუალური ხასიათის კონფლიქტების საქმეების გარჩევას აღარ აწარმოებენ. ეს ფუნქციები შრომის სასამართლოებს გადაეცა.

1927 — 28 წლის განმავლობაში გარჩეულ საქმეებიდან 70—80 პროც. მშრომელთა სასარგებლოდ გადაწყდა.

უმუშევრობასთან ბრძოლის მიზნით შრომის სახკომისარიატმა გასულ წელთან შედარებით დიდ შედეგებს მიაღწია, მაგრამ უმუშევრობა ჩვენში ჯერ კიდევ დიდია.

ამასთანავე უნდა გაესვას ხაზი იმ გარემოებას, რომ საქართველოს შრომის ბაზარზე, საზოგადოდ, კვალიფიციურ მუშა ძალის დიდი ნაკლებობაა. უმუშევრობას საქართველოში არა აქვს სამრეწველო უმუშევრობის ხასიათი.

შრომის ბირჟებში აღრიცხულთა რიცხვი უდრის 30.418 მუშა - ხელს. აქედან მამაკაცები 20.795 და დედაკაცები 9.633. გაგზავნილია სხვადასხვა სამუშაოებზე წლის განმავლობაში 35.200 კაცი.

გარდა ამისა, ეწყობოდა უმუშევართა კოლექტივები. უმუშევრები იგზავნებოდნენ საზოგადო სამუშაოზე, რამაც კარგი შედეგი გამოიღო.

თუ შევადარებთ ორი უკანასკნელი წლების ცნობებს დავინახავთ, რომ უმუშევართა კოლექტივები ფართოვდება სწრაფი ტემპით: 1927 წ. 1 ოქტომბერს გახსნილი იყო 48 კოლექტივი, რომლებშიაც ჩაბმული იყო 1.330 კაცი, 1928 წ. ოქტომბრის 1-ვის ჩვენ გვაქვს 54 კოლექტივი, 2.155 კაცით.

დღითი-დღე ფართოვდება შრომის დაცვის ორგანოების ამოცანები. შრომის დაცვის დარგში მთავარი ყურადღება ექცეოდა სანიტარულ - ჰიგიენურ და ტეხნიკურ პირობების გაჯანსაღებას.

გარდა ამისა, შრომის სახ. ორგანოების განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევდა უბედურ შემთხვევებსა და ზედმეტ მუშაობასთან ბრძოლა. ამ მიზნით ხდებოდა მთელი რიგი გამოკვლევანი ამ მოვლენათა გამომწვევ მიზეზების შესასწავლად და უნდა ითქვას, რომ ამ დარგში წარმოებულ მუშაობამ შესამჩნევი ნაყოფი გამოიღო.

როგორია მუშათა საბინაო მშენებლობა, რომელიც ჩვენში ახალი საქმეა.

გასული 1927 — 28 წ. განმავლობაში მუშათა საბინაო მშენებლობაზე საქართველოში გადაიდო დაახლოვებით 4.391,769 მ. აქედან ადმასკომების ხაზით 1.565,000 მანეთი, საბინაო კოოპერაციის ხაზით 1.073.655 მ. მრეწველობის ხაზით 1.144.113 მ. და ტრანსპორტის ხაზით 609.000 მან., ე. ი. 1.097.036 მ. მეტი ვიდრე 1926—27 წ. ეს თანხები უკვე დაბანდებულია საბინაო მშენებლობაში.

ამას გარდა 1926 — 27 წ. შედარებით საბინაო მიზნობრივი გადასახადის შემოსავალი გადიდდა დაახლოვებით 20 პროც.-ით, რაც იმის შედეგი იყო რომ ეს გადასახადი თბილისს გარდა დამატებით გატარებულ იქნა 7 ქალაქში.

ეს ციფრები იმას მოწმობენ, რომ მუშათა საბინაო მშენებლობა ყოველწლიურად ფართოვდება და იზრდება.

სოციალური დაზღვევა მუშათა კლასის ერთ - ერთ უდიდეს მონაპოვარს წარმოადგენს. ამ ამოცანის გადაჭრა საქართველოში მთელი 8 წლის განმავლობაში წარმატებით მიმდინარეობდა. ამის დასამტკიცებლად სრულიად საკმარისია ავიღოთ თუნდაც დაზღვეულთა რიცხვის ზრდა წელთა მიხედვით: 24—25 წ. — 81.482, 25—26 წ. — 97.800, 26 — 27 წ. — 106.893, 27 —28 წ. — 113.236.

აღსანიშნავია ერთი გარემოება, ხარჯების ზრდა წინ უსწრებდა შემოსავლის ზრდას, თუ პირველ წლებში სოცდაზღვევის ორგანოები საქართველოში იყო კარგ მდგომარეობაში, დაწყებული 1925 წლიდან შემოსავალი ვერ ფარავს გასავალს და დამზღვევი ორგანოები განიცდიან ფინანსიურ კრიზისს.

სოციალურ დაზღვევის ორგანოების წინაშე სდგას მრავალი მორიგი საკითხები. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ საბჭოთა მშენებლობის აყვავებასთან ერთად ეს საკითხებიც მოგვარებული იქნება.

ს. თოდრია.

თბილისი გუშინ

გუშინ თბილისი ჩვეულებრივი საზეიმო განწყობილებით შეხვდა ოქტომბრის დიდი რევოლუციის მე-11 წლისთავს. სახალხო კომისარიატების და მთავარ დაწესებულებების შენობები მოირთო წითელი დროშებით და ფერადი ელექტრის ჩირაღდნებით. ქუჩები შეიღება წითელ ფრად. სახელმწიფო და კოოპერატიულ სავაჭრო მაღაზიების ვიტრინები შემკო ათასნაირად. ალაგ გამოფენილი იქნა რევოლუციის ბელადების პორტრეტები, ხოლო ალაგ ბელადების ბიუსტები.

საღამოს თბილისის მრავალრიცხოვან მუშათა კლუბებში და ცალკე წარმოება-დაწესებულებათა დარბაზებში მოეწყო საზეიმო სხდომები წარმოდგენებით, დივერტისმენტებით და კონცერტებით.

ვ.

სომხეთის მუშათა დელეგაციის ჩამოსვლა

6 ნოემბერს ოქტომბრის დღესასწაულზე თბილისში სომხეთიდან ჩამოვიდა მუშათა დელეგაცია 17 კაცის შემადგენლობით. დელეგაციაში შედიან მემაღაროები, მშენებლები, შავი მუშები, მელითონეები და სხვ.

საღამოთი დელეგაცია მთელი შემადგენლობით, დაესწრო თბილისის საბჭოს საზეიმო სხდომას.

სხდომის შემდეგ 10 დელეგატი გაემგზავრა ბაქოში ოქტომბრის დღესასწაულზე მონაწილეობის მისაღებად, ხოლო 7 კაცი თბილისში დარჩა.

ოქტომბრის ზეიმის ჩატარების გეგმა

თბილისში

მუშათა ექსკურსიები მეზობელ რესპუბლიკებში

ოქტომბრის რევოლუციის დღესასწაულის ჩამტარებელ ცენტრალური კომისიის თაოსნობით გუშინ ბაქოსა და ერევანში გაიგზავნა თბილისის მუშათა ექსკურსიები. ექსკურსიის მონაწილეთ დავალებული აქვთ ოქტომბრის რევოლუციის დღეს ბაქოსა და ერევნის მუშებს მიესალმონ საქართველოს პროლეტარიატის სახელით. დღეს ბაქოდან თბილისში მოელიან მუშათა ექსკურსიას 70 კაცის შემადგენლობით.

სადღესასწაულო საღამო - წარმოდგენები მუშათა კლუბებსა და თეატრებში

დღეს და ხვალ ყველა მუშათა კლუბებში გაიმართება სადღესასწაულო საღამო-წარმოდგენები და კონცერტები.

დღეს ოპერის თეატრში ოქტომბრის რევოლუციის 11 წლის თავის აღსანიშნავად შესრულებული იქნება ზ. ფალიაშვილის კანტატა სოლისტების მონაწილეობით. კანტატის შემდეგ მე-5 აბონემენტისათვის წარმოდგენილი იქნება პრემიერა „ლაკმე“ მ. გალპერინის ახალი ტექსტით.

რუსთაველის თეატრში დღეს წარმოდგენილი იქნება „რღვევა“.

მუშათა თეატრის რუსული დრამის მიერ დღეს წარმოდგენილი იქნება „რღვევა“.

განათლების მუშაკთა სახლში

ხვალ, 8 ნოემბერს, განათლების მუშაკთა სახლში გაიმართება სადღესასწაულო საღამო-კონცერტი. მონაწილეობს აკადემიური გუნდი კ. ფოცხვერაშვილის ხელმძღვანელობით და ოპერის თეატრის მსახიობები.

დემონსტრაციის ჩატარების გეგმა

ცენტრალურმა სადღესასწაულო კომისიამ შეიმუშავა 7 ნოემბერს დემონსტრაციის ჩატარების გეგმა.

დემონსტრაციაში მონაწილეობას მიიღებენ ყველა მუშა-მოსამსახურეები, სამხედრო ნაწილები (უიარაღოთ), ფიზკულტურისნები, მოწაფეები (მე-8, მე-9 და მე-10 ჯგუფების) და პიონერები (9 წლის ასაკის ზევით).

ქალაქი გაყოფილია 3 რაიონად, რაიკომების მიხედვით. 7 ნოემბერს დილის 8 საათზე დემონსტრაციის მონაწილენი იკრიბებიან შემდეგ პუნქტებში:

ლენინის რაიონი—ჟორესის და პლეხანოვის პრ. კუთხეში, **„26“-ს რაიონი**—კარლ მარქსის მოედანზე, **ქალაქის რაიონი**—სოლოლაკის ქუჩაზე ქალაქის რაიკომის წინ.

აქედან დემონსტრანტები ცენტრალურ კომისიის ხელმძღვანელობით მიდიან შემდეგი მარშრუტით:

ლენინის რაიონის მოწინავე კოლონა, დილის 10 ს. იწყებს მსვლელობას ჟორესის ქუჩიდან და ვერის აღმართზე გავლით მიდის რუსთაველის პროსპექტისაკენ და მარცხენა მხრით მიემართება ტრიბუნისაკენ (სასახლის პირდაპირ). ტრიბუნასთან გავლის შემდეგ ჩაუხვევს მუზეუმის ქუჩიდან კეცხოველის ქუჩაზე სადაც დემონსტრანტები იშლებიან.

ლენინის რაიონის მოწინავე კოლონის პასუხისმგებელ ხელმძღვანელად დანიშნულია ამხ. ფანცულაია.

„26“-ის სახელობის რაიონის მუშა-მოსამსახურეები და დემონსტრაციის დანარჩენი მონაწილენი მსვლელობას იწყებენ დილის 10 ს. და 30 წუთზე და კარლ მარქსის ხიდზე გავლით მიდიან ძნელაძის (სიონის) ქუჩისაკენ. ტელეფონის სადგურთან მისვლის შემდეგ მოწინავე კოლონა გამოდის რუსთაველის პროსპექტზე იმ ანგარიშით, რომ უკან მიჰყვეს ლენინის რაიონს, ტრიბუნასთან გავლის შემდეგ „26“-ს რაიონი მიემართება იმავე გზით, როგორც ლენინის რაიონი და, დემონსტრაციის მონაწილენი იშლებიან კეცხოველის ქუჩაზე.

„26“-ის სახ. რაიონის მოწინავე კოლონის პასუხისმგებელ ხელმძღვანელად დანიშნულია ამხ. ტერ-ვართანოვი.

ქალაქის რაიონი მთავარ პუნქტიდან მსვლელობას იწყებს ცენტრალურ კომისიის წევრის ჩვენებით და თავისუფლების მოედანზე და კომინტერნის ქუჩაზე გავლით მიემართება ტრიბუნისაკენ. ქალაქის რაიონი ტრიბუნას გაუვლის მარცხენა მხრიდან და რუსთაველის პროსპექტზე გავლის შემდეგ იშლება ლენინის ქუჩის ბოლოში, საიდანაც დემონსტრაციის მონაწილენი მიდიან თავთავიანთ სახლებში.

ქალაქის რაიონის მოწინავე კოლონის პასუხისმგებელ ხელმძღვანელად დანიშნულია ამხ. მორჩილაძე.

დემონსტრაციის მსვლელობა სწარმოებს შემდეგი წესით: თვითეულ რაიონის მოწინავე კოლონის წინ მიდიან პიონერები, შემდეგ მოწაფეები, ფიზკულტურისნები, მუშები, მოსამსახურეები და წითელ-არმიელები (შერევით).

როგორც ლენინის რაიონი, ისე „26“-ის სახ. რაიონი მიდიან რუსთაველის პროსპექტის მარცხენა მხარეზე, ხოლო ქალაქის რაიონი მიდის ქუჩის მარჯვენა მხარეზე (სასახლის მხრით), ისე რომ მოძრაობა სწარმოებს მხოლოდ ტრამვაის ხაზის ორივე მხარეს, თვით ხაზი რჩება თავისუფალი.

ტრიბუნა მოწყობილი იქნება სასახლის წინ ტრიბუნიდან დემონსტრაციას მიესალმებიან ამიერ-კავკასიის და საქართველოს მთავრობების წევრები, მუშების, პარტიულ და პროფესიონალურ ორგანიზაციების წარმომადგენლები.

დემონსტრაციისათვის საერთო ხელმძღვანელობა დაკისრებული აქვთ ამხ. ბედიას, მიქაძეს, საჯაიას და მესხს.

დღესასწაული სოფლად

დღეს, დილით, თბილისის მაზრის სათემო ცენტრებში და მოზრდილ სოფლებში გაიმართება გლეხთა მიტინგები, საღამოს სასოფლო კლუბებში (სადაც ასეთები არ არის—სკოლებში), გაიმართება სადღესასწაულო საღამო წარმოდგენები. ზოგიერთ სოფლებში გაიხსნება ახალი კლუბები, წ.-კ. უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლები, სამკითხველოები და სხვ. დღესასწაული ასეთივე წესით ჩატარდება დანარჩენ მაზრების სოფლებშიაც.

დღესასწაულთან დაკავშირებით რევოლუციონურ შინაარსის სურათების საჩვენებლად პოლიტგანათლების მთავარმმართველობამ რესპუბლიკის სხვადასხვა მაზრებში გაგზავნა 16 მოძრავი კინო-აპარატი და ამდენიმე სურათი.

სოფლებში დღესასწაულის ჩატარებაში მონაწილეობას მიიღებენ საშეფო ორგანიზაციები და საშეფო საზოგადოების მიერ სპეციალურად გაგზავნილი პირები.

ბრძანება

კავკასიის წითელდროშოვან არმიის რევოლუციონურ სამხედრო საბჭოსი

№ 225. 1928 წ. 7 ნოემბერი.

ამხანაგო წითელარმიელებო, მეთაურებო, პოლიტმუშაკებო!

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირმა თავის 11 წლის არსებობის განმავლობაში დიდ წარმატებას მიაღწია სოციალისტური მშენებლობის საქმეში. ჩვენმა მრეწველობამ და სოფლის მეურნეობამ გადააჭარბეს ომის წინადროინდელ დონეს. წარმატებით ვითარდება ახალი ფაბრიკა-ქარხნების მშენებლობა. უმჯობესდება ღარიბ და საშუალო გლეხთა კეთილდღეობა. იწყება დიდი მუშაობა გლეხობის გასაერთიანებლად შრომითი კოლექტივებში; ფართოდ ვრცელდება მანქანების გამოყენება სოფ. მეურნეობაში. იმ ბრძოლებში, რომელსაც ჩვენ წარმატებით ვაწარმოებთ სხვადასხვა დაბრკოლებასთან, უფრო და უფრო იზრდება ჩვენი მეურნეობის სოციალისტური ნაწილი. მიუხედავათ დიდი წინააღმდეგობისა, ნეპმანები და კულაკები იძულებულნი არიან უფრო და უფრო დაიხიონ პროლეტარიატის, ღარიბი და საშუალო გლეხობის მთლიანი ფრონტის წინაშე.

მუშათა და გლ. წითელმა არმიამ თავისი თავდადებული ბრძოლით მრავალრიცხოვან მტრებთან სამოქალაქო ომსა და იმპერიალისტურ ინტერვენციის დროს დაიცვა მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფო.

სამოქალაქო ომის დამთავრების შემდეგ მუშათა და გლეხთა წითელმა არმიამ უზრუნველყო საბჭოთა კავშირისათვის მშვიდობიანი სოციალისტური მშენებლობის შესაძლებლობა. ძლიერი თავისი რევოლუციონური შეგნებით, რევოლუციონური დისციპლინით, სამხედრო პოლიტიკური ცოდნით — წითელი არმია იცავდა საბჭოთა კავშირის საზღვრებს და ყოველთვის თავგამოდებით ასრულებდა თავის პასუხსაგებ ამოცანას საბჭოთა კავშირის მშრომელთა წინაშე.

მსოფლიო პროლეტარული რევოლუციის ზრდა და განვითარება, საბჭოთა კავშირის განმტკიცება, რომელიც ხელს უწყობს რევოლუციონური მოძრაობის განვითარებას, საშინელ გაავებას იწვევს კაპიტალისტებში, რომლებიც ამზადებენ ახალ იმპერიალისტურ ომს და ძალას იკრებენ იმისათვის, რომ თავს დაესხან საბჭოთა კავშირს და ბოლო მოუღონ მსოფლიო რევოლუციის ცენტრს.

ბურჟუაზიული ქვეყნების პროლეტარიატისა და კოლონიების დაჩაგრულ ხალხთა თანაგრძნობა საბჭოთა კავშირისადმი ხელს უშლის ამჟამად იმპერიალისტებს განახორციელონ თავიანთი ზრახვები. მაგრამ იმპერიალიზმი მაინც ემზადება საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ გამოსალაშქრებლად.

წითელ არმიას კვლავ აწევს უდიდესი მოვალეობა—შეიარაღებულ კედლად დადგეს საბჭოთა კავშირის საზღვრებზე, მზად იყოს საბჭოთა ხელისუფლებისა და კომუნისტური პარტიის პირველ დაძახებაზე უკუაგდოს მოსული მტერი.

პროლეტარიატი გლეხობასთან კავშირში მშვიდობიანი მუშაობის ასპარეზზე ყოველ ღონეს ხმარობს იმისათვის, რომ განამტკიცოს ჩვენი სოციალისტური მეურნეობა.

წითელი არმია, რომელსაც სავსებით შეგნებული აქვს თავისი პასუხისმგებლობა, ყოველ ღონეს იხმარს, იმისათვის, რომ განამტკიცოს თავისი სამხედრო ძლიერება.

პროლეტარული რევოლუციის მე-11-ე წლის თავის საზეიმო დღეს კავკასიის წითელდროშოვანი არმიის რევოლუციონური სამხედრო საბჭო ულოცავს ყველა წითელარმიელს და მეთაურთა შემადგენლობას ამ ბრწყინვალე დღესასწაულს. მთელი არმიის სახელით რევოლუციონური სამხედრო საბჭო აცხადებს, რომ კავკასიის წითელდროშოვანი არმია, რომელიც 1918 წლიდან გმირულად ებრძოდა პროლეტარული რევოლუციის მტრებს, ხოლო 20—21 წლებიდან დაეხმარა ამიერ-კავკასიის მშრომელთ საბჭოთა ხელისუფლების დამყარებაში. უფრო და უფრო განამტკიცებს ძმურ კავშირს ამიერ-კავკ. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მუშებთან და გლეხობასთან და შემდეგშიაც ისევე შეასრულებს თავის ამოცანებს, როგორც დღემდე ასრულებდა.

რევოლუციონური სამხედრო საბჭო სალამს უძღვნის ახალგაზრდა მეომრებს, რომელნიც მოვიდნენ არმიის რიგებში თავიანთი მებრძოლი ამხანაგების შესაცვლელად, და დარწმუნებულია, რომ თავიანთი მუშაობით ახალგაზრდა მეომრები დაამტკიცებენ, რომ ისინი ღირსეული მოადგილენი არიან იმათი, ვინც უკვე მოიხადა სამსახურის ვადა.

მეთაურთა შემადგენლობა და ძველი მებრძოლნი ყოველმხრივ დაეხმარებიან მათ ამ მუშაობაში.

გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას!

გაუმარჯოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირს!

გაუმარჯოს მსოფლიო რევოლუციას!

ბრძანება წაკითხულ იქნას ყველა ასეულში, ესკადრონში, ბატარეაში, გუნდში და კარანტინში.

რევოლუციონური სამხედრო საბჭო:
ალაფუზო.
ვასილიევი.

თბილისის საბჭოს საზეიმო სხდომა

გუშინ საღამოს რუსთაველის თეატრში შესდგა თბილისის საბჭოს საზეიმო სხდომა ოქტომბრის რევოლუციის მე-11 წლის თავის შესრულების გამო.

ამხ. ვ. ბოლქვაძის სიტყვა

საზეიმო სხდომა გახსნა თბილისის საბჭოს თავმჯდომარე ამხ. ვ. ბოლქვაძემ, რომელმაც შემდეგი სიტყვით მიმართა საბჭოს დეპუტატებით და მუშათა ორგანიზაციების წარმომადგენლებით სავსე დარბაზს:

— ხვალ შესრულდება 11 წელიწადი მას შემდეგ, რაც ლენინგრადის და მოსკოვის მუშებმა დაამხეს თავად-აზნაურობის და ბურჟუაზიის ბატონობა და ხელთ იგდეს უზარმაზარი ქვეყნის მართვა-გამგეობა. ამ 11 წლის განმავლობაში მუშათა კლასი თავისი მტკიცე მარჯვენით იცავდა ერთად-ერთ პროლეტარული ქვეყნის დამოუკიდებლობას და სჭედდა საფუძველს ახალი სოციალისტური მეურნეობის აგებათ. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას სამი წლით დააგვიანდა და ამ ხნის განმავლობაში ჩვენ საკუთარი თვალით დავინახეთ, თუ რა განსხვავებაა პროლეტარული და ბურჟუაზიული ხელისუფლებას შორის. სამი წლის განმავლობაში საქართველოს მშრომელნი მოწმენი იყვნენ მუდმივი შუღლის და მტრობისა ერთა შორის, მეურნეობის ნგრევის და კულტურული ჩამოქვეითების. ეს მენშევიკური ხელისუფლების ბუნება იყო. ბურჟუაზიას არ შეუძლია შეურიგდეს სხვა ერის ეკონომიურ დაწინაურებას. მას არც თავის ერის სახალხო მეურნეობის აღორძინება აინტერესებს. ბურჟუაზიის ბატონობის პირობებში წარმოუდგენელია ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის ისეთი ჩქარი ტემპით განვითარება, როგორც ეს ხდება პროლეტარული დიქტატურის დროს. ჩვენი მრეწველობა და სასოფლო მეურნეობა დღითი-დღე იზრდება, მასების კულტურული დონე გაუგონარი სისწრაფით მიიწევს წინ. ამის მიზეზი თვით საბჭოთა ხელისუფლების სისტემაში მარხია. არც ერთი ხელისუფლება ერის შემოქმედებითი ძალების ისეთი განვითარების შესაძლებლობას არ იძლევა, როგორც მუშათა ხელისუფლება.

გაუმარჯოს მუშათა კლასს, მის დაუშრეტელ ენერგიას.

ამხ. მიხა ცხაკაიას სიტყვა

ამხ. მიხა ცხაკაიას დარბაზი მქუხარე ტაშის ცემით ეგებება. დღეს დიდი ოქტომბრის რევოლუცია,—ამბობს ამხ. მიხა,—გადადის თავისი ძლევამოსილი არსებობის მეთორმეტე წელში. ამ ხნის განმავლობაში საბჭოთა კავშირის მშრომელთა გაერთიანებულმა ძალღონემ შექმნა უდიდესი პროლეტარული სახელმწიფოს პოლიტიკური და ეკონომიური სიმტკიცე. საბჭოთა ხელისუფლებამ დამოუკიდებელი არსებობის საშუალება მისცა წინანდელი რუსეთის დაჩაგრულ მრავალმილიონიან ხალხებს. მათი დამოუკიდებლობა მან ააგო მტკიცე ეკონომიურ საფუძველზე, საბჭოთა ხელისუფლებამ მართვა-გამგეობის აპარატი ისე დაუახლოვა ხალხს, რომ ხალხი ხელისუფლებისაგან განუყრელი გახადა. მან მოახდინა არა მარტო მართველობის, არამედ მეურნეობის სხვადასხვა დარგების დეცენტრალიზაცია. დღეს საბჭოთა რესპუბლიკებში მშრომელი ხალხი თვითონვე ქმნის თავისი არსებობის მტკიცე ეკონომიურ საფუძველს. საბჭოთა ხელისუფლებას მხოლოდ ერთი ცენტრალიზაცია სწამს. ეს არის მთლიანი ლენინური პოლიტიკის გატარება ყველა რესპუბლიკებში. ეს არის პოლიტიკა, რომელიც, დღეს ჩვენ ყველა რესპუბლიკებში გვაკარნახებს ქვეყნის ინდუსტრიალიზაციას და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის გატარებას. ჩვენ ვხედავთ ამ პოლიტიკის შედეგს. სანიმუშოთ კმარა განჯა:—ეს ერთ დროს მივარდნილი ქალაქი, დღეს არაჩვეულებრივი სისწრაფით ანვითარებს მსხვილ მრეწველობას. საბჭოთა ლენინური პოლიტიკა უნაკლოა, მაგრამ მის გატარებას თან სდევს მრავალი ნაკლი; ეს ნაკლოვანებანი რომ თავიდან ავიცილოთ, საჭიროა საბჭოთა მუშაობაში ჩავაბათ მუშებისა და ღარიბი გლეხკაცობის რაც შეიძლება მეტი მასები; ეს არის ჩვენი მუშაობის გაჯანსაღების საუკეთესო საშუალება! (ტაში).

ამხ. მიხას წინადადებით საბჭო ფეხზე ადგომით პატივსა სცემს ოქტომბრის რევოლუციისათვის დაღუპულთა ხსოვნას.

ამხ. ფილიპე მახარაძის სიტყვა

ამ 11 წლის წინათ,—ამბობს ამხ. ფ. მახარაძე,—ლენინგრადის მუშებმა ხელთ იგდეს ძალაუფლება და ამით გაანადგურეს ის, რისთვისაც ათეული წლების განმავლობაში იბრძოდა მთელი რუსეთის მშრომელი ხალხი. შემდეგ მუშათა კლასს ძვირათ დაუჯდა ამ გამარჯვების მოპოვებულ უფლების შენარჩუნება. მან ზღვა სისხლი დაღვარა იმ უამრავ მტრებთან ბრძოლაში, რომელნიც გარედან და შიგნიდან თავს ესხმოდენ ახალ პროლეტარულ ხელისუფლებას. იგი ამ ბრძოლიდან გამარჯვებული გამოვიდა. შემდეგ იწყება წლები, როცა პროლეტარიატს მოუხდა არა ბრძოლის, არამედ თავისი შემოქმედებითი უნარის გამოჩენა ახალი სოციალისტური მეურნეობის მშენებლობაში. აი ამ პერიოდში საბჭოთა ქვეყნების მშრომელმა ხალხებმა დაამტკიცეს, რომ მათი შემოქმედება დაუშრეტელია. არსად ქვეყნის სამეურნეო განვითარება არ წასულა ისეთი სწრაფი ტემპით, როგორც საბჭოთა რესპუბლიკაში. მუშათა კლასმა უკვე შექმნა მტკიცე საფუძველი ინდუსტრიალიზაციისათვის და ეხლა ქმნის საფუძველს სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციისათვის. ამ მუშაობას თან ახლავს ბევრი სიძნელე, ბევრი დაბრკოლება, მაგრამ მუშათა კლასის ენერგია, მისი გამოცდილება და მისი უდრეკი ნებისყოფა ადვილად გადალახავს ამ სიძნელეებს და შექმნის ნამდვილ სოციალისტურ მეურნეობას.

გაუმარჯოს სოციალიზმს, ვაშა ლენინგრადის მუშებს, რომლებმაც პირველათ აღმართეს სოციალისტური რევოლუციის დროშა. (ტაში).

ამხ. ვასილიევის სიტყვა

კავკ. წითელ დროშოვანი არმიის სახელით სიტყვას ამბობს ამხ. ვასილიევი,—წითელი არმიის ზრდა და მისი დავაჟკაცება ფეხდაფეხ მიჰყვებოდა ჩვენს საბჭოთა სახელმწიფოს ზრდასა დაგანმტკიცებას. წითელი არმია სრული შეგნებითა და სინდისით ასრულებდა საბჭოთა ხელისუფლების იმ დირექტივებს, რომელთაც ჩვენი ცხოვრების განვითარება გვიკარნახებდა. წითელი არმია დღეს ისეთივე მტკიცე და შეუდრეკელია, როგორც თვით საბჭოთა ხელისუფლება. დღეს იგი სავსებით დასრულებული და მომწიფებული სამხედრო ძალაა, რომელსაც შესწევს არა მარტო თვითონ დაიცვას საბჭოთა ხელისუფლება, არამედ უხელმძღვანელოს ფართო მშრომელთა მასებს თავისი ქვეყნის თავდაცვის საქმეში, ეს რომ ასეა, ამას, სხვათა შორის, მოწმობს თბილისში ჩატარებული პროფკავშირთა ლაშქრობა, რომელმაც ცხადჰყო ჩვენი მშრომელი მასების მზათ ყოფნა, მათი დისციპლინა და ბრძოლის უნარი. მეორე მხრივ ამავე ლაშქრობამ აშკარა გახადა მასების ურყევი კავშირი წითელ ჯართან, რომლის ხელმძღვანელები ამავე დროს მშრომელთა მასის ჩინებული ხელმძღვანელები გამოდგენ მშრომელი ხალხის სამხედრო გაწვრთნის საქმეში.

მხურვალე სალამი თბილისის პროლეტარიატის წარმომადგენლებს ოქტომბრის მე-11 წლის თავზე! (ტაში).

სხვადასხვა ორგანიზაციების წარმომადგენელთა მისალმებები

შემდეგ სიტყვებს ამბობენ პროფსაბჭოს თავმჯდომარე ამხ. ბაგრატ მახაიძე, პირველი ქართულ მსროლელთა დივიზიის პოლიტხელმძღვანელი ამხ. ზაიოზ დევდარიანი, კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. ჯავახიძე, ერევნის მუშების წარმომადგენელი—ოსაკიანი, რკ. გზის მუშათა ორგანიზაციების წარმომადგენელი ამხ. ს. დოლიძე, ინჟენერ-ტეხნიკოსთა ბიუროს წარმომადგენელი ინჟ. ა. ბაბოვი და სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა და პროფესორთა სახელით პროფ. შ. ნუცუბიძე.

საბჭოთა რესპუბლიკების რადიო-გამოძახილი

შემდეგ საბჭოს საზეიმო სხდომა რადიოთი ისმენს უკრაინის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის ამხ. ჩუბარის და ბელორუსიის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის თავმჯდომარის ამხ. ჩერვიაკოვის მისალმებებს.

ატმოსფერული მოვლენების გამო მისალმება გარკვევით არ ისმოდა.

ამხ. ჩერვიაკოვის სიტყვის დასრულების შემდეგ სიტყვა საბჭოთა კავშირის ხალხების სახელით მისასალმებლად ეძლევა ამხ. შ. ელიავას, რომელსაც პლენუმი მქუხარე ტაშის ცემით ეგებება.

ამხ. შ. ელიავას სიტყვა

ნება მიბოძეთ,—მიმართავს პლენუმს ამხ. ელიავა, თქვენი სახელით დღეს,—ოქტომბრის მე-11 წლის თავზე, პირველ ყოვლისა, მივესალმო ლენინის ქალაქის მუშებს, რომელთა ხელმძღვანელობით ჩვენი კავშირის ერებმა მოიპოვეს თავისუფლება და დამოუკიდებლობა. ამ 11 წლის წინათ ლენინგრადის მუშებმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ხელში აიღეს ძალაუფლება იმისათვის, რომ გარდაექმნათ ძველი ქვეყანა სოციალიზმის ქვეყნათ. 11 წლის წინათ, როცა ლენინგრადის მუშებმა იგდეს ქვეყნის მართვა გამგეობა, ჩვენი მტრები ამბობდნენ, რომ პროლეტარიატი და მისი პარტია ხელისუფლებას ვერ შეინარჩუნებენ, რომ ისინი ვერ შესძლებენ ცხოვრების ყველა საკითხების მოგვარებას, განვლილმა 11 წელმა დაამტკიცა, თუ როგორ ცდებოდნენ ჩვენი მტრები. მე-11 წლის თავზე პროლეტარიატი მტკიცედ სდგას ხელისუფლების სათავეში და იშვიათი გამჭრიახობით აწყობს ჩვენი ცხოვრების ყველა მხარეებს. მუშათა ხელისუფლებამ იხსნა ნგრევისა და რღვევისაგან ქვეყნის მეურნეობა და გახადა დიდი კავშირის ყველა ერები სოციალიზმის მშენებლებად. რუსეთის სახელოვანი მუშათა კლასის ხელიდან მოდის ყველა ხალხების თავისუფლება. დღეს ეს ხალხები არა მარტო თავისუფლად ცხოვრობენ, არამედ ქმნიან სოციალიზმს თავის ქვეყანაში. მე-11 წლის თავზე ჩვენ დავამთავრეთ დიდი კავშირის შენობის კედლების აგება და ეხლა ვიწყებთ საფუძველის ჩაყრას სოციალიზმისათვის, ჩვენ ვახდენთ ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციას, ჩვენი სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქციას კოლექტივიზმის საფუძველზე. ამის შემდეგ ჩვენ არ შეგვიძლია არ ვთქვათ, რომ ჩვენ მტრათ ვექცევით ჩვენი მტრებს.

ნება მიბოძეთ მივულოცო რუსეთის, უკრაინის და ბელორუსიის ერებს ჩვენი საერთო გამარჯვება ჩვენს მრავალრიცხოვან მტრებზე და ვუსურვო მათ თქვენი სახელით მხნეობა და ძალა სოციალისტური მეურნეობის შეუჩერებელი მშენებლობისათვის. (მქუხარე ტაში).

ამხ. შ. ელიავას სიტყვის დასასრულს,—პლენუმმა მიიღო რეზოლუცია, რის შემდეგ თბილისის საბჭოს დეპუტატებისა და მუშათა ორგანიზაციების წარმომადგენლებისათვის დაიდგა სახალხო რევოლუციონური პიესა: „ანზორ“.

პარასკევს, 9 ნოემბერს, საღამოს 6 საათზე ალმასკომის დარბაზში

შესდგება

საქ. კ. პ. (ბ) თბ. კომიტეტის პლენუმის გაგრძელება

თბილისის კომიტეტის წევრთა და კანდიდატთა, კომკავშირის თბილისის კომიტეტის წევრთა და რაიკომების წევრთა დასწრება სავალდებულო.

თბილისის კომიტეტის პრეზიდიუმი.

საქართველოს წითელი ჯვრის სამდღიური

მოწოდება

საქართველოს მუშებო, გლეხებო და პატიოსანო მოქალაქენო!

გამარჯვებულმა საბჭოთა ხელისუფლებამ თავისი არსებობის უკვე მეთერთმეტე წელიწადი გადალახა და რაც დრო გადის, მით უფრო დღე და დღე ძლიერდება და მტკიცდება იგი.

მაგრამ ჩვენ, როგორც ერთად ერთ პროლეტარულ სახელმწიფოს—ჯერ კიდევ მრავალი მტერი გვახვევია ირგვლივ, რომელთაც შეუძლიათ დაარღვიონ ჩვენი მშვიდობიანი, აღმშენებლობითი ცხოვრება. სწორედ ამიტომ ჩვენი ხელისუფლება მუდამ ფხიზლათა სდგას ჩაგვრისა და მონობისაგან განთავისუფლებულ მშრომელთა სამშობლოს სადარაჯოზე. იგი ყოველთვის მზად არის სასტიკი პასუხი გასცეს მთელის შეგნებითა და ძალღონით ყოველ ჩვენზე მოსულ მტერსა და მოშურნეს.

ასეთ განსაცდელის ჟამს-კი საჭირო არის განა მარტო მებრძოლნი, იარაღი და სხვა სამხედრო მოწყობილობა, არამედ საჭიროა ფართე საზოგადოებრივი ძალების თავგამოდებული და ორგანიზაციული დახმარება. სწორედ ასეთ შეკავშირებულ ძალას წარმოადგენს „წითელი ჯვრის საზოგადოება“, რომლის უმთავრეს დანიშნულებასაც შეადგენს, რომ დაუყოვნებლივ უანგარო დახმარება და მზრუნველობა გაუწიოს ბრძოლებში ჩაბმულ მუშებს და გლეხებს.

მაგრამ მხოლოდ საომარი ფრონტით არ განისაზღვრება საქართველოს წითელი ჯვრის მოვალეობა და მოღვაწეობა. მშვიდობიანობის დროსაც მრავალი ფრონტი აქვს მას გასამაგრებელი: მაგალითად—ბრძოლა სხვადასხვა სოციალურ სენებთან და მრავალ სავალალო მემკვიდრეობასთან, რომელნიც ნანდერძევია როგორც ძველი რეჟიმისაგან, ისე მსოფლიო და სამოქალაქო ომებისაგან. ყოველივე ეს მოითხოვს მისგან მუდმივ და მედგარ ბრძოლას.

თანამედროვე პოლიტიკურმა მდგომარეობამ კიდევ ახალი ამოცანები წამოაყენა საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების წინაშე. ეს არის მთელი რესპუბლიკის მოსახლეობის გახამხედროება პირველ საქმიო დახმარების აღმოსაჩენ წრეების შექმნით, რასაც საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოება ანდომებს დღეს თავის სამუშაო დროისა და ენერგიის უდიდეს ნაწილს.

საქართველოს წითელი ჯვარი შეძლებისდაგვარად სათანადოთ ემსახურება ამ ორმაგ ფრონტის მეტად გაძლიერებულ მოთხოვნილებას. იგი სცდილობს მზად იყოს მოსალოდნელი ომისათვის, ხოლო მშვიდობიანობის დროს იგი ებრძვის ჩვენში აღმოცენებულ სოციალურ სხვადასხვა ავადმყოფობას, გადამდებ სენსა და სტიქიურ უბედურების შედეგებს, რისთვისაც მას ესაჭიროება ფართო მასების თანაგრძნობა და მატერიალური დახმარება.

ამ მიზნით საქართველოს წითელმა ჯვარმა გადასწყვიტა ყოველწლიურად შემოიღოს „წითელი ჯვრის სამდღიური“, სახელდობრ 9.10 და 11 ნოემბერი“. ამ დღეების განმავლობაში იგი შეეცდება ფართე მასებს გააცნოს თავისი მიზანი და დანიშნულება, განუმარტოს და შეაგნებინოს ყველას წითელ ჯვრის უდიდესი დანიშნულება და ამგვარად იგი გადიქცეს ნამდვილ მასსიურ ორგანიზაციად.

ეგევე სამდღიური გამოყენებული იქნება წითელი ჯვრის ნივთიერ საშუალებათა გასაძლიერებლად.

საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოება მტკიცეთაა დარწმუნებული, რომ მშრომელთა ფართო წრეები ჩვეულებრივი მხურვალე თანაგრძნობით გამოეხმაურებიან წითელი ჯვრის სამდღიურს და პატიოსანი შრომით მონაგარ თავის წვლილს არ დაიშურებენ მისი მოღვაწეობის გასანაყოფიერებლად.

ამით ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი მიმართავს ყველა მშრომელთ, მუშებს და გლეხებს, ყველა პატიოსან მოქალაქეთ, ნუ დაიზარებენ თავისი წვლილის გაღებას, რათა წითელ ჯვარმა შეძლოს თავისი ამოცანის შესრულება.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების სამდღიურის რესპუბლიკანურ მთ. კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საბჭოების მომავალი არჩევნები

პროფკავშირების მონაწილეობა არჩევნებში

საქართველოს პროფკავშირთა საბჭომ ყველა პროფესიონალურ ორგანიზაციებს დაუგზავნა ცირკულიარული წერილი, რომელშიაც ნათქვამია:

ახლოვდება საბჭოების გადარჩევა. საბჭოები წარმოადგენენ პროლეტარიატის დიქტატურის ძირითად ორგანოს და ამიტომ მათ უდიდესი მნიშვნელობა აქვთ ყველა მშრომელთათვის და მათ კლასიურ ორგანიზაციებისათვის. მშრომელთა ინტერესებისათვის სამსახურის სათანადო გაწევა დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად სწორად მუშაობენ საბჭოები.

საბჭოები მხოლოდ მაშინ იმუშავებენ სწორად და შეუფერხებლად თუ თვით მშრომელები მიიღებენ უშუალო და აქტიურ მონაწილეობას მათ მუშაობაში, როდესაც საბჭოების აპარატი მასების კონტროლის ქვეშ იქნება და როდესაც თვით მშრომელები საბჭოების სექციების, პარტიისა და პროფკავშირების საშუალებით მოაწესრიგებენ და მიმართულებას მისცემენ საბჭოების მუშაობას.

საანგარიშო კამპანიამ უნდა გამოაშკარაოს, თუ რამდენად ასრულებდნენ საბჭოები თავის ამოცანებს, როგორ და რამდენად ახორციელებდნენ ისინი პროლეტარიატის დიქტატურას და რა კეთდებოდა საბჭოების მხრივ მშრომელთა უშუალო საჭიროებათა და მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად და მათი ყოფა-ცხოვრების პირობების გასაუმჯობესებლად.

ამიტომ საბჭოების საანგარიშო და საარჩევნო კამპანიას პროფკავშირებისა და მათში გაერთიანებულ წევრთათვის აქვს უდიდესი მნიშვნელობა.

ეს მნიშვნელობა განსაკუთრებით იზრდება სოფლისათვის, სადაც სოფლის პროლეტარიატი ჯერ კიდევ სუსტად არის წარმოდგენილი საბჭოებში და სადაც მისი ზეგავლენა სასოფლო და სათემო საბჭოების მუშაობაზე მეტად უმნიშვნელოა.

მიმდინარე საანგარიშო კამპანია და არჩევნები უნდა ჩატარდეს კავშირის ყველა წევრთა მონაწილეობის და საქმიანი კრიტიკის ნიშნის ქვეშ. კავშირებმა თავისი და თავის წევრთა მთელი ყურადღება უნდა მიაპყრონ ამ კამპანიაზე და ყველა ღონისძიება უნდა იხმარონ, რათა კამპანიას ექნეს მაქსიმალურად გაცხოველებული და აქტიური ხასიათი.

ს.პ.კ.ს. პრეზიდიუმი წინადადებას აძლევს ყველა პროფორგანიზაციებს აქტიური მონაწილეობა მიიღონ საბჭოების საანგარიშო და საარჩევნო კამპანიის როგორც მომზადებაში, ისე ჩატარებაში.

კამპანიას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს მიწა-ტყის მუშაკთა კავშირმა, რომელმაც უნდა უზრუნველჰყოს კამპანიაში მოჯამაგირეების, მწყემსების და საერთოდ სოფლის პროლეტარიატის მონაწილეობა და მათი ხვედრითი წონის გადიდება ახლად არჩეულ საბჭოების შემადგენლობაში.

კავშირებმა უნდა ჩაატარონ ფართო საგიტაციო კამპანია, რა მიზნითაც გამოყენებული უნდა იქნეს აგიტაციისა და პროპაგანდის ყველა საშუალებები (კლუბები, წითელი კუთხეები, კედლის გაზეთები და სხ.).

მისალმებები

ამიერ-კავკასიის ცაკს

უვადო შვებულებაში წასვლისას, ჩვენ, თქვენი შეფობის ქვეშ მყოფ კრეისერის „კომინტერნ“-ის წითელფლოტელნი გიძღვნით უკანასკნელ საომარ სალამს.

თქვენი კავშირი ჩვენთან და დახმარება სიმხნევეს გვინერგავდა სამხედრო მეცადინეობისა და გემის ბრძოლის უნარის გაძლიერების საქმეში.

ჩვენ შევასრულეთ ჩვენი რევოლიუციონური მოვალეობა პროლეტარულ სახელმწიფოს წინაშე და ვუბრუნდებით მშვიდობიან შრომას და სოციალიზმის მშენებლობას.

შეგვიძლია დაგარწმუნოთ, რომ თქვენი საშეფო კრეისერი სავსებით ბრძოლის უნარიანია და ის საიმედო ხელშია.

ვიმედოვნებთ, რომ თქვენი დახმარებით კრეისერი ძველებურად ფხიზლად იდგომება რევოლიუციონური საზღვრების სადარაჯოზე ყველა მშრომელთა განთავისუფლებისათვის და კულტურულ-პოლიტიკური დონის ამაღლებისათვის წარმოებულ ბრძოლაში.

კრეისერ „კომინტერნ“-ის საზეიმო სხდომის პრეზიდიუმი

ამხ. ფ. მახარაძეს

ლანჩხუთის რაიონის მასწავლებელთა მეთოდური კონფერენცია თქვენი სახით მხურვალე სალამს უძღვნის საქართველოს მუშურ-გლეხურ ხელისუფლებას და აღუთქვამს ენერგიულ თანამშრომლობას ქვეყნის კულტურულად და ეკონომიურად აყვავების საქმეში.

პრეზიდიუმი.

პროფკავშირების ყრილობები

მბეჭდავთა კავშირის მეშვიდე ყრილობა

კამათი ცენტრალურ გამგეობის მოხსენების გარშემო

გუშინ დილის და საღამოს სხდომებზე გრძელდებოდა კამათი ცენტრალური გამგეობის მოხსენების გარშემო. სულ ილაპარაკა 40-მდე ორატორმა, რომლებიც უმთავრესად ჩერდებოდნენ კავშირის მუშაობის უარყოფით მხარეებზე და ასახელებდნენ ისეთ საკითხებს, რომელთა მოგვარებასაც პირველ რიგში უნდა მიექცეს ყურადღება.

ამხ. **გრიგორიევი** და **მახიაშვილი** ჩერდებიან გამომუშავების ნორმებზე და აღნიშნავენ, რომ არსებული ნორმები ბევრგან არ შეეფერება იმ შესაძლებლობას, რაც შეუძლია მოგვცეს ერთმა მუშა-ხელმა. ასეთ პირობებში მუშები ძნელ პირობებში ვარდებიან და რაკ არ უნდა გააძლიერონ მათ შრომის ნაყოფიერება, ნორმების დაფარვა მაინც ძნელი ხდება.

მუშა **დიდმელაშვილი** ეხება კულტმუშაობის ამოცანებს და საბინაო საკითხს. იგი აღნიშნავს, რომ კულტმუშაობის ამოცანას უნდა შეადგენდეს ისიც, რომ მუშების შვილები მოწყობილ იქნენ სასწავლებლებში და სასწავლებლებში შესვლის შემდეგ მათ პროფკავშირის შემწეობით დაკლებულ ფასებში მიეცეთ სახელმძღვანელოები.

ამხ. **იურჩენკო** ეხება სარედაქციო მუშაკების მდგომარეობას და ამბობს, რომ მათი შრომის პირობების მოგვარებას კავშირი ნაკლებ ყურადღებას აქცევს. შრომის და გამომუშავების ნორმები ზუსტად არც სარედაქციო მუშაკებისათვისაა შემოღებული.

მუშა **კ. ზაქარიაძე** ეხება კონფლიქტების საკითხს და აღნიშნავს, რომ ხშირად, კონფლიქტები რამოდენიმე თვეობით ჭიანურდება. ასე მოხდა, მაგალითად „ზარია ვოსტოკა“-ს სტამბაში, სადაც მკინძავ ხაჩატუროვის კონფლიქტი 9 თვემდე გაგრძელდა.

ამხ. **გულუმიანი** საჭიროთ სთვლის, რომ სარედაქციო მუშაკები უფრო ფართოდ იქნენ ჩაბმული კულტმუშაობაში. ამ მხრივ, იგი საჭიროდ აღიარებს, რომ ადგილკომებმა მეტი ინიციატივა გამოიჩინონ და ყოველ ცალკე შემთხვევაში ისარგებლონ რედაქციებში თავმოყრილ ძალებით.

დასასრულ კამათში მონაწილეებს უპასუხა ამხ. **ა. ფანცულაიამ**, რის შემდეგაც ყრილობა გადავიდა პოლიგრაფიული ტრესტის მოხსენების მოსმენაზე.

პოლიგრაფიული მრეწველობა და მისი პერსპექტივები!

(ამხ. ტ. ხარაზიანის მოხსენება)

მიმდინარე წლის 1-ლი ოქტომბრისათვის თბილისში სულ ყოფილა 16 პოლიგრაფიული საწარმო, სადაც მუშაობს 1.457 კაცი, 1927—28 წელს თბილისის ყველა სტამბებს გამოუშვიათ 1.500.000 მანეთის პროდუქცია. მანქანების და მოწყობილობების მდგომარეობა თბილისის სტამბებში არაა დამაკმაყოფილებელი.

უახლოეს ხანში განზრახულია შემოღებულ იქნეს 7 საათის სამუშაო დღე 3 პოლიგრაფიულ წარმოებაში: ლიტოგრაფიაში და მე-5 სტამბაში და გაზ. „ზარია ვოსტოკა“-ს სტამბაში.

5 წლიანი პერსპექტიული გეგმით გათვალისწინებულია პროდუქციის გადიდება 25 პროც., თვითღირებულების შემცირება 20 პროც., სამუშაო ხელფასის გადიდება 30 პროც. და შრომის ნაყოფიერების გადიდება 53 პროცენტით.

ამხ. ხარაზიანის მოხსენებით დასრულდა მეშვიდე სხდომა.

მშენებელ მუშათა მეშვიდე ყრილობა

უკანასკნელი სხდომა

ყრილობის უკანასკნელ (მეთერთმეტე) სხდომაზე მოსმენილ იქნა რეზოლიუციები ყრილობაზე გაკეთებულ ყველა მოხსენებათა გარშემო. გარდა ამისა მიღებულ იქნა პრაქტიკული წინადადებანი მომავალი მუშაობის შესახებ და ნაკაზი კავშირის ახალი ცენტრალური გამგეობისადმი.

შემდეგ ყრილობა გადავიდა ახალი ცენტრალური გამგეობის არჩევნებზე. ცენტრალურ გამგეობაში არჩეულ იქნენ: ამხ. ფილიმონოვი, გურგენიძე და ფომიჩევი (აფხაზეთიდან), კოჭლამაზაშვილი, პართენაძე და მარკარიანი (აჭარისტანიდან), ზახტაძე, ლეჟავა და კაჭკაჭაშვილი (ქუთაისი), ქილიტაური (გორი), ხახანოვი (სამხ.-ოსეთი), მასხარაშვილი (შორაპნის მაზრა), ზახარიანი, ვაშკლევიჩი, სულთანიშვილი, ფარადაშვილი, ოგანოვი, ლ. შიშინაშვილი, მინასი, კალიტაძე, დონდუა, უნანოვი, მჭედლიშვილი და ქიტიაშვილი (თბილისიდან). კანდიდატებად არჩეულ იქნა 7 კაცი.

მშენებელთა საკავშირო ყრილობაზე გასაგზავნად არჩეულ იქნა 2 დელეგატი: ამხ. ლ. შიშინაშვილი და ზ. ზახარიანცი.

ყრილობის დახურვის წინ, დელეგატებს სიტყვით მიმართა ამხ. **ბ. მაჩაიძემ**, რომელმაც ჯამში გაუკეთა ყრილობის მუშაობას და აღნიშნა, რომ ყრილობის დადგენილებათა ცხოვრებაში გატარებით შესაძლებელი გახდება იაფი და სწრაფი მშენებლობის ლოზუნგის განხორციელება.

— რომ შევსძლოთ მშენებლობის სწრაფი ტემპით განვითარება და მისი გაიაფება, ამბობს ამხ. მაჩაიძე,—ამისათვის საჭირო იქნება კავშირის თვითეულმა წევრმა შეიგნოს მშენებლობის გაიაფების და დაჩქარების ლოზუნგის განხორციელების მთელი მნიშვნელობა და როგორც თვითკრიტიკას, ისე საწარმოო თათბირების საშუალებით იბრძოლოს ყველა იმათ წინააღმდეგ, ვინც აბრკოლებს ჩვენი მშენებლობის განვითარებას.

ამხ. მაჩაიძის შემდეგ სიტყვით გამოვიდა ამხ. შიშინაშვილი, რის შემდეგ ყრილობა დაიხურა.

მკერავთა კავშირის ყრილობა

გუშინდელ სხდომაზე ყრილობამ მოისმინა **დ. მახარაძის** მოხსენება საქ. საზ-ბა „მკერავი“-ს საქმიანობის შესახებ.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ უკანასკნელი წლის განმავლობაში ქუთაისში გაიხსნა სამკერვალო ფაბრიკა. თბილისში გაიხსნა მეორე სამკერვალო ფაბრიკა. ყველა ფაბრიკები მოწყობილია მეცნიერებისა და ტეხნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით. უკანასკნელი წლის განმავლობაში სამკერვალოს პროდუქციის ღირსება ძლიერ გაუმჯობესდა. საზ-ბა „მკერავი“ 1928—29 წ. მოსკოვიდან მიიღებს 1.700.000 მანეთის ფართალს.

მოხსენების გარშემო გაიმართა კამათი.

დასასრულ, ყრილობამ ცენტრალ გამგეობაში წევრებად აირჩია 15 კაცი, კანდიდატად 5. სარევიზიო კომისიაში არჩეულია 3 კაცი, კანდიდატად—2.

პროფ. სამოილოვიჩის ჩამოსვლის გამო

საქ. თავდაცვა-ავიაქიმის მიერ მიღებული ცნობით, „კრასინი“ და „მალიგინი“-ს ექსპედიციის მონაწილეთა ერთი ჯგუფი პროფ. **სამოილოვიჩის** და **სტრაუბეს** მეთაურობით თბილისში ჩამოვა მიმდინარე თვის 15-თვის.

შემდგარია კომისია, რომელსაც დავალებული აქვს საზეიმო შეხვედრის გეგმის შემუშავება და საპატიო სტუმრებისათვის თბილისის აღმშენებლობის გაცნობა.

პროფ. სამოილოვიჩი და ამხ. სტრაუბე თბილისში დაჰყოფენ რამოდენიმე დღეს. შემდეგ ისინი გაემგზავრებიან ბათომში.

თბილისში ყოფნის დროს პროფ. სამოილოვიჩი გააკეთებს ერთ საჯარო მოხსენებას „კრასინი“-ს ექსპედიციის შესახებ.

ა.-კ. პროფსაბჭოს პლენუმი

პარასკევს, 9 ნოემბერს, დილის 10 საათზე, ა.-კ. პროფსაბჭოს ბინაზე გაიხსნება ამიერკავკასიის პროფკავშირთა საბჭოს მეორე პლენუმი.

პლენუმის დღის წესრიგში დასმულია შემდეგი საკითხები:

ახალ კოლექტიურ ხელშეკრულებათა დადების კამპანიის შედეგები და პერსპექტივები და ხელფასის პერსპექტივები 1929 წლისათვის (მომხსენებელი ამხ. ოდილავაძე).

სახალხო მეურნეობის საკონტროლო ციფრები 1928—29 წლისათვის (ა.-კ. საგეგმო კომისიის მოხსენება და ა.-კ. პროფსაბჭოს თანამოხსენება).

სოციალური დაზღვევის ბიუჯეტი 1928—29 წლისათვის (მომხსენებელი ამხ. **ბანოვიჩი**).

საკლუბო მშენებლობის პერსპექტიული გეგმის შესახებ (მომხსენებელი **ხოჯამირიანი**).

პროფკავშირების მუშაობა მუშების დაწინაურების დარგში (მომხსენებელი ამხ. **ხარაბაძე**).

შვიდი საათის სამუშაო დღის შესახებ (ა.-კ. შრომის სახალხო კომისარიატის მოხსენება).

პროფკავშირების მონაწილეობა საბჭოების გადარჩევის კამპანიაში (ა.-კ. ცაკის მოხსენება).

მიმდინარე საქმეები.

ა.-კ. საბეითლო ინსტიტუტის გახსნა

8 ნოემბერს ერევანში იხსნება ამ.-კავკასიის საბეითლო ინსტიტუტი. ამის გამო ა.-კ. ცაკის პრეზიდიუმმა ა.-კ. ცაკის თავმჯდომარის ამხ. **მიხა ცხაკაიას** და ა.-კ. ცაკის მდივნის ამხ. **ა. დოლიძის** ხელმოწერით ინსტიტუტის საორგანიზაციო კომიტეტს ერევანში გაუგზავნა შემდეგი მისასალმებელი დეპეშა:

— 8 ნოემბერი, ამიერ-კავკასიის ტერიტორიაზე საბეითლო ინსტიტუტის გახსნის დღე, ღირსშესანიშნავი დღეა სომხეთის მშრომელთა და ამიერკავკასიაში მოსახლე ყველა ერების კულტურის და განათლების განვითარების ისტორიაში.

ამ დაუვიწყარ დღეს ჩვენი რესპუბლიკების მუშათა მასებს და ყველა მშრომელებს სიამაყით შეუძლიათ უცქირონ თავის პირმშო შვილს და გულწრფელად მიულოცონ ერთმანეთს კულტურის კიდევ ერთი კერის გახსნა, რომელიც მოამზადებს სპეციალისტებს ჩვენი სოფლის მეურნეობისათვის. ინსტიტუტის გახსნის საჭიროებას დიდი ხანია მწვავედ გრძნობდნენ ამიერ-კავკასიის ხალხები და მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს გახდა, დაბოლოს, შესაძლებელი მშრომელთა დიდი ხნის ოცნების განხორციელება. ვუსურვოთ ამიერ-კავკასიის საბეითლო ინსტიტუტს ერევანში, სომხეთის დამოუკიდებელ სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის დედა-ქალაქში, წარმატება მის უაღრესად ნაყოფიერ მუშაობაში.

დეე განამტკიცოს მან მეცნიერების და შრომის მჭიდრო კავშირი და სინათლე და ცოდნა შეიტანოს მშრომელთა მასებში.

ამხ. ფ. მახარაძის მისალმება

საქართველოს ცაკის თავმჯდომარემ ამხ. **ფ. მახარაძემ** სომხეთის მიწათმოქმედების სახალხო კომისარს ამხ. **ერზინკიანს** გაუგზავნა შემდეგი მისასალმებელი დეპეშა:

„მოგილოცავთ ამიერ-კავკასიის სავეტერინარო ინსტიტუტის—უმაღლესი სავეტერინარო ცოდნის პირველი კერის—გახსნას. ვწუხვარ, რომ პირადათ არ შემიძლია დავესწრო თქვენს ზეიმს. გადაეცით სალამი მასწავლებელთა შემადგენლობას და სტუდენტებს“.

ახალ კოლექტიურ ხელშეკრულებათა დადების კამპანია

საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმის უკანასკნელ სხდომაზე მოსმენილ იქნა ამხ. **ს. გოდაბრელიძის** მოხსენება ახალი კოლექტიურ ხელშეკრულებათა დადების შესახებ.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ პროფორგანიზაციები აღნიშნულ კამპანიას შეუდგნენ პირველი ნოემბრიდან; კამპანია დამთავრებული უნდა იქნეს 1-ლ იანვრისათვის.

ამ კამპანიის დროს გადაწყვეტილი უნდა იქნეს მთელი რიგი საკითხები, რომელთაც დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი სოციალისტური მეურნეობისა და მუშათა კლასის საარსებო პირობების გასაუმჯობესებლად. ამიტომ პროფორგანიზაციებმა ამ პერიოდის განმავლობაში მთელი თავისი ყურადღება უნდა შეაჩერონ ამ კამპანიაზე და ამით უნდა უზრუნველჰყონ მისი წარმატებით ჩატარება.

ახალი კოლექტიური ხელშეკრულებების დადების დროს საფუძვლად მიღებული უნდა იქნეს ძველი ხელშეკრულება; კოლხელშეკრულებებიდან ამოშლილი უნდა იქნას ის პუნქტები, რომლებიც შეტანილია შრომის კანონთა კოდექსში. ბუნდოვანი პუნქტები გამარტივებული და სისწორით ჩამოყალიბებული უნდა იქნეს. იმ დაწესებულებებში, სადაც გატარებულია ხელფასის სახელმწიფოებრივი მოწესრიგება, კოლხელშეკრულებათა მაგიერ დადებული უნდა იქნეს ცალკე სატარიფო შეთანხმებები.

კამპანიის დროს უარყოფილი უნდა იქნეს ხელფასის მექანიკურად გადიდების დაკავშირება შრომის ნაყოფიერებასთან. ჩვენში ამ მხრივ ყველაფერი რიგზე ვერ არის. ხელფასი გაიზარდა 7 პროცენტით, შრომის ნაყოფიერება კი დაეცა 3 პროცენტით, მაშინ, როდესაც საბჭოთა კავშირში ს.მ.უ.ს ცნობებით, შრომის ნაყოფიერება წელს წინ უსწრებს შრომის ხელფასის ზრდას.

ჩამორჩენილი ჯგუფებისათვის წამოყენებული უნდა იქნეს საკითხი ხელფასის მექანიკურად გადიდების შესახებ. საჭიროა ხელფასის გათანასწორება თვითეული წარმოების შიგნით. დაუშვებელია, რომ ერთ ცეხში ერთი თანრიგს ჰქონდეს 70—100 პროც. ზედმეტი გამომუშავება, მეორე ცეხში კი იმავე განაკვეთს 200 პროც.

სატარიფო რეფორმა დამთავრებული უნდა იქნეს ყველა კავშირებში, გარდა იმ კავშირებისა, სადაც რეფორმის გატარებას შეუძლია ხელფასის თვალსაჩინოთ გაუარესება. ხელფასის რეფორმის დანიშნულებაა სიჭრელის შემცირება შრომის ხელფასში და სწორი ურთიერთ დამოკიდებულების დამყარება ცალკე ჯგუფების ხელფას შორის.

დაახლოებული უნდა იქნეს კვალიფიციური და არაკვალიფიციური მუშების ხელფასი. შემცირებული უნდა იქნეს იმ პირების სია, რომელთა სამუშაო დროც არაა მოწესრიგებული.

ყურადღება უნდა მიექცეს აგრეთვე შრომის დაცვის საკითხებს; კავშირებმა უნდა მიიღონ ზომები, რომ გადიდებული იქნეს თანხები შრომის დაცვის საქმის გასაუმჯობესებლად. ამასთანავე საჭიროა, რომ მუშა-მოსამსახურეებს ავადმყოფობის ვადა გაუგრძელდეს 4 თვემდე. ინჟინერ-ტეხნიკოსთა მიმართ მიღებული უნდა იქნეს ზომები, რომ გაუმჯობესებული იქნეს მათი შრომის პირობები.

მოხსენების გამო პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო შემდეგი დადგენილება:

წინადადება მიეცეს ს.პ.კ.ს. სატარიფო-ეკონომიურ განყოფილებას მიმართოს ყველა პროფორგანიზაციებს სადირექტივო წერილით ახალი კოლექტიური ხელშეკრულებების დადების კამპანიის შესახებ.

მოწვეული იქნეს პროფსაბჭოს საქალაქო პლენუმი სამეურნეო ორგანიზაციების წარმომადგენლების მონაწილეობით, რომელზედაც განხილული იქნეს კამპანიასთან დაკავშირებული საკითხები.

მოწვეული იქნეს პროფკავშირების წარმომადგენელთა თათბირი სატარიფო რეფორმასთან დაკავშირებულ საკითხების განსახილველად.

უთხოვოს შრომის კომისარიატს კამპანიის ჩატარების დროს გააძლიეროს სატარიფო-საკონფლიქტო განყოფილების აპარატი.

მშრომელ ებრაელთა მიწათმოწყობა

საქართველოს ცაკთან ამხ. ს. ჯუღელის თავმჯდომარეობით შესდგა მშრომელ ებრაელთა მიწადმოწყობის კომიტეტის პირველი სხდომა, რომელზედაც მოსმენილი იქნა მშრომელ ებრაელთა მიწათმომწყობ საზოგადოების მოხსენება მის მიერ ჩატარებულ მუშაობის შესახებ.

კომიტეტმა დაადგინა უფრო დაწვრილებითი მოხსენება აღნიშნული საზოგადოების მუშაობის შესახებ მოსმენილ იქნეს დეკემბერში.

შემდეგ კომიტეტმა მოისმინა საქ. მიწადმოქმედების სახალხო კომისარის ამხ. ჯუღელის მოხსენება კახეთში გადასახლების საქმისათვის გამოყოფილ რაიონის შესახებ. მოხსენებიდან გამოირკვა, რომ კახეთში გადასახლების საქმისათვის გამოყოფილია 1050 ჰექტარი, რომელზედაც ამჟამად სწარმოებს წინასწარი მიწათმოწყ. და აგრონომიული მუშაობა. ამ მიწების დიდი ნაწილი გამოყენებული იქნება მშრომელ ებრაელთა დასასახლებლად.

კომიტეტმა მოიწონა მიწსახკომის მიერ მშრომელ ებრაელთა გადასასახლებლად მიღებული ღონისძიებები და გამოჰყო სპეციალური კომისია ამხ. ვ. სიხარულიძის, კაკიტელაშვილის, ლინეცკის, რომანიშვილის, ცაგარელის, კალატოზოვის და მარკმანის შემადგენლობით, რომელსაც დაევალა ერთი კვირის განმავლობაში დაამუშავოს შემდეგი საკითხები: გადასახლებულთა მეურნეობის ფორმების გამორკვევა, გადასახლებულთათვის საჭირო კრედიტების წყაროების გამონახვა, გადასახლებულთა კონტინგენტის გამორკვევა, გადასახლების საოპერაციო მუშაობის წარმოების წესის შემუშავება და გამორკვევა იმისა, თუ რა მონაწილეობას მიიღებენ ამ მუშაობაში დაინტერესებული ორგანიზაციები (მშრომელ ებრაელთა მიწადმომწყობი საზოგადოება, მიწსახკომი, წყალთა მეურნეობის სამმართველო, კოლექტიურ მეურნეობათა ცენტრი, სასოფლო-სამეურნეო ბანკი და სხვ.)

მეცნიერება და ტეხნიკა

დირიჟაბლით ევროპიდან ამერიკაში

(წერილი გერმანიიდან)

გერმანიის დირიჟაბლ „გრაფ ცეპელინ“-ის გადაფრენა ატლანტის ოკეანეზე დამთავრდა და დირიჟაბლი დაბრუნდა ევროპაში. გერმანიის ტეხნიკამ ახალი გამარჯვება მოიპოვა. როგორია ის დასკვნები, რომლებიც გამოტანილი უნდა იქნეს ამ გადაფრენის დასრულების შემდეგ. ეს დასკვნები ორგვარია. ერთის მხრივ გადაფრენამ დაამტკიცა, რომ შესაძლებელი და უშიშარია ტრანსატლანტიური მიმოსვლა დირიჟაბლით. მეორეს მხრივ გადაფრენა მოწმობს, რომ დირიჟაბლის მშენებლობის თანამედროვე პირობებში ცეპელინი გადაფრენის დროს არ არის დაზღვეული არც ნაწილების დაზიანებისაგან, არც ფრენის მიმართულების გაუთვალისწინებელი შეცვლისაგან და არც რამდენიმე საშიშ მომენტისაგან. ამრიგად, ჩქარი, რეგულიარული და საიმედო ტრანსატლანტიური მიმოსვლა საჰაერო გემებით ჯერ კიდევ მომავლის საქმეა. საჰაერო მიმოსვლა მეტოქეობას ვერ გაუწევს გემებით მიმოსვლას არა მარტო რეგულიარული მიმოსვლის თვალსაზრისით, არამედ სისწრაფეშიაც. მიუხედავათ იმისა, რომ დირიჟაბლის სისწრაფე თითქმის ორჯერ სჭარბობს განსაკუთრებით სწრაფლმავალი გემის სისწრაფეს ტრანსატლანტიური რეისი დირიჟაბლით, როგორც „გრაფ ცეპელინ“-ის მაგალითი გვიჩვენებს, (ცუდი მეტეოროლოგიური პირობების გამო, შეიძლება უფრო ხანგრძლივი გამოდგეს, ვიდრე გემის რეისი.

„გრაფ ცეპელინ“-ი ფრიდრიხსჰაფენიდან (ბოდენის ტბა) გაფრინდა 11 ოქტომბერს დილის 7 საათსა და 50 წუთზე. დირიჟაბლმა თან წაიღო 55 კუბიკური მეტრი საწვავი გაზი; სხვანაირად რომ ვთქვათ—დირიჟაბლის მესამედზე მეტი ნაწილი ეჭირა საწვავ გაზს. გარდა ამისა, დირიჟაბლმა წაიღო 15 ტონა ბენზინი, 3 ტონა ზეთი და, როგორც ბალასტი, 6 ტონი წყალი. საწვავი გაზის და ზეთის ეს რაოდენობა ნავარაუდევი იყო 125 საათი ფრენისათვის. თუმცა „გრაფ ცეპელინ“-ის გადაფრენა 112 საათს გაგრძელდა, მაგრამ ლეიკჰერსტში დაშვებისას დირიჟაბლზე კიდევ იყო იმდენი საწვავი გაზი, რომ ის საკმაო იქნებოდა 24 საათის ფრენისათვის. ეს მოწმობს საწვავი მასალის მეტად ზომიერ ხარჯვას.

დირიჟაბლზე იყო 63 კაცი. აქედან 43 კაცი დირიჟაბლის ეკიპაჟი და 20 მგზავრი. მგზავრებს შორის იყვნენ—პრუსიის შინაგან საქმეთა მინისტრი სოციალ-დემოკრატი **გრჟეზინსკი**, ამერიკის დირიჟაბლ „ლოს ანჟელოს“-ის კომანდირი ლეიტენანტი **როზენდალი** („ლოს ანჟელოს“-ი აგებულია გერმანიაში და 1924 წელს გადაეცა ჩრდ.-ამერ. შეერთ. შტატებს რეპარაციების ანგარიშში), ცეპელინების განთქმული მშენებლის სიძე **ბრანდენშტეინ-ცეპელინი**, რამდენიმე ამერიკელი კაპიტალისტი და, დასასრულ, სამი საგაზეთო ტრესტის —**ხერსტის** (ამერიკის), **გუგენბერგის** („შერლ“) და **ულშტეინის** (გერმანიის) წარმომადგენლები. ამ საგაზეთო ტრესტებმა — 115.000 დოლარად შეისყიდეს დირიჟაბლიდან ცნობებისა და ფოტოგრაფიების გადაცემის მონოპოლია. ეს გარემოება იყო ცნობების სიმცირის მიზეზი და მან გამოიწვია გერმანიის გაზეთების საყვედურები. ერთ ხანს ინფორმაცია გადაფრენის შესახებ იმდენად მცირე და ნაწყვეტ-ნაწყვეტი იყო, რომ გერმანიის საზოგადოებრივი აზრის შიში აღძრა დირიჟაბლის ბედიღბალის შესახებ.

მგზავრებისა და ეკიპაჟის გარდა ცეპელინმა თან წაიღო 66.000 წერილი და დიდძალი ტვირთი.

დირიჟაბლ „გრაფ ცეპელინ“-ის სიგრძე უდრის 236 მეტრს, ე. ი. ეს დირიჟაბლი უფრო გრძელია ყოველ ტრანსატლანტიურ გემზე; ხელსაყრელ პირობებში მისი ფრენის სისწრაფე აღწევს 200 კილომეტრს საათში. მაგრამ პრაქტიკულად დირიჟაბლის საშუალო სისწრაფე ბევრად არ აღემატებოდა 90 კილომეტრს საათში. სამგზავრო ოთახები მოწყობილია იშვიათი კომფორტით. საკმაოა ითქვას, რომ მგზავრებისათვის დირიჟაბლზე არის მდიდრულად მორთული და მოწყობილი კაიუტ-კამპანია, სასადილო დარბაზი, მშვენიერი დასაძინებელი კაბინები. მგზავრებს ეგონათ, რომ ძალიან მხიარულად გაატარებდნენ დროს. ამერიკელებმა თან წაიღეს რამდენიმე გრამოფონი და ფიქრობდნენ ცეკვა გაემართათ დირიჟაბლზე. მაგრამ ეს იმედები არ გამართლდა. თითქმის ყველა ავად გახდა „ჰაერის ავადმყოფობით“, რომელიც თითქმის მთელი ფრენის განმავლობაში გრძელდებოდა.

დაშვების დროს მეტეოროლოგიური ნიშნები ხელსაყრელი არ იყო. და მართლაც ევროპიდან გასვლისთანავე დირიჟაბლი მოექცა ძლიერი საწინააღმდეგო ქარების ზოლში, რის გამო იძულებული გახდა, გადაეხვია სამხრეთისაკენ და აერჩია აზორის კუნძულების მიმართულება. დირიჟაბლის გადაფრენის შესახებ მიღებული მცირე ცნობებიდან სჩანს, რომ თითქმის მთელ ატლანტის ოკეანეზე დირიჟაბლს მოუხდა ბრძოლა ძლიერ ქართან, რის გამო მისმა სისწრაფემ იკლო 40—50 კილომეტრამდე საათში. რათა თავი დაეღწია ქარისაგან, დირიჟაბლის უფროსმა კიდევ უფრო გადაუხვია სამხრეთისაკენ. მაგრამ ქარი ისევ ძლიერდებოდა და დააზიანა დირიჟაბლის მარცხენა სტაბილიზატორი, რამაც ერთგვარი შიში გამოიწვია დირიჟაბლზე. დირიჟაბლის უფროსმა სთხოვა ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთებული შტატების საზღვაო სამინისტროს კრეისერის გამოგზავნა დირიჟაბლის დასახმარებლად. მაგრამ შემდეგ ეს თხოვნა უკან წაიღო. მაგრამ ამერიკის სამხედრო გემები ჩარლსტონის ნავთსადგურში მაინც განუწყვეტლივ მზად იყვნენ დირიჟაბლის პირველ მოთხოვნისთანავე გასულიყვნენ ზღვაში. დაზიანება მსუბუქი აღმოჩნდა და ეკიპაჟმა ფრენის დროს შესძლო სტაბილიზატორის შეკეთება, უნდა ითქვას, რომ საფრთხე არც ერთ წუთს არ ყოფილა კატასტროფიული; საერთოდ, თუ მხედველობაში მივიღებთ „გრაფ ცეპელინ“-ის ტვირთზიდვის უნარს და მის სამოქმედო რადიუსს, განსაკუთრებული გარემოებაა საჭირო, რომ საფრთხე რეალური გახდეს ამ ტიპის დირიჟაბლისათვის. თვით მეტად სერიოზული დაზიანება: გარსის გახევა და ამასთან დაკავშირებით გაზის ნაწილის დაკარგვა, მართვის სისტემის დაზიანება, ექვსივე მოტორის გაჩერება,—ყოველივე ეს დიდ საფრთხეს არ წარმოადგენს დირიჟაბლისათვის თუ დირიჟაბლს შერჩა გაზის ძირითადი მარაგი, მას შეუძლია განუსაზღვრელი დრო იფრინოს ჰაერის ოკეანეში, სანამ არ იპოვის დასაშვებლად მოხერხებულ მოედანს. ყველაზე უფრო დიდი უსიამოვნება, რომელიც შეიძლება შეხვდეს მგზავრებს და ეკიპაჟს, ეს იქნება რამდენიმე დღეღამის განმავლობაში ქარის ნებაზე ფრენა.

დირიჟაბლი გასცდა ბერმუდის მარჯვივ კუნძულებს და რამდენიმე საათის შემდეგ გამოჩნდა სამხრეთ კაროლინის შტატის ნაპირებთან. აქ დირიჟაბლმა ჩრდილოეთისაკენ იბრუნა პირი და ნაპირის გასწვრივ გაემართა გადაფრენის საბოლოო პუნქტისაკენ—ლეიკჰერსტის (ნიუ-ჯერსის შტატი) აეროდრომისაკენ. ნიუ-იორკის თავზე დირიჟაბლის გამოჩენას აღტაცებული ტაშით შეეგება ქუჩებში და სახლების სახურავებზე გამოფენილი დიდძალი ხალხი. დირიჟაბლი გასცდა ნიუ-იორკს და 15 ოქტომბერს, საღამოს 5 საათსა და 38 წუთზე დაეშვა ლეიკჰერსტის აეროდრომზე. ამრიგად „გრაფ ცეპელინ“-მა ჰაერში დაჰყო 112 საათი და გაიარა 9.926 კილომეტრი.

ა.ვ—ლი.

ბერლინი, 20 ოქტომბერი 1928 წ.

პოლონელი მეცნიერი საბჭოთა კავშირის შესახებ

„კურიერ პორანნი“-მ გამოაქვეყნა საუბარი ვარშავის უნივერსიტეტის პროფესორ კონსტანტინ იანიცკისთან, რომელიც რამდენიმე თვის განმავლობაში სარატოვის ბიოლოგიურ სადგურში მუშაობდა. იანიცკი აღნიშნავს, რომ სარატოვის სადგური სავსებით აკმაყოფილებს თანამედროვე სამეცნიერო მოთხოვნილებებს. საბჭოთა კავშირში მიღებული შთაბეჭდილებების შესახებ იანიცკიმ შემდეგი სთქვა:

„საბჭოთა კავშირში მე შესანიშნავი პირობები შემიქმნეს მუშაობისათვის. მიუხედავათ იმისა, რომ საბჭოთა პრესაში მტრული კამპანია სწარმოებს პოლონელების (**იგულისხმება პოლონელ პანებისა და ფაშისტების—რედ.**) წინააღმდეგ, მე არ განმიცდია არავითარი მტრული დამოკიდებულება საბჭოთა კავშირში ყოფნის დროს. ეს შეიძლება იმის შედეგი იყოს, რომ მე, როგორც მეცნიერების მუშაკი, საბჭოთა მთავრობის მფარველობაში ვიმყოფებოდი.

ახალგაზრდობაში მე შევნიშნე უდიდესი ინტერესი მეცნიერებისადმი. უმაღლეს სასწავლებლებში სტუდენტებს იღებენ საკონკურსო გამოცდებით და არა სიმწიფის მოწმობის მიხედვით, როგორც ჩვენშია. ახალგაზრდობა გამოცდებისათვის ემზადება ზაფხულში, რაც დადებითი გავლენას ახდენს მუშაობის ინტენსივობაზე. კონკურსის დროს მხედველობაში იღებენ სოციალ-პოლიტიკურ მონეტებს: პირველ რიგში იღებენ გლეხებისა და მუშების შვილებს და აგრეთვე იმ პირების შვილებს, რომლებიც მეფის დროს დევნას განიცდიდნენ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პროფესორებისა და საერთოდ სამეცნიერო მუშაკების შვილები ამ მხრივ უპირატესობით სარგებლობენ.

საბჭოთა კავშირში შევნიშნე აგრეთვე სამეცნიერო საქმიანობის დახმარების ძლიერი ტენდენცია. რადგან ამ ტენდენციაში მოსჩანს ლტოლვა ისეთი პრობლემებისაკენ, რომელთაც გამოყენება აქვთ საზოგადოებრივი ცხოვრების პროგრესში, ეს ტენდენცია მასებშიც ვრცელდება.

მე ხაზი უნდა გაუსვა აგრეთვე სამეცნიერო საქმიანობის დიდ მასშტაბსა და ენერგიას. მე მოვიყვან ერთ მაგალითს: 1921-22 წ. სამოქალაქო ომის დროს, ნგრევისა და სიმშილობის დროს, სარატოვში მოეწყო ინსტიტუტი, რომლის ამოცანას შეადგენდა ბრძოლა შავ ჭირთან, რომელიც ვოლგის ქალაქებს ემუქრებოდა. ეს ინსტიტუტი მოეწყო მხოლოდ და მხოლოდ სახელმწიფო ხარჯზე, მსოფლიო ფილანტროპიულ საზოგადოებათა დაუხმარებლად. აპარატები, რომელთა შემოტანა არ შეიძლებოდა უცხოეთიდან, დამზადებულ იქნა ადგილობრივ დახელოვნებულ მექანიკოსების მიერ, საკუთარი საშუალებებით. იმ ფაქტს, რომ ეს ინსტიტუტი მოეწყო საშინელი ეკონომიური კრიზისის დროს, არ შეიძლება ღრმა პატივისცემის გრძნობა არ გამოეწვიოს ჩვენში.

მე არ შემიძლია არ აღვნიშნო აგრეთვე, რომ მთავრობის წრეები მხარს უჭერენ და ეხმარებიან დიდი მასშტაბის სამეცნიერო საქმიანობას. ასეთ საქმიანობათა ჯგუფს, ეჭვს გარეშეა, ეკუთვნის რუს და გერმანელ მეცნიერთა თანამშრომლობა პამირის შესწავლაში.

სამხედრო ტეხნიკა

ჯავშნოსანი „ა“

როგორც მკითხველებმა იციან, გერმანიის სამხედრო სამინისტრო მენშევიკების ლოცვა-კურთხევით შეუდგა ახალი ჯავშნოსანის აგებას.

ახალი ჯავშნოსანი „ა“ აგებული იქნება სამხედრო-საზღვაო ტეხნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით და მძლავრ საომარ ერთეულს წარმოადგენს. საკმაოა აღვნიშნოთ, რომ სამხედრო გემების მშენებლობის ახალი მეთოდების გამოყენების წყალობით ჯავშნოსანი „ა“ 20 პროცენტით უფრო მსუბუქი იქნება, ვიდრე ასეთივე სიდიდის და წყალწყვის გემი.

ამის გამო ახალ ჯავშნოსანზე დადგმული იქნება უფრო მძლავრი მამოძრავებელი მანქანები და გემი შესძლებს მეტი სამხედრო მასალების წაღებას. ჯავშნოსან „ა“-ზე დადგმული იქნება ექვსი 28 სანტიმეტრ. ზარბაზანი, რომელთა ყუმბარებს შეუძლია ყოველი თანამედროვე კრეისერის ჩაძირვა. მტრის ყუმბარებისგან ჯავშნოსანი დაცულია სქელი ჯავშნით.

გერმანიის სამხედრო-საზღვაო სპეციალისტთა წრეებში ამტკიცებენ, რომ ჯავშნოსანი „ა“ და შემდეგ „ბ“, „ც“ და „დ“, რომლებიც მომავალში იქნება აგებული, თავისი ღირსებით დაიკავებენ ერთ უპირველეს ადგილს თანამედროვე სამხედრო გემებს შორის

ინგლისის ახალი სამხედრო აეროპლანი

ინგლისის ავიაციის სამინისტრო საჰაერო თავდასხმის მომგერიებელ სხვადასხვა ტიპის აეროპლანების ერთმანეთთან შედარების შემდეგ შეჩერდა ერთ ადგილიან განმანადგურებელ „ბულდოგ“-ზე, რომელზედაც დადგმულია 420 ძალიანი „იუპიტერ“-ის მოტორი. ახალი განმანადგურებლის თავისებურობა წარმოადგენს მისი არაჩვეულებრივად პატარა ზომა, დიდი სისწრაფე და ერთბაშად დიდი სიმაღლის აღების უნარი. „ბულდოგი“ იმდენად პატარა ზომისაა, რომ მისთვის მფრინავებათ არჩევენ განსაკუთრებით პატარა წონის კაცებს. მისი სისწრაფე აღწევს 350—400 კილომეტრს საათში. საცდელი გაფრენის დროს „ბულდოგ“-მა ნახევარი საათის განმავლობაში მიაღწია 9 კილომეტრის სიმაღლეს, რაც წარმოუდგენელია სხვა აეროპლანებისათვის. ორიგინალურია „ბულდოგების“ ტაქტიკა საჰაერო თავდაცვის დროს. მტრის სამხედრო აეროპლანების მოახლოვების დროს „ბულდოგების“ გუნდი სწრაფად მიეშურება მათ შესახვედრად და ტყვიისმფრქვეველების ცეცხლით სპობს მას. დიდი აეროპლანებისათვის ძნელია „ბულდოგებთან“ ბრძოლა.

ავიაციის 20 წლის იუბილე

1908 წ. დამლევი უნდა ჩაითვალოს თანამედროვე ავიაციის დასაწყისად ევროპაში. ამრიგად მიმდინარე წელს ოცი წელი უსრულდება ტეხნიკის იმ დარგს, რომელიც ასე განსაცვიფრებლად განვითარდა ჩვენ თვალწინ.



ფარმანის ბიპლანი

განსაკუთრებულ შედეგებს მიაღწია ავიაციამ 1908 წ. ოქტომბერში. სახელდობრ, 1908 წ. 2 ოქტომბერს ფრანგმა ავიატორმა **ფარმანმა** თავის ბიპლანით (ორფრთიანი აეროპლანით) ჰაერში დაჰყო 44 წუთი და 32 წამი. მაყურებელთა აღტაცებას ბოლო არ უჩნდა. თანამედროვე მკითხველისათვის ყველაზე შესანიშნავია ეს „32“ წამი. იმ დროს წამებიც კი ანგარიშში შედიოდა.

ამის შემდეგ გავიდა 4 კვირა და ავიაციამ მოიპოვა ახალი მნიშვნელოვანი გამარჯვება. 1908 წ. 30 ოქტომბერს ფარმანი გადაფრინდა ქალაქიდან ქალაქში: აფრინდა **ლუვიერსში** და 17 წუთის შემდეგ **რეიმსში** იყო, 27 კილომეტრის მანძილზე. ფარმანის ამ გადაფრენამ უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა არა მარტო საფრანგეთში, არამედ მთელ ევროპაში.

ფრანგ ავიატორების ეს მიღწევები იყო შედეგი მათი მეტოქეობისა ამერიკელ **რაიტთან**, რომელმაც 1903 წ. აეროპლანით ჰაერში დაჰყო 59 წამი. ერთი წლის შემდეგ ძმ. რაიტები უკვე ახერხებენ ფრენას 4 წუთისა და 52 წამის განმავლობაში. 1905 წ. რაიტმა ახალ შედეგებს მიაღწია: მისი გაფრენა გრძელდება 38 წუთი და იგი ახერხებს 39 კილომეტრის გავლას ამ ხნის განმავლობაში.



ძმებ რაიტების აეროპლანი

1908 წ. აგვისტოში რაიტი ჩავიდა საფრანგეთში. აქ ის ამყარებს მთელ რიგ რეკორდებს. განსაკუთრებით შესანიშნავი იყო 31 ოქტომბრის რეკორდი, როცა რაიტმა ჰაერში დაჰყო 2 ს. 20 წუთი და 23 წამი და გაიარა 124,7 კილომეტრი. ეს რეკორდი დასძლია მხოლოდ შემდეგ წელში (1909 წ. 3 ნოემბერს) იმავე ფარმანმა, რომელმაც ჰაერში დაჰყო 4 ს. 17 წუთი და 53 წამი და გაიარა 234 კილომეტრი. ეს იყო **ბლერიოს** გადაფრენის შემდეგ ლამანშზე (1909 წ. 25 ივლისს), რამაც მაშინ მსოფლიო ყურადღება მიიპყრო.

ასეთი იყო ავიაციის პირველი ნაბიჯები.

საჰაერო ტალღათმკვეთი

ნიუ-ჯერსეის (შეერთებული შტატებია) ქალაქის თვითმმართველობა ძლიერ შეფიქრიანებული იყო იმ გარემოებით, რომ ზღვის ტალღები თანდათანობით აგრევდენ მთელ შეერთებულ შტატებში პოპულიარულ პლიაჟს (საბანაო ადგილს), რომელიც ყოველ წლობით ათეულ ათას კაცს იზიდავდა. ნიუ-ჯერსეის ყურეს თავისებური მდებარეობის გამო, ატლანტიის ოკეანეს ტალღები პირდაპირ ნიუ ჯერსეის სილიან ნაპირს ეხეთქებიან და აშავებენ მას. მიმდინარე წელს ქალაქის თვითმმართველობამ ინჟ. **ბრაშერის** წინადადებით საბანაო ადგილის გასწვრივ მოაწყო ორიგინალური ტალღათმკვეთი. ჩვეულებრივ ბეტონის ჯებირების მაგიერ, რომელთა აგება ძლიერ ძვირი ჯდება, ზღვაში, რამდენიმე ათეული საჟენის მანძილზე ნაპირიდან, გაყვანილია მილი, რომელშიც ნაპირიდან დენიან შეკუმშულ ჰაერს. მილს გარშემო გაკეთებული აქვს პატარა ნახვრეტები, საიდანაც განუწყვეტლივ გამოდის შეკუმშული ჰაერი. ეს ჰაერის „კედელი“ დამამშვიდებელ გავლენას ახდენს ძლიერ ღელვაზედაც კი. მნახველთა სიტყვით, ნიუ-ჯერსეის ყურე განსაცვიფრებელ სურათს წარმოადგენს ძლიერი ღელვის დროს, როცა გარშემო მოგორავენ რამდენიმე მეტრის სიმაღლე ტალღები, პატარა ყურე კი, ტალღათმკვეთის გარშემო, დამშვიდებულია, როგორც წყნარ ამინდში. ტალღათმკვეთის სისტემა მოქმედობს მხოლოდ ღელვის დროს. ეს, რასაკვირველია, მეტად ხელსაყრელია ეკონომიურად. სპეციალისტების გამოანგარიშებით, ტალღათმკვეთის მოწყობა და მისი ექსპლოატაცია 50 პროცენტით იაფი ჯდება, ვიდრე ჯებირების გაყვანა და მისი მოვლა.

გადატრიალება სატელეფონო საქმეში

თუ დავუჯერებთ ამერიკულ გაზეთებს, **ბელლის** ცნობილმა სატელეფონო კამპანიამ (ამერიკაში) გააკეთა აღმოჩენა, რომელმაც გადატრიალება უნდა მოახდინოს სატელეფონო საქმეში. ამ კამპანიის ინჟენერებმა აღმოაჩინეს ნადნობი (сплав), რომელიც რამდენიმეჯერ უფრო უკეთ ატარებს ელექტრიობას, ვიდრე სპილენძი, რომლიდანაც ჩვეულებრივ მზადდება მავთული. თუმცა ოქრო და ვერცხლი უკეთ ატარებენ ელექტრობას, ვიდრე სპილენძი, მაგრამ ამ ლითონების სიძვირის გამო მათგან მავთულებს იშვიათად ამზადებენ. ამერიკული გაზეთების ცნობით, ახალი ნადნობის ელექტროგამტარობა რამდენიმეჯერ აღემატება ვერცხლისა და ოქროს ელექტროგამტარობას. ნადნობის შემადგენლობას საიდუმლოდ ინახავენ. ბელლის კამპანიის ინჟენერების გამოანგარიშებით ახალი ნადნობიდან დამზადებული მავთულით თავისუფლად შეიძლება სატელეფონო კავშირის დამყარება ევროპასა და ამერიკას შუა.

„კრასინი“ ახალი ექსპედიციისათვის ემზადება

პროფ. **სამოილოვიჩმა** პრესის წარმომადგენლებს განუცხადა, რომ მთავრობის კომისიამ დაამტკიცა გეგმა „კრასინი“-ს ახალი არქტიული ექსპედიციისა ჩრდილოეთის მიწის გამოსაკვლევად. ექსპედიცია შესდგება 1929 წ. გაზაფხულზე. ექსპედიცია პირველ რიგში მიზნათ ისახავს ჩრდილოეთის მიწის სრულიად უცნობ დასავლეთის სანაპიროების შესწავლას. „კრასინი“-ს მოტორები გადაკეთებული იქნება ნავთით სამუშაოთ, რაც საშუალებას მისცემს გემს უფრო დიდხანს დაჰყოს ექსპედიციაში. „კრასინზე“ იქნება ორი აეროპლანი. ექსპედიციას თან მიჰყვებიან მფრინავები **ჩუხნოვსკი** და **ბაბუშკინი.**

ქრონიკა

ამხ. გ. ყურულიშვილის დაბრუნება

მოსკოვიდან დაბრუნდა და თავის მოვალეობის შესრულებას შეუდგა ს. მ. უ. საბჭოს თავმჯდომარე ამხ. გ. ყურულიშვილი.

30 მოგება

სახელმწიფო ბანკის თბილისის კანტორამ გუშინდლამდე გასცა გლეხის მეურნეობის გამტკიცების სესხის უკანასკნელი ტირაჟის 30 მოგება. მოგებათა გაცემა გრძელდება.

„ბავშთა მეგობრების“ საზ-ბაში

თბილისის „ბავშთა მეგობრები“-ს საზ-ბის წევრთა რაოდენობა ამჟამად უდრის 12.000 კაცს. 1927 წლის 1 აპრილიდან მიმდინარე წლის 1 მაისამდე საზ-ბას შემოუვიდა: ლატარიიდან—18.984 მ., სამდღიურიდან—7.298 მ., საწევრო გადასახადის საშუალებით—2.835 მ. და სხვადასხვა ორგანიზაციებისაგან — 13.560 მ. ამავე ხნის განმავლობაში თბ. აღმასკომმა საზ-ბას დახმარების სახით მისცა 24.118 მანეთი.

თბილისის უნივერსიტეტის ახალი გამოცემანი

რედაქციამ მიიღო თბ. უნ-ტის შემდეგი ახალი გამოცემანი: **ივ. ჯავახიშვილის**—ქართული სამართლის ისტორია I და II წიგნი. **გ. გებტმანის**—სოფლის მეურნეობის ეკონომიკა გამოცემა მეორე; **კრიუკოვის**—თვალის სნეულებათა სახელმძღვანელო I ნაწ. (ვ. მუსხელიშვილის რედაქციით); **ვლ. ცეცხლაძის**—ადამიანის ფიზიოლოგია. გამოცემა მეორე.

გლეხის სახლი ფოთში

ფოთის გლეხკომი ამ დღეებში ფოთში გახსნის გლეხის სახლს. უკვე გახსნილია ამხ. ქ. ხომერიკის სახელობის საინვალიდო სახლი.

თბილისის აღმასკომში

◆ **კბილის საექიმო კაბინეტი.** ჯანმრთელობის განყოფილებამ გადასწყვიტა ზემოავჭალაში მოაწყოს კბილის საექიმო კაბინეტი.

◆ **სასაკლაოსთან საუტილიზაციო ქარხნის** მოსაწყობად თბ. აღმასკომმა გადასდო 40.000 მ.

სხვადასხვა

◆ **საბავშო სანატორიუმები.** ჯანმრთელობის კომისარიატმა გადასწყვიტა ქობულეთში და აბასთუმანში მოაწყოს საბავშო სანატორიუმი.

◆ **საექიმო რაზმები.** წითელ ჯვარის საზ-ბამ გადასწყვიტა თბილისის მაზრაში მოაწყოს 50 საექიმო რაზმი.

ხელოვნების ქრონიკა

მოზარდ მაყურებელთა თეატრი

მოზარდ მაყურებელთა სახელმწიფო თეატრთან პედაგოგიურ საბჭოს ჩამოსაყალიბებლად 2 ნოემბერს შესდგა ყველა სკოლების მასწავლებელთა წარმომადგენლების საორგანიზაციო კრება.

კრებაზე ამხ. ე. პოლუმორდვინოვმა გააკეთა მოკლე ინფორმაციული მოხსენება და დამსწრეთ გააცნო თეატრის მნიშვნელობა და ის როლი, რომელიც უნდა შეასრულოს პედაგოგიურმა საბჭომ თეატრის მუშაობაში. თეატრთან არსებულ პედაგოგიურმა საბჭომ უნდა აწარმოოს დაკვირვება იმის გამოსარკვევად, თუ რომელი წარმოდგენა როგორ შთაბეჭდილებას ახდენს ბავშვებზე, რა უფრო მოსწონთ მათ და სხ.

შემდეგ კრებაზე არჩეული იქნა საბჭოს ბიურო 7 კაცის შემადგენლობით.

რუსთაველის თეატრის მეორე პრემიერა

◆ **18 ნოემბერს** რუსთაველის თეატრში დაიდგმება მეორე პრემიერა: **„ხოჭოების დოლი“**—ბოზიკას კომედია, რომლის სიუჟეტი აღებულია ქართველ ემიგრანტთა ცხოვრებიდან. დადგმა ალ. ახმეტელის და ქ. პატარიძის. დეკორატიული გაფორმება ირ. გამრეკელის. მუსიკალური ილიუსტრაცია: ი. გოკიელის.

მთავარ როლებში: **სახ. არტ. ნ. გოცირიძე, ნ. დავითაშვილი, ნ. ჯავახიშვილი, ნ. ვ. მესხიშვილი, გიორგი დავითაშვილი, აკაკი ვასაძე, პლ. კორიშელი, ბ. შავიშვილი, მ. აფხაიძე** და სხვა. პიესა წავა მეორე სააბონემენტო წარმოდგენად.

— **ახალი წიგნი.** გამოვიდა და იყიდება „ახალი ალთქმა“ დემიან ბედნის თქმა ს. თოდრიას თარგმანი. წიგნი სუფთად არის გამოცემული. შეიცავს 74 გვერდს და ღირს 50 კაპ.

საქართველოს მუზეუმში

სამეცნიერო და სახელოვნო დაწესებულებების მთავარმმართველობის სამეცნიერო ქვეგანყოფილების გამგემ **ვ. ბერიძემ** სახელმწიფო მუზეუმის შესახებ ჩვენი გაზეთის თანამშრომელს აცნობა შემდეგი:

ამ დღეებში სავსებით დამთავრდება საქართველოს მუზეუმის შენობა და მისი მოწყობა. ამ შენობის აგება დაიწყო იმპერიალისტურ ომამდე ისლამურ სტილის მიხედვით. მუზეუმის ფასადი წარმოადგენდა არდებილის მეჩეთის ასლს, რის გამო მთელი შენობა იმგვარად იყო აგებული, რომ შეუძლებელი ხდებოდა მასში მუზეუმის მოწყობა თანამედროვე მეცნიერული მოთხოვნილებების მიხედვით. ამიტომ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ გადაწყდა შენობის როგორც დარბაზების გადაკეთება, ისე ფასადის შეცვლა.

გასულ წელს არქიტექტორმა **სევეროვმა** შეადგინა შესაფერი პროექტი, რომელიც მოიწონა საქართველოს სახალხო კომისართა საბჭომ და სპეციალურმა სამხატვრო კომისიამ.

პროექტის მიხედვით შენობას, კერძოთ ფასადს, უნდა ჰქონოდა სამოქალაქო-ქართული სტილი და ხასიათი. პროექტთან ერთად ხარჯთაღრიცხვის დამტკიცების შემდეგ დაიწყო შენობის გაკეთება.

შენობის ფასადის გადაკეთება უკვე სავსებით დამთავრებულია. ფასადი ნაწილობრივ დაფარულია ძეგამის თლილი ქვით, რომელიც საუკეთესო ღირსებისაა. ძეგამის ქვა პირველ ხანებში რბილია, მაგრამ რაც დრო გადის მაგრდება და ამასთანავე უცვლელად ინახავს სახეს.

ამჟამად სწარმოებს შენობის დარბაზების გადაკეთება-მოწყობა, რაც ახლო ხანში დამთავრდება. მუზეუმს ექნება 6 დიდი და 6 საშუალო ზომის დარბაზი. დიდი დარბაზების სივრცე უდრის 300 კვ. მეტრს. მესამე სართულის დარბაზებს ექნება ორ-ორი იარუსი გარდა ამისა მუზეუმს ექნება 30—40 ოთახი პატარა განყოფილებებისათვის, ლაბორატორიებისათვის, შესაფერ სახელოსნოებისათვის, წიგნთსაცავებისა და სხვა დამხმარე დაწესებულებებისათვის.

თავდაპირველად განზრახული იყო ამ შენობაში მუზეუმს გარდა მოეთავსებინათ საჯარო ბიბლიოთეკაც, მაგრამ შემდეგში ეს გეგმა შეიცვალა.

გეგმის შეცვლა გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ თბილისში თავი მოიყარა მდიდარმა სამუზეუმო კოლექციებმა. თბილისში კოლექციების დაგროვება გამოიწვია იმან, რომ რუსეთიდან ჩამოტანილ იქნა სხვადასხვა დროს საქართველოდან გატანილი ისტორიული მნიშვნელობის მასალები და ნივთები. გარდა ამისა მონასტრებიდან და ეკლესიებიდან შეგროვილი იქნა ჰქედვითი ხელოვნების ნიმუშები და სხვა ნივთები. ამას უნდა დაუმატოთ აგრეთვე ის მუზეუმები, რომლებიც წინეთ კერძო ორგანიზაციების ხელში იყო და რომლებიც ამჟამად სახელმწიფოს განკარგულებაშია.

სამუზეუმო კოლექციების დაგროვების გამო, უარყოფილ იქნა იმავე შენობაში საჯარო ბიბლიოთეკის მოთავსების გეგმა და გადაწყდა, რომ დამთავრებულ შენობაში მოთავსებული ყოფილიყო მხოლოდ მუზეუმი.

მუზეუმს ექნება შემდეგი განყოფილებები: ზოოლოგიური, ბოტანიკური, გეოლოგიური, ისტორიული, არქეოლოგიური, ნუმიზმატიკური ხელოვნების და სხვა.

სამეცნიერო და სახელოვნო დაწესებულებების მთავარმმართველობას გადაწყვეტილი აქვს მოახდინოს სამუზეუმო ფონდების ცენტრალიზაცია და მაზრებში გაფანტული ისტორიული მნიშვნელობის ძეგლებს თავი მოუყაროს სახელმწიფო მუზეუმებში.

იმას გარდა მთავარი ყურადღება მიექცევა იმ გარემოებას, რომ მუზეუმი არ წარმოადგენს მარტოოდენ ძვირფას ნივთების საწყობს და მას ექნეს მჭიდრო კავშირი ფართო მასებთან. ამ მიზნით ექსპონატები დალაგებული იქნება იმ წესით, რომ მნახველს საშუალება მიეცეს ადვილად გაერკვეს მის მნიშვნელობაში.

შენობის გადასაკეთებლად სახალხო კომისართა საბჭომ გაიღო 350.000 მანეთი. დარბაზების მოსაწყობათ სახალხო კომისართა საბჭომ დამატებით გადასდო 50.000 მანეთი.

მუზეუმის საზეიმო გახსნა განზრახულია საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 8 წლის თავზე 1929 წლის თებერვალში.

ყველის მომარაგება

ამიერ-კავკ. სახ. კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოს ცნობით, ყველის დამამზადებელ ორგანიზაციებს ამჟამად დამზადებული აქვთ 14.300 ფუთი ყველი. აქედან — 11.300 ფუთი თუშური და 3.000 ფუთი შვეიცარული ყველი.

ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოს განკარგულებით აღნიშნული ყველი განაწილებულია კოოპერატიულ ორგანიზაციათა შორის შემდეგნაირად: მუშკოოპს მიეცა—5.800 ფუთი თუშური და 2.000 ფუთი შვეიცარული ყველი, „ზაკ ტპო“-ს—2.500 ფუთი თუშური და 500 ფუთი შვეიცარული, „ზაკვოენპო“-ს—700 ფუთი თუშური და 500 ფუთი შვეიცარული, ხოლო ბათომის მუშათა კოოპერატივს—500 ფ. თუშური ყველი.

თუშურ ყველზე საცალო ფასი დაწესებულია კილოზე 1 მან. და 45 კაპ. ერბოზე—3 მ. და კარაქზე—3 მან. და 15 კაპ.

მანდარინის დამზადება

აჭარისტანში დაიწყო მანდარინების დამზადება. მთავარი დამამზადებლები არიან: აჭარწარმოკავშირი სასოფლო-სამეურნეო ბაზით და წითელ ნახევარი მთვარის აჭარისტანის კომიტეტი, რომელიც ამზადებს მანდარინებს მიწათმოქმედების სახ. კომისარიატის საბჭოთა მეურნეობებში. მანდარინის მოსავალი გაცილებით ნაკლებია წარსულ წლის მოსავალზე. საბაზრო პროდუქცია განისაზღვრება 7 მილიონი ცალით (დაახლოვებით 75 ვაგონი); აქედან 5 მილიონი ცალი დამზადებული იქნება გლეხთა მეურნეობებში და 2 მილიონი ცალი — საბჭოთა მეურნეობებში. მანდარინების პირველ პარტიების დატვირთვა გასაგზავნად განზრახულია 15 ნოემბრისათვის. აჭარწარმოკავშირი წელს პირველი ცდის სახით საზღვარ-გარეთ გასატანად ამზადებს 1 ვაგონ მანდარინს და ერთ ვაგონ „დამირალმა“-ს ხარისხის საზამთრო ვაშლებს. (ალს)

სასამართლო

ფინაგენტი, თუ სულთამხუთავი

ჩვენი გაზეთის 127 №-ში ინსპექციის ფურცელზე მკითხველები ნახავდნენ „ტაიჭზე“ შემჯდარ „რაინდს“ მაუზერით ხელში.

ალბათ, გახსოვთ ქუთათელი ფინაგენტი **გენადი გიორგის ძე მაღლაფერიძე**, რომელმაც საყულიის თემში (ქუთ. მაზრა) მცხოვრები ზეინკალი **ანტონ სვანიძე** სიცოცხლეს კინაღამ გამოასალმა იმისათვის, რომ უკანასკნელმა გაბედა და აღმასკომს მიმართა მასზე შეწერილ გადასახადის კანონიერების გამოსარკვევად.

ეს მოხდა ამა წლის 19 მაისს. პირდაპირ გადასახადთა ინსპექციის ფინაგენტი მაღლაფერიძე ღვინით გალეშილი მიუვარდა ოჯახში ზეინკალ სვანიძეს, რომელსაც წინადადება მისცა დაუყოვნებლივ ჩაებარებინა მისთვის შეწერილი გადასახადი 6 მანეთის რაოდენობით.

სვანიძეს უკანონოდ მიაჩნდა მასზე ამ გადასახადის შეწერა და საქმის გამოსარკვევად სთხოვა მაღლაფერიძეს: „აღმასკომში წამობრძანდითო“.

ეს იუკადრისა მაღლაფერიძემ, დაუწყო უშვერი სიტყვებით გინება სვანიძეს, რომელმაც აღმასკომამდე ითმინა ყოველგვარი დამცირება და შეურაცყოფა მაღლაფერიძისაგან. აღმასკომში შესვლისას მაღლაფერიძემ იშიშვლა მაუზერი და შუბლში გაუსწორა სვანიძეს, რომელიც აღმასკომის თავმჯდომარეს უხსნიდა თავის გაჭირვებას. რომ არ ყოფილიყვნენ იქ აღმასკომის თავმჯდომარე და მისი თანამშრომლები, რომლებიც გადაუდგნენ მაღლაფერიძეს და დაუწყეს დამშვიდება, ვინ იცის, იქნებ სვანიძე ეხლა ცოცხალთა რიცხვშიც არ ყოფილიყო.

სვანიძე ჰკანკალებდა შიშისაგან. ფინაგენტმა დაიღრიალა, მაუზერს ტყვია პირში მისცა და ბრძანა: წინ გამიძეხ! ქუთაისამდე ჩაგაძაღლებო!

მაღლაფერიძემ ისკუპა და მოახტა „ტაიჭს“, მაუზერი ისევ სვანიძისაკენ აქვს მიშვერილი. მიჰყავს ქუთაისში „ურჩი გადამხდელი“, რომელსაც „ამკობს“ ქუჩური სიტყვებით.

აღმასკომის თანამშრომლებმა შეკრიბეს ერთმანეთს შორის ფული 6 მანეთამდე, რომელიც მაღლაფერიძის აზრით უნდა გადაეხადა სვანიძეს და მუდარით მიმართეს: დაეთმო მათთვის ეს ერთი კაცი.

გასჭრა მუდარამ. სვანიძე დაიხსნეს ტყვეობიდან. მაღლაფერიძემ ფული ჩაიდო ჯიბეში, ერთი კიდევ მაგრად შეიგინა და ცხენი გააჭენა

როცა ეს ამბავი გამოტანილ იქნა სააშკარაოზე, მაღლაფერიძის კარიერას დაესვა ჯვარი. იგი მიცემულ იქნა პასუხისგებაში.

საქმე 29 ოქტომბერს გაარჩია ქუთაისის სამაზრო სასამართლომ ამხ. **მასხულიას** თავმჯდომარეობით

ხელისუფლების და საგადასახადო ორგანოების სახელის გატეხისათვის მაღლაფერიძეს მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 8 წლით, მაგრამ, როგორც ახალგაზრდას (24 წლის) და პასუხისგებაში პირველად ყოფილს, სასჯელი შეუმცირდა 1 წლამდე.

მსჯავრდადებულმა საკასაციო საჩივარი შეიტანა საქართველოს უზენაეს სასამართლოში, რომელიც ამ დღეებში გაარჩევს საქმეს.

გაფლანგვა ინვალიდთა დამხმარე კომიტეტში

თბილისის სამაზრო სასამართლომ ამხ. **რ. კალანდაძის** თავმჯდომარეობით შეუდგა **ლავრენტი მაქსიმეს ძე რუხაძის** და **ედუარდ ლუბტანის** გასამართლებას.

ჩვენი გაზეთის 16 სექტემბრის ნომერში ამ საქმის შინაარსი დაწვრილებით გვქონდა მოყვანილი.

ლავრენტი რუხაძე მუშაობდა ცაკთან არსებულ ინვალიდთა დამხმარე კომიტეტში კომერციული ნაწილის გამგის თანამდებობაზე. მან სხვადასხვა დროს სხვადასხვა მახინაციების საშუალებით გაუფლანგავს **18.400** მანეთი.

მასთან ერთად საბრალმდებლო სკამზე ზის იმავე კომიტეტის საექსპლოატაციო განყოფილების გამგის თანაშემწე **ედუარდ ლუბტანი**, რომელმაც თავისი დაუდევრობით და და სამსახურისადმი გულგრილი მოპყრობით საშუალება მისცა რუხაძეს გაეფლანგა დიდძალი თანხა.

რუხაძემ სასამართლოში უარი განაცხადა ჩვენების მიცემაზე. ზის და არც ერთ სიტყვას არ ამბობს, რადგან სასამართლოს შემადგენლობაზეა გულნაკლული (!).

ლუბტანი თავს არ სცნობს დამნაშავედ.

ბრალს სდებს პროკურორი **გრიგოლია.**

სწარმოებს მოწმეების დაკითხვა.

ქურდების შურისძიება

ვაშაკ მნაცაკანიანი (იგივე ნავასარდიანი) და **ხაჩიკ მურადიანი** დახელოვნებული ქურდები იყვნენ. მათ ჰყავდათ თბილისში თავისი ჯგუფი და სისტემატიურად ეწეოდენ ქურდობას.

მათი განუყრელი ამხანაგი იყო მოქ. **ცოლაკ პეტროსიანცი**, რომელთანაც ერთად ხშირად „უტარებიათ დრო“ გამსახლში.

უკანასკნელად ამ დახელოვნებული ქურდების „ტრიო“ მნაცაკანიანის, მურადიანის და პეტროსიანცის შემადგენლობით გამსახლში მოხვდა.

რაღაც მიზეზებით მათი ამხანაგი ცოლაკ პეტროსიანცი ადრე განთავისუფლეს, რამაც დანარჩენებს: მნაცაკანიანს და მურადიანცს ეჭვი აღუძრა, რომ მათი გამცემი არის პეტროსიანცი. მნაცაკანიანცმა და მურადიანცმა გადასწყვიტეს, როგორც კი გამოვიდოდნენ ციხიდან, გასწორებოდნენ პეტროსიანცს გაცემისათვის.

გამოვიდნენ თუ არა ციხიდან, 21 ნოემბერს მნაცაკანიანმა და მურადიანცმა გაიტყუეს პეტროსიანცი მყუდრო ადგილას ღამით და ბებუთით დაჩხეს. ისინი იმ ღამესვე გაიქცნენ ერევანში. პეტროსიანცი ორი დღის წვალების შემდეგ გარდაიცვალა.

ბოროტმოქმედნი შეპყრობილ იქნენ.

მათი საქმე გუშინ გაარჩია თბილისის სამაზრო სასამართლომ.

მნაცაკანიანს და მურადიანცს მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა თითოს ათ-ათი წლით სასტიკი იზოლიაციით, უფლებების აყრა ხუთ-ხუთი წლით და სასჯელის მოხდის შემდეგ საქართველოს ფარგლებიდან გაძევება 5 წლის ვადით.

სასამართლოს შემადგენლობა: თავმჯდომარე—რ. კალანდაძე, სახალხო მსაჯულები: კიკნაძე და სულაძე, მდივანი—გენაძე.

შურ.

თბილისის მუშკოოპში

ღვინის სარდაფი

მიმდინარე საბიუჯეტო წლის პირველ კვარტალში თბილისის მუშკოოპი ხსნის ერთ ღვინის სარდაფს და ორ მაღაზიას, სადაც იწარმოებს ვაჭრობა ღვინით, ხილით და საკონდიტერო საქონლით.

თათბირი პურის საკითხის შესახებ

მუშათა კოოპერაციის ცენტრალურ სექციასთან (მოსკოვში) მოწვეულია თათბირი მუშათა კოოპერაციისათვის პურის მიწოდების საკითხის შესახებ.

თათბირზე თბილისის მუშკოოპი აგზავნის თავის პურის განყოფილების გამგეს. ამხ. დავიდოვს.

ამხ. დავიდოვს დავალებული აქვს აგრეთვე შუამდგომლობის აღძვრა, რათა მუშათა კოოპერაციის ცენტრალურმა სექციამ 1928—29 წლის ბიუჯეტიდან გამოჰყოს თანხები თბილისში მეორე პურის ქარხნის ასაგებათ.

შემთხვევები

თავდასხმა

გუშინწინ, საღამოს 10 საათზე, თბილისიდან მიმავალ გ. გლოველს (სოფ. წავკისის მცხოვრები). სოფ. წავკისის მახლობლად თავს დაესხა შეიარაღებული ორი უცნობი პირი. თავდამსხმელებმა გლეხს სიკვდილის მუქარით წაართვეს 30 მანეთი, ერთი მაზარა და მიიმალენ.

— მოქ. ქრისტიფორე ბუაძემ განაცხადა თბილისის სისხლის სამართლის მილიციაში, რომ ახალშენის ქუჩის მახლობლად მას თავს დაესხა ვიღაც ბოროტმოქმედი, რომელმაც წაართვა 130 მანეთი, ერთი ფიჯაკი და 400 მანეთის თამასუქი. კვლევა-ძიება გრძელდება.

დაჯახება

5 ნოემბერს, ღამით, შაუმიანის ქუჩაზე ტრამვაის ვაგონი № 55 (მარშრუტი 9), რომელსაც მართავდა ვატმანი ხუციევი დაეჯახა ვანო ნიკოლოზაშვილის ურემს. ურემი დაიმსხვრა. ნიკოლოზაშვილი მძიმედ დაშავდა. დაშავებული გადაგზავნეს ქალაქის პირველ საავადმყოფოში.

მოწამვლა

მეათე საშილიციო რაიონში გუშინ დილით იპოვნეს მოწამლული კაცი, რომლის ვინაობა ჯერ-ჯერობით გამოურკვეველია.

ქურდობა

გაქურდეს მე-5 შრომის სკოლის კოოპერატივი (ჟუკოვის ქ. № 9); წაიღეს 230 მანეთის წიგნები;—გარდა ამისა, 5 ნოემბერს ქალაქში აღრიცხულია წვრილი ქურდობის 7 შემთხვევა.

— სისხლის სამართლის სამძებრო მილიციამ ქურდობისათვის დააპატიმრა: დავით იგანეს ძე პატიაშვილი, გეურქ ხაჩატურის ძე ზადახოვი, არმენაკ ხაჩატურის ძე მანუშაკოვი, ახმედ ასკარ-ოღლი, ახმედ მამადი ოღლი, ქიარიმ ისკანდარ-ოღლი და ალი გამბარ-ოღლი.

გამფლანგველის დაპატიმრება.

სისხლის სამართლის მილიციამ დააპატიმრა თბილისის აღმასკომის უძრავ ქონებათა სამმართველოს თანამშრომელი (სახლების კომენდანტი) სერგო კიმოთეს ძე გულვერი, რომელსაც ბრალდება სახაზინო ფულის გაფლანგვა.

უბედური შემთხვევა

26 კომუნართა სახელობის ქარხანაში (საბჭოთა ქ., № 155) ღამის დარაჯს გიორგი აჰაროვს უცაბედათ გაუვარდა თოფი. ტყვია მოხვდა იქვე მყოფ ისმაილ ნანაჯან-ოღლის, რომელიც მძიმედ დაიჭრა. დაჭრილი გადაგზავნეს კამოს სახელობის საავადმყოფოში.

ნარევი

ყველაზე წვიმიანი და ყველაზე მზიანი ადგილი დედამიწაზე

ყველაზე წვიმიან ადგილად დედამიწაზე ითვლება სან-ბლასის ყურეს სანაპიროები (პანამის ყელის დასავლეთ ნაწილში). საპი წვიმიანი თვის განმავლობაში ნალექების რაოდენობა უდრის 3,5 მეტრს, სამჯერ მეტს, ვიდრე ცენტრალურ ევროპაში. სან-ბლასში იზრდება შშვენიერი ბანანები, რომელთაც ძლიერ უყვართ სინესტე.

ყველაზე უფრო მზიან ადგილად ითვლება იუმა (ორიზონა, ამერიკა). ეს ადგილი მზიანი საათების რაოდენობით (წლის განმავლობაში) ჩრდილავს ისეთ კლიმატიურ სადგურებს, როგორიც არის დავოსი—შვეიცარიაში, ნიცცა—საფრანგეთში, ბერმუდის კუნძული—ატლანტის ოკეანეზე და სოხუმი შავ ზღვაზე. იუმას განსაკუთრებულმა კლიმატიურმა პირობებმა საშუალება მისცა ერთ რესტორანს იუმში გამოეყენებია ორიგინალური რეკლამა, რესტორანში გამოკრულია განცხადება: „წვიმიან დღეებში სადილს უფასოთ ვაძლევთ“. როგორც ამბობენ, თხუთმეტი წლის განმავლობაში რესტორანს მხოლოდ ორჯერ მოუხდა უფასო სადილების გაცემა. ეს, რასაკვირველია, იმას არ ნიშნავს, რომ იუმში სრულიად არ იცის წვიმა, მაგრამ წვიმები აქ იშვიათია და 1—2 საათზე მეტს არ გრძელდება.

ლაყბობის რეკორდი

ჯენერალმა ჭურტალას[illegible] დაამყარა ლაყბობის მსოფლიო რეკორდი. ამ პროფესიონალურმა მოლაყბემ ილაპარაკა 120 საათი 7 საათის შესვენებით (ძილისათვის) ამ დროის განმავლობაში, 120 საათის განმავლობაში პურჭალ ასი როშავდა, რაც პირზე მოადგებოდა.

ლითონის დაღლილობა

ვისკონსინის უნივერსიტეტმა (შეერთ. შტატებშია) დაასრულა ვრცელი გამოკვლევა, რომელიც შეეხება ე. წ. „ლითონების დაღლილობას“. ამ სახელწოდებით ცნობილია მოვლენა, როცა ლითონის საგნები, რომლებიც დიდი ხნის განმავლობაში უძლებდნენ დიდ დატვირთვას, მოულოდნელად ტყდება ისეთი სიმძიმის ან დაჭიმვის ზეგავლენით, რომელიც ბევრათ ნაკლებია მაქსიმალურ დატვირთვასთან შედარებით. ასე მაგალითად, ტყდება ავტომობილის ღერძები და მანქანების სხვადასხვა ნაწილები, რომლებიც მუდმივ დაჭიმულობას განიცდიან. გამოკვლევებმა დაამტკიცა, რომ ხანგრძლივი დაჭიმულობა სცვლის ლითონების კრისტალურ სტრუქტურას (აგებულობას) და ართმევს მას წინააღმდეგობის უნარს. ამ შემთხვევაში საჭიროა ლითონის „დასვენება“ განსაზღვრული დროის განმავლობაში, რის შემდეგ მისი პირველი სტრუქტურა ისევ ნორმალურ კალაპოტში დგება.

4 სტრიქ. 2.000 მანეთად

ხელთნაწერის აუქციონზე, რომელიც ბერლინში ვაიმართა, ცნობილ გერმანელ მწერლის გიოტეს ოთხსტრიქონიანი ხელთნაწერი 2000 მან. გაიყიდა.

იხვი, რომელიც 10.000 მან. ღირს

ჩიკაგოში გამოფენაზე მიიყვანეს იხვი, რომელიც 10.000 მან. შეაფასეს. ამ ჯიშის იხვი მხოლოდ 45 ცალია მთელ მსოფლიოში.

მჭერმეტყველების ტურნირი

ვაშინგტონში (შეერთ. შტატები) გაიმართა მჭერმეტყველების საერთაშორისო ტურნირი, რომელიც ფრანგ ორატორის გამარჯვებით დასრულდა.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება № 67

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სო ც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი

ხელისუფლების ორგანოების პასუხისმგებლობის შესახებ კოოპერატიული ორგანიზაციების მოქმედებაში მათი უკანონო ჩარევით მიყენებული ზარალისათვის

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს ს.ს.რ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. აეკრძალოს ხელისუფლების ყველა ორგანოს:

ა) კოოპერატიული ორგანიზაციის ისეთ საოპერაციო მოქმედებაში ჩარევა, რასაც გიანხორციელებს თავის წესდების მიხედვით, ან არსებული წესით დამტკიცებული გეგმისა ან სახელმწიფო საწარმოსა და დაწესებულებასთან დადებული გენერალური ხელშეკრულების შესასრულებლად, კერძოდ, აღნიშნული ორგანიზაციისათვის განკარგულების მიცემა ნისიად საქონლის გაცემის შესახებ, ვისთვისაც უნდა იყოს;

ბ) კოოპერატიული ორგანიზაციისათვის განკარგულების მიცემა, რათა მან გასწიოს ისეთი ხარჯი, რაც გათვალისწინებული არ არის მის წესდებაში და ს.ს.რ. კ-ისა, ამიერკავკ. სფსრ-ისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობაში ,აგრეთვე ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტებისა და საქალაქო საბჭოების მიერ არსებული წესისამებრ, გამოცემულ სავალდებულო დადგენილებებში, როგორი ხარჯიცაა: საქველმოქმედო მიზნით ფულის გაღება, საზოგადოებრივი ორგანიზაციების დახმარება და სხვა.

2. აეკრძალოს ხელისუფლების ორგანოს, რომელიც კანონით სამისოდ უფლებამოსილი არ არის:

ა) მოახდინოს კოოპერატიული ორგანიზაციების რევიზია და ყოველგვარი გამოკვლევა უკეთუ ეს კანონში არ არის გათვალისწინებული;

ბ) მოსთხოვოს კოოპერატიულ ორგანიზაციას ანგარიშებისა, მოხსენებებისა, ცნობებისა და სხვა მასალის წარდგენა;

გ) მისცეს კოოპერატიულ ორგანიზაციას განკარგულება საორგანიზაციო საკითხების გამო, რაც კოოპერატიულმა ორგანიზაციამ დამოუკიდებლად უნდა გადასწყვიტოს თავისი წესდებისა და მომქმედი კანონების მიხედვით, როგორიცაა: წევრთა საერთო კრების (რწმუნებულთა კრების) მოწვევა, მმართველა-გამგეობის და საკონტროლო ორგანოების არჩევა თანამშრომლების სამსახურიდან მოხსნა ან მათ ნაცვლად სხვების მიღება, სამოქმედო გეგმის დამტკიცება და სხვ.

4. ხელისუფლების ორგანო ქონებრივად პასუხს აგებს იმ ზარალისათვის, რაც კოოპერატიულ ორგანიზაციას მოუვა აღნიშნული ორგანოს ხელქვეითი თანამდებობის პირის ისეთი სამსახურებრივი მოქმედებით, რითაც დარღვეულ იქნება ამა დადგენ. რომელიმე მოთხოვნა, უკეთუ თანამდებობის პირის ბრალი ასეთ დარღვევაში დამტკიცდება სისხლის სამართლის ან ადმინისტრატიული წესით.

ხელისუფლების ორგანოს, თავისი მხრით უფლება აქვს დაადოს თანამდებობის პირს დანაზღაურება ისეთი რაოდენობით, რაც მან დაზარალებულ კოოპერატიულ ორგანიზაციას გადაუხადა.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მაგიერ—ვ. სტურუა.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე —

გ. მგალობლიშვილი.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივნის მაგიერ—

შ. მათიკაშვილი.

1928 წ. აგვისტოს 1.

თბილისი—სასახლე.

კვირას 11, ნოემბერს, შუადღის 12 საათზე, ქ. ქუთაისში საფირჩხის სასაფლაოზე გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი

სილოვან ხუნდაძის

ხსოვნის აღსანიშნავად. რასაც აუწყებს საზოგადოებას განსვენებულის ოჯახი. 2-1 4791

ინვალიდთა კოოპერატიული არტელი „გლარჯა“-ს გამგეობა მწუხარებით აუწყებს არტელის ყველა წევრებს რომ თავის ბინაზე 3 ნოემბერს ვერაგულად მოკლული იქნა არტელის წევრი ომის ინვალიდი ამხ.

სპირიდონ გურჯანაძე

გამოსვენება მოხდება 1-ლ საბჭოთა საავადმყოფოდან (ყოფ. არამიანცის) პარასკევს 9 ნოემბერს ნაშუადღევის 4 საათზე. დაკრძალვა ავლაბრის სასაფლაოზე 4805

სახელმწიფო აკადემიური საოპერო თეატრი

დღეს, 7 ნოემბერს მე-5 აბონემენტის 1 წარმოდგენა—საზეიმო წარმოდგენა ოქტომბრის რევოლიუციის 11 წლისთავის გამო პრემიერა **ლაკმე**

ნ. ნ. გოგოლიუბოვის ახალი დადგმა, პარტიებს ასრულებენ: ლაკმე—ვ. მ. აფრამეევა, ჯერალდი—ა. ი. ალექსეევი, ნილაკანტი—დამსახ. არტისტი ვ. ა. ნიკოლსკი.

ხუთშაბათს 8 ნოემბერს აბონემენტის გარეშე ქ. გ. დერჟინსკაიას და ფატმა მუხტაროვას მონაწილეობით **აიდა**

პარასკევს 9 ნოემბერს მე-6 აბონემენტის პირველი წარმოდგენა ფატმა მუხტაროვას მონაწილეობით **კარმენ**

ყველა საააბონემენტო წარმოდგენებზე ბილეთების ნაწილი დატოვებულია გასასყიდათ თეატრის სალაროში. ნ. 1791

ხუთშაბათიდან 8 ნოემბრიდან

კინო აპოლოში ოსი ოსვალდ უცხოეთის ცნობილ სურათში **„მისი კაპრიზი“**

კინო მინიონში ორიგინალური კომედია **მოსამსახურე ყველაფრისათვის** ბეტი ბალფურის მონაწილეობით ნ. 1797

სახკინმრეწვის კინოთეატრები

განთიადი	საქართვ. სახკინმრეწვის სურათი **18-28** (ისტორიულ დოკუმენტების მონტაჟი) შესვლა შეიძლება მხოლოდ პროფსაბჭოს კულტგანყოფილების მიერ დარიგებულ ბილეთებით 1 სეანსის დასაწყისი 6 საათზე 2 სეანსის 7 ს. 30 წუთზე
არფასტო	
პალასი	
სოლეი	
აპოლო	
მინიონი	
დარბაზი	**კვანძი** 1 სეანსის დასაწყისი 6 საათზე 2 სეანსის .. 7 ს. 30 წ. **ლეონ კუტიურიე**
პროლეტარი ავლაბარი	

[illegible]

იანკი კონსული

18—28 მ. კალატოზიშვილის და ნ. ლოლობერიძის ნამუშევარი

მისი კაპრიზი

მოსამსახურე ყველაფრისათვის

კაცი № 14

ბოროტმოქმედების დაღი 3 და 4 სერია

0—3

ცირკი **კოლოსი** ტელეფ. № 8-64 1928-29 წ. (ზამთრის სეზონი)

დღეს, ოთხშაბათს 7 და ხუთშაბათს 8 ნოემბერს,

საგასტროლო საზეიმო სანახაობანი

პროგრამა სამ განყოფილებათ. საუკეთესო ნომრები! ფოლადის კაპიტანები ძმ. მიროსლავსკები

სატირიკოსები **არრა და მაი,**

ცხოველების მწვრთნელი ეკლერი დათვით. აფრიკელი ჟოკეები სამი კუკი და კიდევ 10 სატრაქც. ნომრები. დაწვრილებით აფიშებში. წაიკითხეთ!!!

დასაწყისი საღამოს სრულ 8 ნახ. საათზე.

დირექცია ი. ზ. კუდრიავცევი, რწმუნ. ქ. მ. გროდზიცკი. ნ. 1781 3—1. გამგე მ. ი. ტადე.

თამბაქოს მწეველთა საყურადღებოთ

პაპიროსი № 5 „საბჭოთა“

სტანდარტული ფორმატისა მზადდება საუკეთესო

ძველ სოხუმის თამბაქოებიდან.

სტანდარტით გამოწვეულმა პაპიროსების ორ წყებათ ჩალაგებამ და მუნდშტუკის ზომის შემცირებამ საშუალება მოგვცა გაცილებით უკეთესად გაგვეუმჯობესებინა კუპაჟი და აგრეთვე შემოგველო მომხმარებელთათვის უფრო ლამაზი და ფაქიზი კოლოფი. დარწმუნდით პირადათ.

ნ. 1779 2—2 ს.მ.უ.ს. თამბაქოს ტრესტი.

ამიერ-კავკასიის სასოფლო-სამეურნეო ბანკის

ანგარიშების მდგომარეობა 1928 წ. 1-ლ ოქტომბრისათვის

(წინასწარი ბალანსის მიხედვით)

აქტივი	ჯამი	პასივი	ჯამი
კასა და მიმდინარე ანგარიშები.	774,217-68	ძირითადი და სხვა საკუთარი კაპიტალები და ფონდები.	5.956.262-54
აღრიცხვა და სპეც. მიმდ. ანგარიშები.	340.846-94	სესხები და სხვა საშუალებები მიზნობრივი კრედიტების გასაცემათ.	22.390.808-32
მიზნობრივი სესხები.	27.759.170-10	გადაგირავება და გადანაღდება.	535.717-20
ქონება, მონაწილეობა წარმოებებში და ფასეულობანი.	2.058.722-22	ანაბარები და მიმდინარე ანგარიშები.	1.632.745-30
სხვა აქტივები.	724.858-52	სხვა პასივები.	1.142.282-10
ს უ ლ.	31.657.815-46	ს უ ლ.	31.657.815-46
დებიტორები გაცემული გარანტიების მიხედვით.	244.748-35	გაცემული გარანტიები და აქცეპტები.	244.748-35
ბ ა ლ ა ნ ს ი.	31.902.563 81	ბ ა ლ ა ნ ს ი.	31.902.563 81

ნ. 1885 ა. კავკ. სას.-სამ. ბანკი

რიონჰესის სამუშაოთა სამმართველო

ა. წ. 15 ნოემბრისათვის 12 საათზე ქ. ქუთაისში

ნიშნავს

საჯარო ვაჭრობას,

რომლის დროს იჯარით გაიცემა მიწისა და კლდის სამუშაოები რიონჰესის სადერივაციო არხის ფერდობ ნაწილში 8 პიკეტის მანძილზე. სამუშაოს რაოდენობა ვარაუდით: მიწის სამუშაო 15.000 კუბ. მ., კლდის სამუშაო დაახლოებით 40.000 კუბ. მ. და დანაყარის მოწყობა დაახლოებით 3.000 კუბ. მ. მთელი სამუშაოების საერთო სავარაუდო თანხა დაახლოებით უდრის 85.000 მანეთს. მუშაობის შესრულების ვადა დაწესებულია 4 საკალენდარო თვე. ასაფეთქებელი მასალას საჭირო რაოდენობით უფასოდ გასცემს რიონჰესი. აღნიშნულ სამუშაოთა დაწვრილებითი წერილობითი კონდიციების გაცნობა შეიძლება ქ. ქუთაისში სამუშაოთა სამმართველოში ყოველდღე 10-დან 13 საათამდე. იმ ორგანიზაციებმა და პირებმა, რომელთაც სურთ იჯარით აიღონ სამუშაოები, ამის შესახებ უნდა შემოიტანონ განცხადება დაწესებულ ნიმუშის ბლანკზე დახურულ კონვერტებში წარწერით „რიონჰესის მთავარ ინჟინერს 1928 წ. 15 ნოემბერს, დანიშნულ კონკურენციისათვის“. იმათ, ვინც არ არის განთავისუფლებული ბეს შემოტანისაგან, ასეთი უნდა შემოიტანონ საჯარო ვაჭრობის დაწყებამდე სამუშაოების სამმართველოს სალაროში მათ მიერ აღნიშნული თახის 10 პროცენტის რაოდენობით.

რიონჰესის მთავარი ინჟენერი მელიქ-ფაშაევი

ნ. 1786

ჩამოვიდა და დღეიდან ღიაა ყოველდღე

დილის 8 საათიდან ღამის 12 საათამდე

„ჟოკეი კლუბის“ (ყ. არტოს) ბაღში

საბჭოთა კავშირში უდიდესი მოძრავი სამეცნიერო-საჩვენებელი

სამხეცე „ცხოველთა სამეფო“ ნატურალისტ ზოოლოგის გ. ი. გოლიკოს ხელმძღ-ბით

დიდძალი ყოველგვარი ზღვისა და ხმელეთის ცხეცები, ფრინველები, მაიმუნები, ქვემძრომნი. მხეცების კვება საღამოს 9 საათზე. ნ. 1777

ანა სტენ და გ. მიჩურინი

საუკეთესო სურათში

„ჩემი შვილი“

პარასკევიდან; 9 ნოემბრიდან

კინო-თეატრებში

არფასტო-სოლეი

ნ. 1798

მოზარდ მაყურებელთა სახელ. თეატრი

აცხადებს

შრომის სკოლების გამგეთა საყურადღებოთ, რომ იმათ, რომელთაც არ მიუღიათ მათი სკოლის ბავშვებისათვის საწარმოდგენო **აბონემენტები** უნდა მიმართონ თეატრის დირექტორს—ელიზბარ პოლუმორდვინოვს, განათ. კომისარიატი ოთახი № 29.

4794 2—1

საქ. სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოს

ტყავტრესტი

1928 წლის 15 ნოემბერს, ტრესტის კანტორაში (კომუნალური ქ. 82), ნიშნავს

შეჯიბრებას

სამუშაოებზე ტყავეულობის ქარხანა № 1-ის წყალით მომარაგების გასაძლიერებლად.

ორგანიზაციებმა და პირებმა, რომელთაც სურთ მონაწილეობა მიიღონ შეჯიბრებაში, უნდა შემოიტანონ წერილობით განცხადება, რომლისთვისაც უნდა გადახდილ იქნეს სიღერბო გამოსაღები. განცხადებები უნდა იქნეს დახურულ კონვერტში წარწერით: „წყალით მომარაგების სამუშაობზე შეჯიბრებისათვის“. 15 ნოემბერს, შუადღის 12 საათზე სავაჭრო კომისია გახსნის კონვერტებს განცხადებებით.

განცხადებას დართული უნდა ექნეს ქვითარი ტყავ-ტრესტის სალაროში ბეს შეტანის შესახებ გამოცხადებული თანხის 10 პროცენტის რაოდენობით.

სამუშაოს დასახელება (შესავსები ბლანკი) და ყოველივე განმარტებები მსურველთ შეუძლიათ მიიღონ ტყავტრესტში სამუშაოს მწარმოებელთან.

ნ. 1789 ტყავტრესტი.

8 ნოემბერს,

აღმასკომის აბანოები

მუშაობს დილის 7 ს.—საღ. 11 საათამდე.

ნ. 1792 აბანოების ადმინისტრაცია.

მათემატიკის მასწავლებელი

ამზადებს (პრაქტიკა 1910 წ.) 1929 სასწ. წლის მათემატიკასა და რუსულ ენაში

უმაღლეს სასწავ., 9 წლედის მოწმობაზე, სამხედრო აკადემიაში და ყველა საგნებში შვიდწლედის ყველა ჯგუფ., მუშფაკ., სპეც. ტეხნიკ., 8 ჯგუფში შესავალი საკონკურსო გამოცდებისათვის და ასწორებს სუსტსა და ჩამორჩენილ მოწაფეებს. თვითგანვითარების და საბუხჰალტრო კურსებზე შესასვლელად ასწავლის არითმეტიკას (მთელი რიცხვები, წილადები, პროცენტები, პროპორციული გაყოფა). პლეხანოვის ქუჩის და ჩერნიშევის (ყოფ. ალექსის ქუჩა № 5) ქუჩის კუთხე 25 | 5

ნახვა 12—2 ს. საღ. 4—7 საათ. 3—1 4771

ექიმი

ქ. ს. ფონ-ირტელი

სპეციალურად მკურნალობს საშარდე, სქესობრივ (სქესობრივი უძლურება) ვენერიულ(ტრიპერი)ავადმყოფობას, სიფილსს და მის შედეგებს, კანისა და ქირურგიულ ავადმყოფობას (სიმსივნე. ბუასილი) ელექტრო-მკურნალობა და ოპერაციები. ავადმყოფების მიღება დილ. 8 ს. დღის 12 საათამდე და საღ. 4 ნახ. საათ.—7 საათამდე. ქალების მიღება დღის 10—12 საათამდე.

პლეხანოვის პროსპ. №10

ექიმი

გ. ო. ზანდუკელი

შინაგანი და ნერვიული ავადმყოფობანი. ელექტრო-სინათლით სამკურნალო კაბინეტი.

ავადმყოფების მიღება გარდა შაბათისა და კვირა უქმე დღეებისა საღამოს 7-დან 8 საათამდე. ლენინის ქ. (ყოფილი ოლღას ქ.) № 11.

ტელ. 4—82. 25—1

ექიმი

დოქტორი ე. თაყაიშვილი-კაკუბერი

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულება სემიონოვის (ვარდიაშის ქ.) მე-9-რე უბანი, № 16,

მიღება დილის 8—9 საათ საღამ. 5—8 საათ.

ექიმი

ა. ს. ვადაჭკორია

დაბრუნდა აგარაკიდან და ლებულობს ქალთა და შინაგან სნეულებათა ავადმყოფთ. დილის 9—12—ს—მდე და საღამოს 4—6—ს—მდე (ყოფილი ოლღას) ლენინის ქ., № 35

25—1

საქ. სახვაჭრობა

აცხადებს, რომ

დონბასის ქვა-ნახშირის ტრესტის („დონუგოლი“-ს)

წარმომადგენლობა საქართველოში

აღებული აქვს **სახვაჭრობას**

რომელსაც უნდა მიმართონ **შეკვეთებზე**

თბილისი, კეცხოველის ქუჩა № 5.

ტელეფონი № 7—71.

ნ. 1788 2—1

საქარ. კომუნალური ბანკი

ძირითადი კაპიტალი...5.000.000 მან.

აწარმოებს

ყველა საბანკო ოპერაციებს

განყოფილებები: სოხუმი, ბათომი, ქუთაისი, გორი, სენაკი, ცხინვალი, გურჯაანი, ახალციხე, ახალქალაქი.

მისამართი: თბილისი, პუშკინის 3. ნ. 1795

Концессионное Предприятие

„ШАРИКОПОДШИПНИК С. К. Ф.“

Тифлис, Руставе и, 21. Тел. 21—56.

Шарикоподшипники, роликоподшипники, шарики и трансмиссии для всех назначений

ნ. 1790

სია იმ პირთა, რომლებიც არ იღებენ გაზეთს „კომუნისტს“ სწორი მისამართების უქონლობის გამო.

სახელი და გვარი

1. მონაშაროვი
2. კალანდაძე სონია
3. ვაჩნაძე ვ
4. ქიქინაძე ალექ.
5. ხანთაძე სიმ.
6. მხეიძე ციციკო
7. დოკვაძე
8. ბააზია ისიდორე
9. გაბოსოვი
10. ჩიჩელაშვილი
11. ომაძე წყალსად.
12. ჯიბლაძე
13. ბახტაძე
14. ადუაშვილი გეორგი
15. კიკნაძე
16. კაკრიაშვილი ვალერიანე
17. კაპანაძე მ.
18. ებრალიძე
19. ოქროპირიძე
20. ბერია იულონ
21. კვაჭაძე
22. ლომიძე ეფროსიმე
23. ახალბედაშვილი

ზემოთ აღნიშნულ პირებს სთხოვენ მოგვაწოდონ თავიანთი სწორი მისამართი

გაზეთ „კომუნისტის“ ექსპედიცია მისამ. კამოს (ყ. დიდიმთავრის) ქ. № 68. ტელ. 5—43.

ქ. თბილისის შრომის სასამართლოს აღმასრულებელი

მ. ლორთქიფანიძე

ამით აცხადებს, რომ ის 9 ნოემბერს 1928 წ. დღის 2 საათზე სახლში № 2 მიმოსვლის ქუჩაზე **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის მოქ. სევერიანე ლოლობერიძის მოძრავ ქონებას: კედლის სარკეს, საწოლები, ნოხებს, ფარდაგებს, ლებებს, ბალიშებს, მარმალილოს პირსაბანებს და სხვ. შეფასებულს 916 მანეთად, საბ. კვების კავშირის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბილისის შრომის სახალხო სასამართლოსაგან 31 ოქტ. 1928 წ. თარიღით, № 6066 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. 4792

თბილისის მე-2 რაიონ. სასამართ. აღმასრულებელი

ქ. პოტემკოვსკი

ამით აცხადებს, რომ ის 14 ნოემბერს 1928 წ. დღის 12 საათზე სახლში № 4 მუხრანის ქუჩ. ამავე სახალხო სასამართლოს შენობაში მე-2 **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის ანა ნიკიტ.ს ასული შიტოვას მოძრავ ქონებას: ქალის კისერზე ჩამოსაკიდ ოქროს ძეწკვს, ოქროს ბრასლეტს, ოქროს ბეჭედს და ქალის ოქროს საათს—ბრასლეტს, შეფასებულს 555 მანეთად, 18 კაპ. ელისაბედ პავლოვსკიას ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბილისის მე-2 უბნის სახალხო სასამართლოსაგან 10 ოქტ. 1928 წ. თარიღით, № 2495 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. 4793

ქ. თბილისის მე-2 რაიონ. სასამართ. აღმასრულებელი

თ. ზ. გოგია

ამით აცხადებს, რომ ის 12 ნოემბერს 1928 წ. დღის 1 საათზე სახლში № 30 შუა ბაზარში **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის ვარვარა და ბარბარე დარვაშელიძეების მოძრავ ქონებას: ბუფეტს, ტანისამოსის შკაფს, კედლის სარკეებს, საწოლს, ხალიჩებს და სხვადასხვა საოჯახო ნივთებს შეფასებულს 1625 მანეთად, ხაზინის და ვარვარა დარვაშელიძის-სარიევისა ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბ. მაზრა ქალაქის სახალხო სასამართლოსაგან 8 სექტემბერს 1928 წ. თარიღით, № 174/2 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. ნ. 1787

გორის უბნის სახალხო სასამართლ. აღმასრულებელი

გ. ტლაშაძე

ამით აცხადებს, რომ ის 11 ნოემბერს 1928 წ. დღის 12 საათზე ადგილობრივ სოფ. თორთოტიზაში **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის თორტიზაში მცხ. 1) იოსებ ბერძნიშვილის და ივანე ახალკაცის, 2) ვანო და გიორგი ბერძნიშვილის, 3) კოლა და ალექსანდრე სირბილაძეების, 4) იასონ კიკნაძე და ნიკო ბერძნიშვილის, 5) შაქრო მერაბიშვილის და დათა იოსების მოძრავ ქონებას, რომელიც იყო აწერილი 17 ნოემბერს 27 წელს და ჩაბარებული შესანახად მათვე ხელწერილის ქვეშ პასუხისგებით გაფლანგვაში. გაიყიდება: კამეჩები, ღორები, სამოვრები, ძროხები, ფარდაგები, ხალიჩები, შკაფები და სხვა, სულ შეფასებული 955 მან. ცეკავშირის ვალის დასაფარავად.

ნ. 1796

ქ. თბილისის მე-2 რაიონ. სასამართლოს აღმასრულებელი გ. ი. ქილიფთარი

ამით აცხადებს, რომ ის 12 ნოემბერს 1928 წ. დღის 1 საათზე თავისუფლების მოედანზე, გ. მიხასიანის სავაჭროში **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის ივანე მამასახლისოვის მოძრავ ქონებას: სხვადასხვა საგალანტერეო საქონელს და შლაპებს შეფასებულს 350 მანეთად, ხაზინის და სხვ. ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბ. მე-2 უბნის სახალხო სასამართლოსაგან 8 დეკემბერს 1925 წ. თარიღით, № 4540 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა.

ნ 1793

ქ. თბ. მე-2 რაიონ. სასამართლოს აღმასრულებელი გ. ი. ქილიფთარი

ამით აცხადებს, რომ ის 10 ნოემბერს 1928 წ. დღის 1 საათზე სახლში № 6 მიძინების ჩიხში **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის გაბრიელ როკეტლიშვილის მოძრავ ქონებას: მაგიდებს, კამოდს, საწოლს, სავარძლებს და სხვ. შეფასებულს 255 მანეთად, მარიამ ნაუმოვას ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბ. სანოტარო კანტორისაგან 10 ოქტ. 1928 წ. თარიღით, № 214 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა.

4597

კბილის ექიმი

დ. ს. რიჟინაშვილი

კბილების და პირის სნეულებათა მკურნალობა. პლომბები, კბილების **უმტკივნეულოდ** ამოღება, ყოველგვარი ხელოვნური კბილების ჩასმა, ავადმყოფთა მიღება: 10—3 საათ. და 5—7 საათ. საღ.—მისამართი: გრიბოედოვის ქუჩა № 34 რუსთაველის გამზირის კუთხე.

ტელ. 10—14 25—2

ექიმი

ი. პ. მჭედლიშვილი

დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება. **შინაგანი ავადმყოფობა.** სპეციალურად კუჭის და ნაწლავების სნეულებათა გამოკვლევა და მათი მკურნალობა. ღებულობს 5—6 ს. სანაპირო ქუჩა (ყოფილი ნაბერეჟნაია) № 7—ვერის ხიდთან. ტელეფონი № 15—02 ნ.

ექიმი

ტერ-ოვაკიმოვი

დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება. სპეციალურად: **სქესობრივი ფუნქციონალური აშლილობა და სიფილისი.** (ფსიხოტერაპია)

ავადმყოფების მიღება: დილაობით: 11—1 საათ.; საღამოობით 5—8 საათ საბჭოთა (ყოფ. ჩერქეზიშვილის) ქ., № 48, ჟორესის (ყოფ. კირკის) ქუჩის. კუთხე. 25—1

ექიმი

ს. ანდრეევისა

დაბრუნდა

ძვლის და ჯირკვლების ტუბერკულიოზის მკურნალობა

ღებულობს ავადმ. 5—7 ს. საღ. ელბაქიძის დაღმართი (ყოფ. ვერის დაღმართი) 29, ვერის ხიდთან.

ელსმენი—11—78. ნ. 25—2

ექიმი

პ. ი. ჯალალოვი

დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფთა (კანისა და ვენერიული სნეულებანი) მიღება, სიფილისი, შეშხაპუნება „914“. ტრიპერისა და მისი შედეგების მკურნალობა.

მამაკაცთა მიღება: დილით—8—9 ს. საღამოს—6—9 საათ. ქალები და ბავშვების მიღება: 5—6 საათამდე. მისამართი: კამოს ქუჩა, № 19 ყოფ. დიდი მთავრის ქ., კარლ მარქსის მოედნის მახლობლად. ტელეფონი 1—90. ნ. 1. 25—1

ექიმი

ი. ი. ბერიშვილი

ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა

დილით 9—1 საათ. საღამოს 5—8 ს. ქალებისათვის ცალკე შესავალი, სასტუმრო „ევროპას“ (ყოფ. „ნოეს“) პირდაპირ ჩოდრიშვილის და პლეხანოვის შესახვევი № 8. ნ. 2. 25—2

კბილის ტეხნიკოსთა კურსებზე

შეღავათიან ფასებში

სწარმოებს ყოველგვარ ხელოვნურ კბილების ჩასმა და **პროტეზების მომზადება.**

მიიღება ავადმყოფებს ყოველდღე კვირა უქმის გარდა საღამოს 4—6 საათამდე.

მისამართი: პლეხანოვის პროსპექტი № 126. 25—1

ექიმი—ვენეროლოგი

ნინო მირიანაშვილი

იღებს კანის და ვენერიულ ავადმყოფებს (ქალებს და ბავშვებს)

დღის 2—3 საათ. და საღამოს 6—8 საათამდე მოსკოვის ქუჩ. № 4

ტელ. 14—23.

ექიმი

ა. დ. კეკელია

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულება

პლეხანოვის პროს. № 116. სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ. მიღება დილის 9—12—საღ. 7 $1/2$—8 $1/2$ საათ

ტელეფ.—12—67. ნ. 3 25—2

ექიმი

ი. ი. ქეიშვილი

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულ.

კამოს ქ. 72 (ყოფილი დიდი-მთავრის)

მიღება { დილ. 8 ს.—9 საათ. საღ. 6 ს.—8 საათ.

4598 25—1

თვალის ექიმი

მალაევი

ღებულობს ავადმყოფებს

დილით 8—9 საათ., საღ. 6—7 ს. მისამართი: თვალის საავადმყოფო, კლ. ცეტკინის ქ. (ყოფ. ელისაბედის) № 47, ელსმენი № 5—90.

ნ. 4 25—1

დავკარგე: მიწა-ტყის კავშირის წიგნაკი № 22933 ელისაბედ ციციშვილის სახელზე, ჩ. გ. 4598

დავკარგე: მეტრიკული მოწმობა გაცემული ქუთაისის აღმასკომის მიერ გიორგი გრიგოლისძე რუხაძის სახელზე, ჩ. გ. ნ. 1794

დავკარგე: მოწმობა სასოფლო სამეურნეო გადასახადის შესახებ № 2485 გაცემული მოსე როყვას სახელზე, ჩ. გ. 4600

დავკარგე: კომკავშირის მანდატი № 57.518 სიმონ სეითისძე კიკნაძის სახელზე, ჩ. გ. 4601

დავკარგე: საპენსიო წიგნაკი მაგდანა გელდიკაშვილის სახელზე, ჩ. გ. 4599

დავკარგე: კავშირის წიგნაკი და პირადობის მოწმობა პავლე ვასილის ძე გოშაძის სახელზე, ჩ. გ. 4793

დავკარგე: განათლების მუშაკთა პროფკავშირის საწევრო წიგნაკი № 18242 ნატალია ქაჯაიას სახელზე, ჩ. გ. 4787

დავკარგე: მიწა-ტყის კავშირის წიგნაკი ნინა ევსტატის ასული თარხნიშვილის სახელზე, ჩ. გ. 4786

დავკარგე: რკინის გზის პროფკავშირის საწევრო წიგნაკი № 18197 ზაქარია მიხეილის ძე მჭედლიძის სახელზე, ჩ. გ. 4788

დავკარგე: სამხედრო სააღრიცხო ბარათი № 905 ილიკო ზაქარიას ძე სისაურის სახელზე, ჩ. გ. 4780

დავკარგე: განქორწინების მოწმობა, მუშკოოპის საწევრო წიგნაკი და რემედასის წიგნაკი კონსტანტინე გრიგოლის ძე ტიგიმიშვილის სახელზე, ჩ. გ. 4806

დავკარგე: სამხედრო სააღრიცხო ბარათი № 746 ბიქტორ მესხის სახელზე, ჩ. გ. 4803

დავკარგე: სამხედრო სააღრიცხო ბარათი კოლა ივანიაშვილის სახელზე, ჩ. გ. 4803

დავკარგე: კოოპერატივის საწევრო წიგნაკი № 3226 პელაგია რუხაძის სახელზე, ჩ. გ. 4803

დავკარგე: პირადობის მოწმობა № 140 ნოე ნუცუბიძის სახელზე, ჩ. გ. 4803

პოლიგრაფტრესტის მე-5 სტამბა, კამოს ქუჩა № 68. მთავლიტი № 904.